საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№47 (518)
25 დეკემბერი - 14 იანვარი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 2020 წლის 15 იანვარს**

# «წლის სანტა», «წლის ფაროსანა», «წლის გარნირი», «წლის ქათამი» და 2019 წლის სხვა ნომინაციები




2-3

## «ტროლი» თოვლის ბაბუა და ყოჩაღი ცუკერბერგის საახალწლო ვნებანი 4





ნიკოლოზ მჟავანაძე:

## საქართველოს სულ მალე შეიძლება, ჰყავდეს ჰომოსექსუალი პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, მერი, მინისტრები, პრემიერი და ა.შ. 5

## ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიერ გამარჯვების აღლუმზე დასწრებაზე უარის თქმა დიდი შეცდომაა 11





გულბაათ რცხილაძე:

## რუსეთს სანქციები და ბლოკადები რომ შლიდეს, დიდი ხნის გამქრალი იქნებოდა 6

**პატრიოტულმა ძალებმა ერთიანი პლატფორმა უნდა შექმნან** 7

## სომხებს თვალი უჭირავთ ბათუმის პორტზე, თუმცა ამას ოფიციალურად ჯერჯერობით არ ადასტურებენ 9



**თურქი პოლიტიკოსები აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის ემზადებიან** 15

წლის ნომინაციები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნომინაციაში „შენ ყოფილხარ პიროვნება“ გაიმარჯვა გედევან ფოფხაძემ ფრაზით „ყ..ზე მკიდია კონსტიტუცია“. აბა, კანონმდებელი ამას რომ იტყვის, კი უნდა დაუფასო და ტაში დაუკრა. რატომ? იმიტომ, რომ რეალურად ყველა კანონმდებელს კიდია კონსტიტუცია. უბრალოდ, ფოფხაძე გამოდგა ერთადერთი, ვინც გაბედა და ეს ხმამაღლა თქვა, ამიტომ პრიზის გარეშე ვერ დავტოვებდით.

# «წლის სანტა», «წლის ფაროსანა», «წლის გარნირი», «წლის ქათამი» და 2019 წლის სხვა ნომინაციები

**ვირთხის წელი მოდის... ზოგი ცეცხლოვან ვირთხას ეძახის, ზოგიც — ლითონის ვირთხას, მაგრამ ვირთხა ვირთხაა, გნებავთ — სოროში და გნებავთ — სოროს გარეთ. ისე, ლოგიკურია, რომ 2020 წელი სწორედ ვირთხისაა, ქართული რეალობისთვის არის ლოგიკური. მოგეხსენებათ, მომავალ წელს არჩევნები გველოდება და, თუ „ოცნების“ გემი ჩაძირვას დაიწყებს, იმდენი ვირთხა გადახტება, თვლას ვერ აუვალთ. ისე, გადახტომები არც წელს დააკლეს პოლიტიკოსებმა, წავიდნენ, წამოვიდნენ, მაგრამ თქვენ არ ინერვიულოთ, იმდენ პარტიაზე თუ პარტიიდან არიან ეგენი გადამხტარი, არ დაიკარგებიან. ზემოთ ლოგიკა ვახსენეთ და არც 2019 წელი იყო ულოგიკო — ღორის წელი, ბატონებო. როგორც შოშია იტყოდა, „ვგდებულიყავი ჩემს ადგილას. რა ჩემი საქმე იყო ასკილისა და მაყვლის წვენი?! მაგრამ არ გაძლა ოხერი დედათქვენის მუცელიიი...“ ჰოდა, ძღომა რომ ვერ გაიგეს „ძლიერებმა ამა ქვეყნისათმა“, იმიტომაც მოერგნენ ღორის წელს. ისე, უმადობას არც ვირთხა უჩივის, მაგრამ მაინც გვგონია, რომ 2020 წელი გემიდან გადამხტარი ვირთხების წელი იქნება.**

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, წლის ბოლოა და შესაბამისად, დაჯილდოების დრო დადგა. აგერ, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ლიონელ მესი დასახელდა, საუკეთესოებს სპორტის სხვა სფეროშიც გამოავლენენ, კინოშიც, ხელოვნებაშიც... ჩვენ კი ჩვენი ნომინაციები გვაქვს, ქართულჯიგრიანი, უპრეცედენტო და ჩვენც რიგითობით და ლოგიკით მივყვეთ. მაშ ასე:

* ნომინაციაში **წლის ქათამი,** ანუ **„ქათამი კაკანა, კაკანა, თურმე კვერცხი ნადობა“** გაიმარჯვა **ნიკა გვარამიამ**, რომელმაც მაინც მოახერხა და თავისი ტელევიზია დააარსა. ჰოდა, თუ აქამდე სხვისი ტელევიზიიდან იგინებოდა, ახლა საკუთარი აქვს და იქიდან იგინება. ნუ გაგიკვირდებათ, თუ ამ ტელევიზიაში ვინმე თითქმის შიშველიც გამოჩნდება, იქნებ კაცს საკუთარ სახლში „ტრუსიკით“ უნდა გავლა.

* ტელევიზიების თემა განვაგრძოთ და ნომინაციაში **წლის გარნირი** გაიმარჯვა **„რუსთავი 2“-მა,** რომელიც ჩადეს ხალვაში და ისე მიართვეს მაყურებელს. რომ გითხრათ, მაინცდამაინც გემრიელი ხალვაა-მეთქი, მოგატყუებთ, რაღაც მძაღე გემო დაჰკრავს, თითქოს ვადაგასულის და სიტკბოც აკლია, მაგრამ ყველაფერი იდეალური რომ იყოს, მაშინ, „რუსთავი 2“ კი არა, „ბი-ბი-სი“ ერქმეოდა.

* ტიტულის გარეშე არ დარჩენილა **ტვ „იმედი“.** ამ ტელევიზიამ გაიმარჯვა ცნობილი კოლუმბიელი მომღერლის, **შაკირას,** სიმღერის ფონზე — **„ლოკა, ლოკა, ლოკა...“** რა, რამდენჯერ და როგორ „ლოკა“ „იმედმა“, ახლა ჩამოთვლას ვერ დავიწყებთ, გვერდები არ გვეყოფა.

* ნომინაციაში **წლის გაქცევა**, გაიმარჯვა ეროვნულმა ვალუტამ. **ლარს,** უმრავლესობის დეპუტატების სახით, სერიოზული კონკურენტები ჰყავდა, მაგრამ მაინც მოახერხა პირველ ადგილზე გასვლა. ეროვნულმა ვალუტამ გაიმარჯვა კიდევ ერთ ნომინაციაში — **„წლის დაქცევა“** და შესაბამისად, ლარი შინ გაქცეულისა და დაქცეულის ჯილდოთი მიემგზავრება. იმედია, გაისად ამ ტიტულებს „წაქცეულისა“ და „ჩვენგან უდროოდ წასულის“ პრიზებსაც არ მიამატებს.

* **წლის პლაგიატის** პრიზი მოიგო **მიხეილ სააკაშვილმა,** რომელმაც მოირგო **მირზა გელოვანის** ლექსი — **„მე დავბრუნდები, მე დავბრუნდები“,** გაიძახოდა სააკაშვილი და შემდეგ... „მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები...“ საავტორო უფლებების დაცვა საქართველოში ჯერ კიდევ არ არის მაღალ დონეზე, მაგრამ ეს არაფერია იმ ნომინაციებთან შედარებით, რომლებიც ექსპრეზიდენტს ოდესაში გავუგზავნეთ.

* ბატონ მიხეილს, აგრეთვე, ერგო პრიზი **„მე ის თამრო აღარა ვარ“.** სხვათა შორის, ეს პრიზი შარშან **თამარ ჩერგოლეიშვილმა** მოიპოვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც თამრო და მისი ქმარი მიშას კრიტიკაზე გადავიდნენ, სააკაშვილმა ასე იძია შური და ჩერგოლეიშვილი პრიზის გარეშე დატოვა.

* სამაგიეროდ, **გიგა ბოკერია** დაეუფლა პრიზს სახელწოდებით **„კაი გაძლება მოგცეს ღმერთმა!“** . ბოკერიასთან კონტექსტში ღმერთის ხსენება ნუ გიკვირთ, საქმეს დასჭირდა და გიგამ ისეთები ქნა, ლამის ჭყონდიდის ეპარქიიდან გაშვებული **პეტრე** ჩაანაცვლა...



**«ბატონო, ბატონო, გუშინ რომ იყვნენ, ისინი მოდიან ისევე!» — შესძახა არჩილ თალაკვაძემ ბიძინა ივანიშვილს მას შემდეგ, რაც ფანჯრიდან პარლამენტის საპიკეტოდ მისული ოპოზიცია დაინახა. მართალია, ამ შეძახილისთვის პრიზი არ გვაქვს დაწესებული, მაგრამ ასე მშვიდად გადავედით ოპოზიციიდან ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ მოგებულ პრიზებზე**

* ჰო, სააკაშვილი ვთქვით და ბარემ ის ჯილდოებიც დავასახელოთ, რომლებიც მან დამატებით მიიღო: პრიზი **„ერთხელაც მენდეთ, საერთოდ რომ მოგსპოთ“** და პრიზი **„რას ეწევა ამისთანას“.** სააკაშვილი წარდგენილი იყო კიდევ ერთ ნომინაციაზე, მაგრამ ამ ნომინაციის სკულპტურის დამზადებაზე ყველამ უარი გვითხრა: ჩვენ ხელოვანი ხალხი ვართ და მაგას ვერ გავაკეთებთო. ამიტომ, პრიზი არ გვაქვს, მაგრამ სააკაშვილმა გაიმარჯვა და ეგებ თვითონ გამოჩორკნოს ამ ტიტულის აღმნიშვნელი სკულპტურა. როგორ? — მარტივად: დადგეს სარკის წინ და მიჰყვეს ზემოდან ქვემოთ, მერე პირიქით და კი გავა ბოლოში.

* სიმართლე გითხრათ, გვეგონა, რომ ნომინაციაში **„წლის ამყროლებლები“** გაიმარჯვებდა 32 პარტიის ლიდერი, რომლებიც აპოკალიფსით იმუქრებიან, რეალურად კი ვერაფერს აკეთებენ, მაგრამ აღნიშნული პრიზი მათ ცხვირწინ **ირმა ნადირაშვილმა** და **ლელა ქებურიამ** აacalეს. რას იზამთ, ამ ქალაქში ყველაფერი დასწრებაზეა და, თუ ოპოზიცია ფხიზლად არ იქნება, შეიძლება სხვა პრიზებიც დაკარგოს.

* ნომინაციაში **„გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა“** გაიმარჯვა **შალვა ნათელაშვილმა** მას შემდეგ, რაც ამერიკაში წავიდა და დაიმუქრა: ისეთ ამბებს ჩამოვიტან, მტერს და ავსო. იქიდან ჩამოსულმა კი განაცხადა: კონგრესმენებს ივანიშვილის საბანკო ანგარიშების დაყადაღება ვთხოვე და ნახეთ, ამას რომ გააკეთებენ, რა მოხდებაო. ამერიკელ კონკრესმენებს აქამდე არაფერი გაუკეთებიათ, ეჭვი გვაქვს, არც ამას გააკეთებენ და კი დარჩა ნათელაშვილს პრიზი, პრაქტიკულად, უბრძოლველად. ბატონი შალვას ოფისში ოპოზიცია იკრიბებოდა და გვსურდა, ნომინაციაც მოგვეფიქრებინა, მაგრამ უარი გვითხრეს, — აქაოდა, წასასვლელი არსად აქვთ და „მაზოლზე“ ფეხს ნუ დააჭერთო.

* ნომინაციაში **„ადამიანის საუკეთესო მეგობარი“** გაიმარჯვა **ნიკა მელიამ.** ეს ჯილდო მას შემდეგ დაისაკუთრა, რაც ფეხზე საყელური შეაბეს. მართალია, ფეხზე არ უკეთებენ საყელურს, მაგრამ მელიაა, შეიძლება წაიძროსო. ჰოდა, მელიას გადაადგილებას ზუსტად ისე აკვირდებოდნენ, როგორც ექსპერიმენტისთვის განკუთვნილ მელიებს — მეცნიერები. **როგორი ყოფილა ექსპერიმენტების ჩატარება, ბატონო ნიკა? ხალხსაც ხომ ზუსტად ასე უტარებდნენ ექსპერიმენტებს თქვენი თანაგუნდელები? მერე რა, რომ საექსპერიმენტო „ბოცვრები“ არცთუ იშვიათად გიკვდებოდათ, დიდი მიზნები მსხვერპლს მოთხოვს და სამსხვერპლოზე კი მიგყავდათ წელიწადში 400-მდე ადამიანი.**

* ნომინაციაში **„წლის მთვლელი“** პირველ ადგილზე უდიდესი უპირატესობით გავიდა პუბლიცისტი (ნეტავ, ვინ დააბრალა?!) **თაკო ჩარკვიანი** შეძახილით **„აუუ, რამდენი ვართ!“.** ქალბატონმა თაკომ მოიგო ნომინაცია **„სამოთხის ვაშლიც“** და ეს ჯილდო მას შემდეგ დაისაკუთრა, რაც ნინო ბურჯანაძის რუსეთში ვიზიტი გააპროტესტა და გაერთიანებული ოპოზიციის რიგები დატოვა. ისე, თაკოს წასვლა კი გაუხარდათ ოპოზიციაში, ლეიბორისტების ოთახში ერთით მეტი ადგილი გამოჩნდაო და... აკი გითხარით, სივიწროვეა მაინც.

* წლის პრიზი **„თქვე ჩემისებო“** უპირობოდ და უკონკურენციოდ მოიგო **გრიგოლ ვაშაძემ,** როცა ოპერატორებს მუშაობა დაუწუნა და ამ შეძახილით „გაამხნევა“. ისე, შესაძლოა, ბატონმა გრიგოლმა არ იცის, მაგრამ ხალხის უდიდესი ნაწილი ოპოზიციისა და ხელისუფლების მოქმედების შეფასებისას ყველაზე










**ნომინაციაში „წლის მთვლელი“ პირველ ადგილზე უდიდესი უპირატესობით გავიდა პუბლიცისტი (ნეტავ, ვინ დააბრალა?!) თაკო ჩარკვიანი შეძახილით „აუუ, რამდენი ვართ!“; ქალბატონმა თაკომ მოიგო ნომინაცია „სამოთხის ვაშლიც“ და ეს ჯილდო მას შემდეგ დაისაკუთრა, რაც ნინო ბურჯანაძის რუსეთში ვიზიტი გააპროტესტა და გაერთიანებული ოპოზიციის რიგები დატოვა. ისე, თაკოს წასვლა კი გაუხარდათ ოპოზიციაში, ლეიბორისტების ოთახში ერთით მეტი ადგილი გამოჩნდაო და... აკი გითხარით, სივიწროვეა მაინც.**

# წლის ნომინაციები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





**შეიძლება უცბად მიხვდეთ, ვინ გაიმარჯვა ნომინაციაში «წლის აბდაუბდა» და «წლის ფაროსანა». მეც გეტყვით, რომ პრიზები ანტიკვარებით გაწყობილ რეზიდენციაში წაილო პრეზიდენტმა**





ხშირად ამ ფრაზას იყენებს, მაგრამ, რადგან პრიზს მასაზე ვერ გადავანაწილებდით, ამიტომ ულვაშა ვაშაძეს ერგო.

* წლის **„დაუსტვინეს“** ნომინაციაში ერთმანეთს **თინა ბოკუჩავა** და **ელენე ხოშტარია** ეცილებოდნენ. საბოლოო ჯამში, კონფლიქტი რომ არ დაწყებულიყო და ერთმანეთი თმებით არ ეთრიათ, აღნიშნული ნომინაცია და ორი ცალი „შვიშტოკი“ გადავეცით და ახლა შეუძლიათ კვლავ დაუღალავად ჩაბერონ სამშობლოს სამსახურში!

* ნომინაციაში **„ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო“** გაიმარჯვა **ვანო ზარდიაშვილმა,** რომელსაც ტუჩები **ეკა ბესელიამ** „დაუდაგა“. მართალია, ლოგიკურად პრიზი ქალბატონი ეკასთვის უნდა მიგვეცა, მაგრამ ვანომ გვთხოვა: პარლამენტარიც აღარ ვარ და პრიზი მაინც მარგუნეთო. თავდაპირველად უარზე ვიყავით, მაგრამ მერე შემოგვიტია: თქვენ კი არა, „ოცნებამ“ მაპატია ზონდერობა და ნაციონალობაო და რაღა გვექნა?!

* ხელმოცარული, რაღა თქმა უნდა, **ეკა ბესელიაც** არ დაგვიტოვებია და შინ გავატანეთ პრიზი სახელად **„ერთ შვილ ხომ მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარია“**. გააპროტესტებს, რომელი ვეფხვი ვანო მყავსო, მაგრამ რად გინდა?! „ოცნებამ“ კი „გააპრავა“ და ჩვენ რა უფლება გვაქვს უარვყოთ...

* ნომინაციაში **„არ გაწიო, გაწყდებაო, ორთავ გული დაგვეწყდებაო“** გაიმარჯვა **გიგა მაქარაშვილმა,** რომელიც პარლამენტის წინ კარვის გასაშლელად თოკებს წელავდა ხოლმე და თანამოაზრეებს ზემომოყვანილი ფრაზით აფრთხილებდა. ცოდვა გამხელილი სჯობს და მაქარაშვილი თანამოაზრეებთან ერთად სხვა რამეს უფრო ხშირად წელავდა და იმიტომაც იქცეოდნენ ბევრისთვის მიუღებლად.

* **„ბატონო, ბატონო, გუშინ რომ იყვნენ, ისინი მოდიან ისევე“** — შესძახა **არჩილ თალაკვაძემ ბიძინა ივანიშვილს** მას შემდეგ, რაც ფანჯრიდან პარლამენტის საპიკეტოდ მოსული ოპოზიცია დაინახა. მართალია, ამ შეძახილისთვის პრიზი არ გვაქვს დაწესებული, მაგრამ ასე მშვიდად გადავედით ოპოზიციიდან ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ მოგებულ პრიზებზე.

* ნომინაციაში **„რა სამსახური გავჩითე?!“** გაიმარჯვა **დავით ნარმანიამ**, რომელიც მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე გახდა და ხუთნიშნა ხელფასიც ააგდო. მე თუ მკითხავთ, ნარმანიას ხელფასად მილიონს უნდა დაჰპირებოდნენ, მერე კი იმდენი უნდა დაენიშნათ, რამდენი ხეც დარგო და გამოვიდოდა სამნიშნა ჯამაგირი, მაგრამ არაო, — დათომ ისეთი ამბები ჩაატარა მერობისას, ალალია მასზე ეს ხელფასი და თანამდებობაო.

* ნომინაციაში **„მოდი, ბიჭო, გავაგოროთ ყომარი“** გაიმარჯვა ამბროლაურის მერმა **დავით მხეიძემ**, რომელმაც, როგორც იქნა, მოიცალა და ერთ-ერთი ონლაინკაზინოს გათამაშებაში „პორშე“ მოიგო. მერე იყო, ბატონმა დავითმა თავი რომ იმართლა: საქართველოში ყველაზე ღარიბი მერი ვარ, რას მერჩითო. მართალია ეს კაცი — რას ერჩით, კაი „პალასაზეა“, არჩევნები მოიგო, ტენდერები მოიგო... ჰოდა „პორშეც“ მოიგორა. მიდი, ბატონო დავით, მიდი, ამათ ყურს ნუ უგდებ და დროზე გაადავე, თორემ წაილო ხელი მეტოქემ.

* გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, ხომ გგონიათ, რომ **„წლის გადაგდებაში“** „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, რომელმაც დაპირება არ შეასრულა და მთლიანად პროპორციულ სისტემაზე არ გადავიდა? ნურას უკაცრავად!



ნომინაციაში „წლის გადაგდება“ გაიმარჯვა **ბიძინა ივანიშვილმა**, რომელსაც მოსწყინდა საკონსტიტუციო უმრავლესობის შენახვა და კვება და რამდენიმე დეპუტატი გადააგდო. ჰო, საკუთარი ნავიდან გადააგდო, ახლა თქვენით იშოვეთ სარჩოო და მხოლოდ თვითონ იცის, რამდენი ჰყავს კიდევ „ლაფათქაზე“.

* ნომინაციაში წლის **„სოფლის მშენებლები“** გაიმარჯვეს იმ დეპუტატებმა, რომლებიც თავიანთი კოლეგის, **ენზელ მკოიანის,** ძმისშვილის ქორწილში წავიდნენ ერევანში. **მამუკა მდინარაძემ** იმღერა, **ირაკლი კობახიძემ** იცეკვა, სოფელს კიდევ **ირაკლი სესიაშვილი** აშენებდა, თუმცა ბოლოს სესიაშვილს საკუთარი სახლი გამოუვიდა. სახლი რა, ვილა და თანაც იმხელა, ერთი სოფელი თავისუფლად რომ დაეტევა და, შესაბამისად, ნომინაციაში გამარჯვებაც ალალად დაიმსახურეს.

* შეიძლება უცბად მიხვდეთ, ვინ გაიმარჯვა ნომინაციაში **„წლის აბდაუბდა“** და **„წლის ფაროსანა“.** მეც გეტყვით, რომ პრიზები ანტიკვარებით გაწყობილ რეზიდენციაში წაილო პრეზიდენტმა ფრაზებით **„სადაც არ უნდა გათხარო, ყველგან შეგიძლია გათხარო“** და **„რუსეთი მტერია“.** ჩვენი საქმე კი ისეა, თაგვმა თხარა, თხარაო... მაგრამ, ეს რომ არ გამოგვეთხარა, მაშინ ულვაშა გრიგოლი უნდა გამოგვეთხარა და ამიტომ... მოკლედ, გავთხარეთ რა, უფრო სწორად, ზურაბიშვილმა „გათხარა“, ყოვლად უადგილოდ და უაზროდ რუსეთს მტერი რომ უძახა. ამით საქართველოს ისე ავნო, ფაროსანას არ უქნია მაგდენი. ასე რომ, ქალბატონმა პრეზიდენტმა მეორე ნომინაციაც დაისაკუთრა — „წლის ფაროსანა“.

* ნომინაციაში **„ასე შევრჩი უდიპლომო სასიძო უზენაეს სასამართლოს სიძედ“** გაიმარჯვა აწ უკვე ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა **შალვა თადუმაძემ.** ახლა ის დროა, ყველამ ერთად ვიყვიროთ: „ვარდენი გაგიჟდა!“, მაგრამ „მთავარ როლშია“ ვარდენი, რეჟისორიც ეგ არის და სიგიჟესაც არ დაგვიჯერებენ. სამაგიეროდ, სამართალი ახლა სხვანაირად აიწონება და მერე რა, თუ არ მოგეწონებათ, სხვა რაღაცებზე ხომ გიჟდებით რა. ამიტომ, ამასაც აიტანთ ზუსტად ისე, როგორც აქამდე იტანდით და ხმასაც არ ამოიღებთ.

* ნომინაციაში **„წლის დეპუტატი“** გაიმარჯვა **მახირ დარზიევმა.** შეიძლება არ იცით, ეს კაცი ვინ არის, მაგრამ გეტყვით: დეპუტატია, წინა მოწვევის პარლამენტშიც იყო, ახლაც არის და ხომ ეკუთვნის გამარჯვება? მერე რა, რომ ამ რვა წლის განმავლობაში ხმა არ ამოუღია (ისიც კი არ უთქვამს, რა სარგებლობა მოაქვს მამალს), მაგრამ დეპუტატია-მეთქი, დეპუტატი, მერვე წელია, ხელფასს ვუხდით, თვეში 4 ათას ლარამდე.

* ნომინაციაში **„შენ ყოფილხარ პიროვნება“** გაიმარჯვა **გედევან ფოფხაძემ** ფრაზით **„ყ..ზე მკიდია კონსტიტუცია“.** აბა, კანონმდებელი ამას რომ იტყვის, კი უნდა დაუფასო და ტაში დაუკრა. რატომ? იმიტომ, რომ რეალურად ყველა კანონმდებელს კიდია კონსტიტუცია, უბრალოდ, ფოფხაძე გამოდგა ერთადერთი, რომელმაც გაბედა და ეს ხმამაღლა თქვა, ამიტომ პრიზის გარეშე ვერ დავტოვებდით.

* ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ და ბეჟანა ხომ გახსოვთ, თხების პატრონებმა „პეე“ დაიძახეთო? ჰოდა, **ნომინაციაში „თხების პატრონებმა პეე დაიძახეთ“** წარდგენილი იყო მხოლოდ **ბიძინა ივანიშვილი** და სწორედ მან გაიმარჯვა. ნუ, მთლად თხები არა, მაგრამ ამდენი ცხვარი ერთად და ასე გაწვრთნილი, იშვიათია.

დასასრულ — ნომინაციაში **„სანტა კლაუსი“** გაიმარჯვა ისევ **ბიძინა ივანიშვილმა.** ეგ როგორ არის, იცით? პატარებს ისევ სჯერათ, დიდებს — აღარ და ვართ ასე...

**მრავალ შობა-ახალ წელს დაესწარით, ქართველებო!**

**ბესო ბარბაქაძე**







**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ისევ და ისევ სპეკულაცია „ვაჟა ექიმითა“ და „პატარა ლუკას სულით“... და, რაღა თქმა უნდა — „რუსული პროპაგანდით“. არადა, რეალურად ფეისბუქის განცხადებაში, სადაც ამ გვერდების დახურვაზეა საუბარი, საერთოდ, არ არის ნახსენები რუსული პროპაგანდა, „ვაჟა ექიმსა“ და „პატარა ლუკაზე“ ხომ საუბარიც ზედმეტია. იქ, უბრალოდ, ნათქვამია, რომ დაიხურა ფეისბუქის გვერდები, რომლებსაც, როგორც აღმოჩნდა, მართავდა ერთი და იგივე ჯგუფი და რომელიც დაკავშირებული იყო სახელისუფლებო სტრუქტურებთან...**

# «ტროლი» თოვლის ბაბუა და ყოჩაღი ცუკერბერგის საახალწლო ვნებანი

## «ნურც გაფრინდები, ნურც მოფრდინდები»-ა თუ «ნურც გატროლდები, ნურც მოტროლდები?»

**ახალი წელია და რედაქციის თხოვნაა, რამე მსუბუქი, სახალისო დავწერო და ჩემთვის ჩვეულ, მძიმე სატირულ ფორმებს მოვერიდო, რომ არავის ვაწყენინო სადღესასწაულო დღეებში. ვეცდები, ასეც მოვიქცე, ანუ ვეცდები, არავის ვაწყენინო და ისე ვთქვა ჩემი საახალწლო სათქმელი. ოღონდ, აი, ხალისს, გართობას და ცეკვა-თამაშს ნამდვილად ვერ შეგპირდებით.**

რა უნდა იხალისო ადამიანმა, როდესაც შენს ქვეყანაში სხვადასხვა ქალაქში დარბიან ბოღმით გასიებული ადამიანები და პატარებისთვის ქალაქების ცენტრში დადგმულ ნაძვის ხეებს შავ არშიებს ავლებენ? ეს ავადმყოფები და მათი ავადმყოფური საქციელი, სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოებისთვის უცხო ხილი არ არის. ოღონდ, ალბათ, ამ ავადმყოფთა უავადმყოფეს ტვინებში ყველაზე ღრმად ჩახედული, მათთან ურთიერთობის დიდი გამოცდილების მქონე ადამიანიც კი ვერ წარმოიდგენდა სნეულების ისეთ გამოვლინებას, როგორიც ამ ტვინით მახინჯებმა საახალწლოდ მოიგონეს.

**„რა დროს ახალი წელია, როდესაც სახელმწიფო 15 წლის ბავშვებს კლავს“ „სახელმწიფოში, სადაც თვალებს თხრიან ახალგაზრდებს, არავინ არ უნდა იზეიმოს“** — ასეთი სამარცხვინო დემაგოგიით შეიარაღებულმა სამარცხვინო, ფულით მოსყიდულმა ტიპებმა გადაწყვიტეს, საზოგადოდ, ადამიანებს და, კონკრეტულად ბავშვებს, წაართვან ახალი წელი. ყოველივეს რეალური მიზეზი, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ხელში ვერჩაგდების გამო წარმოქმნილი ბოღმაა — ამას ყველა ხვდება. **„მთელი ქართველი საზოგადოებისა“ და „სრულიად საქართველოს გულანთებული ახალგაზრდების“ სახელით მოვაჭრე ორასიოდე შავბნელმა და მოსყიდულმა პერსონამ უკვე ბავშვების სულებით და სულისშემძვრელი ტრაგედიებითაც დაიწყო ურცხვი ვაჭრობა და სპეკულირება. თანაც, თავიანთი შავბნელი მიზნების მისაღწევად ადამიანებისთვის დღესასწაულების ჩაშხამებასა და ბავშვებისთვის ხასიათის გაფუჭებასაც არ თაკილობენ.**

ასეთი გაბოროტებული და დაბოღმილი ადამიანებისგან ისიც ნუ გაგიკვირდებათ, თუ კარდაკარ სიარულს დაიწყებენ და ჩუმად დამარტოხელებულ თქვენს შვილებს ყურში ჩასჩურჩულებენ — „არ დაიჯერო! თოვლის ბაბუა არ არსებობს! ტროლია ეგ, ტროლი!“

ამ საახალწლოდ ყველაზე გახმაურებული ამბავი სწორედ „ტროლების თემაა“, ხოლო თუ ძირისძირობამდე ჩავყვებით საკითხს, აღმოვაჩენთ, რომ მსოფლიო ისტორიის ყველაზე დიდი და ცნობილი ტროლი სწორედ თოვლის ბაბუაა, უცხოურად — სანტა კლაუსი! **აბა, რაის ლაპლანდია, რისი მფრინავი ირმები და რა საჩუქრები, რას გვტროლავს ვიღაც თოვლის ბაბუის ფორმაში გადაცმული ტიპი? ჰო, არ გაგიკვირდეთ, მალე „ნაცები“, „გირჩები“ და სხვა მისთანანი ზუსტად ასე რომ მიუდგნენ საკითხს...**

ეს იქით იყოს და, ამ საახალწლოდ ზეიმჩამწარებულ „პანდაზეც“ ვთქვათ ორიოდე სიტყვა — ეს ახალგაზრდების ის ჯგუფია, რომელსაც სახელისუფლებო „ტროლობას“ უყენებენ ბრალად და ამის დასტურად „ფეისბუქის“ მიერ გარკვეული „ექაუნთების“ წაშლა მოაქვთ.

სინამდვილეში, **თუ გინდათ, რეალური ტროლობა ნახოთ რაც არის, ამ დღეებში სწორედ „პანდას“ ფეისბუქგვერდზე უნდა შეხვიდეთ და წაიკითხოთ ის ასობით ლანძღვა, უხამსი გინება, მუქარა, შეურაცხყოფა, რასაც „ნაცების“ მართლა ტროლები ტოვებენ „პანდას“ გვერდზე კომენტარებად.**

რეალურად რა ხდება? ფეისბუქმა სრულიად მსოფლიოს მასშტაბით, თითქმის ყველა ქვეყანაში გააუქმა ათასობით ვებგვერდი, რომლებიც მათი „გამოძიების“ მიხედვით, ამა თუ იმ ქვეყანაში სამთავრობო პროპაგანდას ეწეოდნენ. **თუ ვიმსჯელებთ იქიდან გამომდინარე, რომ თვითონ ამერიკაშიც, მოქმედი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მხარდამჭერი გვერდები გაუქმდა, ფაქტია, რომ ეს მსოფლიო კამპანია ფეისბუქის მხრიდან ანტიტრამპული კამპანიის მხარდაჭერისა და მსოფლიო ნეოლიბერალური ძალების ხელშემწყობი გამოხდომაა.**

რეალურად „ფეისბუქმა“ გააუქმა ის გვერდები, რომლებიც მათ ტრამპის პოლიტიკის მიმდევრებად მოეჩვენათ, ე.ი., ლიბერალური პროპგანადის მოწინააღმდეგედ.

როგორ შემოგვასაღეს ეს ამბავი „ნაციონალების“ ქართველმა ტროლებმა? აი, ასე — **„ესენი არიან ქვეყნის მოღალატეები, მათ ფეისბუქმა გაუუქმა გვერდები, სადაც პრორუსულ პროპაგანდას ეწეოდნენ, ლანძღავდნენ ვაჟა ექიმს და სახელს უტეხდნენ პატარა ლუკას, რომელმაც სისტემის ზეწოლას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა. ეს ადამიანები ივანიშვილის ძირმომპალ რეჟიმს უმაგრებდნენ ფესვებს. სადაც შეგხვდებიან ეს ნაბიჭვრები, აგინეთ და აფურთხეთ“,** — ასეთი ტექსტები გავრცელდა ამ წინასაახალწლო დღეებში და ამ ტექსტს ახლავს სამი ახალგაზრდა ბიჭის ფოტო, მათ პირადი მონაცემებით და ყველაფრით — ესენი არიან სწორედ „პანდას“ დამფუძნებლები.

როგორ მოგწონთ? **ისევ და ისევ სპეკულაცია „ვაჟა ექიმითა“ და „პატარა ლუკას სულით“... და, რაღა თქმა უნდა — „რუსული პროპაგანდით“. არადა, რეალურად ფეისბუქის განცხადებაში, სადაც ამ გვერდების დახურვაზეა საუბარი, საერთოდ, არ არის ნახსენები რუსული პროპაგანდა, „ვაჟა ექიმსა“ და „პატარა ლუკაზე“ ხომ საუბარიც ზედმეტია. იქ, უბრალოდ, ნათქვამია, რომ დაიხურა ფეისბუქის გვერდები, რომლებსაც, როგორც აღმოჩნდა, მართავდა ერთი და იგივე ჯგუფი და რომელიც დაკავშირებული იყო სახელისუფლებო სტრუქტურებთან...**

ეს კიდევ ცალკე თემაა და მინდა, ვიკითხო — რატომ?

განა არ აქვს უფლება ვინმეს, აწარმოოს გინდაც სახელისუფლებო და როგორიც გინდა „პიარი“? რა, ფეისბუქის წესდებით აკრძალულია, რომ ადამიანთა რომელიმე ჯგუფმა რამდენიმე გვერდი და ინტერნეტრესურსი შექმნას? თუ რა იდიოტობაა ფეისბუქის ადმინისტრაციის მიერ დასახელებული მიზეზი? მერე რა, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებული წრეები აფინანსებდნენ? სად და რომელი ნორმატიული აქტით ან თუნდაც ფესიბუქის რომელი რეგულაციით არის აკრძალული, ვინმემ დაიქირავოს ახალგაზრდა ადამიანები ინტერნეტრესურსის შესაქმნელად და სამართავად?



**„მთელი ქართველი საზოგადოებისა“ და „სრულიად საქართველოს გულანთებული ახალგაზრდების“ სახელით მოვაჭრე ორასიოდე შავბნელმა და მოსყიდულმა პერსონამ უკვე ბავშვების სულებით და სულისშემძვრელი ტრაგედიებითაც დაიწყო ურცხვი ვაჭრობა და სპეკულირება. თანაც, თავიანთი შავბნელი მიზნების მისაღწევად ადამიანებისთვის დღესასწაულების ჩაშხამებასა და ბავშვებისთვის ხასიათის გაფუჭებასაც არ თაკილობენ**

რაც შეეხება „ვაჟა ექიმს“, „პატარა ლუკას“ და „რუსულ პროპაგანდას“ — ეს უკვე „ატლანტიკური საბჭოს“ ე.წ. საგამოძიებო ჯგუფმა ჩაამატა, რომელიც არის ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია და რომლის დამფუძნებლები ყოფილი „ნაციონალი“ მაღალჩინოსნები არიან, კერძოდ, სააკაშვილის დროინდელი თავდაცვის მინისტრის მოადგილე **ბათუ ქუთელია** და მისი მეგობრები.

აი, ეს არის სწორედ ტროლინგი, რომ ამ ცილისმწამებლებმა მათ მიერვე გავრცელებული განცხადება „ამერიკელების განცხადებად“ გაასაღეს და ამდენ ხალხს აგინებინებენ ჯგუფ „პანდას“, რომელიც ყველაზე დიდ „სახელისუფლებო პიარში“ არის ბრალდებული, რაც რეალურად სულაც არ არის დანაშაული.

არავითარი „რუსული პიარი“, მით უმეტეს „ვაჟა ექიმის“ და „პატარა ლუკას“ ხსენება, „პანდას“ მიერ მართულ გვერდებზე არ ყოფილა. ეს წმინდა წყლის „ტროლინგია“!

ისიც აუცილებლად სათქმელია, ვინ აკეთებს ამას? ეს ის ხალხია, რომელთა ლიდერმა და ბელადმა თვითონვე აღიარა ფეიკ-აქაუნთების და ტროლების გამოყენება. თავისი ჭკუით, **მიხეილ სააკაშვილი** ხსნიდა **გურამ დონაძისა** და **ფარნაოზ ჭკადუას** დაპატიმრების „რეალურ“ მიზეზებს და ასეთი რამე თქვა: **„რატომ დაიჭირეს მაინცდამაინც გურამ დონაძე და ფარნაოზ ჭკადუა? იმიტომ, რომ გურამ დონაძის შექმნილი იყო ფეისბუქგვერდი „რეზიდენტი სალომე“, ხოლო ფარნაოზ ჭკადუა აკეთებდა ფეისბუქგვერდს — „ქოცების დასაცინი ოფიციალური საагენტო“, აი ეს არ აპატია მათ ბიძინა ივანიშვილმა...“**

ეს, ფაქტობრივად, აღიარებითი ჩვენებაა, რომ გურამ დონაძე და ფარნაოზ ჭკადუა აწარმოებდნენ ფეიქაქაუნთებს და ცილისწამებას ავრცელებდნენ, ე.ი. ბანალურად იტყუებოდნენ. ფაქტია ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილმა ამის შესახებ იცოდა და არ არის გონივრულ ეჭვს მიღმა ვარაუდი, რომ სწორედ სააკაშვილი აფინანსებდა ამ ფეიკაქაუნთებს და ახლაც აფინანსებს ათუელობით, ან სულაც ასეულობით ასეთ ტროლს.

დიახ, ხსენებულ ფეისბუქგვერდებზე მიმდინარეობდა გახურებული ტროლინგი და სხვა არაფერი. სწორედ ისინი იყვნენ ტყუილი ნიუსების მთავარი მწარმოებლები.

ისე კი, **რაღა შორს წავიდეთ და, ნამდვილი ტროლობა რასაც ჰქვია, ეს სწორედაც „ნაცების“ ტელევიზიებია — „მთავარი არხი“, „ტვ პირველი“, „პალიტრა ტვ“, „ფორმულა ტვ“ და თუნდაც ახალი „რუსთავი 2“ რეკორდებს ხსნიან მოსახლეობის დატროლვასა და დაპანიკებაში.**

რას ნიშნავს დატროლვა? **ეს არის მაყურებლისთვის, მსმენელისთვის ან მკითხველისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც არ შეესაბამება სიმართლეს და, ამასთანავე, იწვევს ადამიანის გაღიზიანებას, გაბრაზებას, ვინმეს მიმართ უარყოფითი განწყობის შექმნას, ან ვინმეს გადაქცევას დაცინვისა და ზიზღის ობიექტად... მგონი, უკვე წარმოგიდგათ თვალწინ ზემოთ ჩამოთვლილი ტელევიზიების სიუჟეტები არა?**

ჰოდა, ვინც მოსახლეობას ტროლავს, იმას რა ჰქვია? რა და „ტროლი“!

მითხარით, დიდ განსხვავებას ხედავთ ვინმე ინტერნეტისა და ფეისბუქის გამოყენებით დაგტროლავთ, თუ პირდაპირ ეთერში ტელევიზით ჩაგიტარებთ ტროლიზმის მასტერკლასს? ამიტომაც არის გასაკვირი, რომ ჩვენს ქვეყანაშიც ისეთივე აღშფოთება და რისხვა გამოხატეს ტროლების მიმართ, როგორც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. იქ, ევროპაში, გასაგებია — ხალხი სხვაგან ვერსად ვერ ხვდება ტროლებს, ვერც ტელევიზიაში, ვერც ქუჩაში, ვერც რეალურ ცხოვრებაში. ამიტომ მათი აღფოთება გამოიწვია სრულიად უკონტროლო ინტერნეტსივრცემ, სადაც ტროლები განუკითხავად დათარეშობენ...

აი, ჩვენთან კი, მართლა ვერ ვხვდები, რამ გააკვირვა და აღაშფოთა ეს ხალხი? არსებული ტელევიზიებისა და მოქმედი ჟურნალისტების 90 პროცენტი ხომ გაქანებული ტროლია?!

ქუჩაში მომიტინგეები თუ საპროტესტო აქციების ორგანიზატორ-მონაწილეები ტროლობის ოსტატები არიან! ჰოდა, მაინცდამაინც ინტერნეტის ტროლებს რატომ ეცით და ლანძღავთ? საქმეც ეგაა, რომ აი ეს ლანძღვაც „დატროლვაა“ და ამით მოსახლეობას ზაფრავენ, თორემ თვითონ ტროლებს, სხვისი ტროლობა რანაირად უკვირთ?

პარადოქსია ისიც, რომ როდესაც რამდენიმე პარლამენტარმა თავის დროზე წამოაყენა წინადადება მოსახლეობისთვის ფეიკნიუსების მიმწოდებელი მედიასაშუალებები და ინტერნეტრესურსები გამოვავლინოთ და დავსაჯოთ, დავაჯარიმოთ, ამისთვის მივიღოთ შესაბამისი საკანონმდებლო აქტიო, ყველაზე ხმამაღლა სწორედ **ნიკა გვარამია, ინგა გრიგოლია** და „ნაცები“ აწიკვინდნენ, — ეგ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაა და ბიძინა გავალებთ, რომ მის დიქტატურას ხელი შეუწყოთო!

ახლა კი სწორედ ისინი აპოროტესტებენ ფეიკნიუსებისა და ფეიკაქაუნთების არსებობას... რა ხდება, „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრდინდები“-ა თუ „ნურც გატროლდები, ნურც მოტროლდები?“

მოკლედ, ძაანტროლური ქვეყანა ვართ და ერთადერთი, რაც ამ დღეებში „არატროლური“ და ნამდვილი მართლა მოხდება — ეს ახალი წლის დადგომაა!

გილოცავთ ყველას და მრავალ ბედნიერ ახალ წელს დაგასწროთ არატროლმა და ძალიან ნამდვილმა ღმერთმა!

„ხელისუფლებას ძალიან დიდი შეცდომა მოსდის, როცა თვლის, რომ ახლა ყველაფერს, ყველა რეფორმას და ცვლილებას ერთბაშად განახორციელებს. ვერ განახორციელებს, ვერც ერთბაშად და ვერც ცალ-ცალკე, იმიტომ, რომ ხალხმა რაღაც ეტაპამდე შეიძლება ითმინოს, მაგრამ შემდეგ უკვე იქნება სამოქალაქო წარღვნა. რაც შეეხება იმ ადამიანებს, უმრავლესობის წევრებს ვგულისხმობ, რომლებიც ავანგარდში არიან დასავლეთის დირექტივების შესრულების, ისინი ერთ დღეს კანონებს იღებენ სოროსის ფონდის დავალებით, მეორე დღეს შეიძლება სანთლებით ხელში პატრიარქის გვერდით იდგნენ ტაძარში. ტიპური ფარისევლები არიან“.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

# საქართველოს სულ მალე შეიძლება, ჰყავდეს ჰომოსექსუალი პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, მერი, მინისტრები, პრემიერი და ა.შ.

## «ხალხმა შეიძლება მოითმინოს, მაგრამ რაღაც მომენტის შემდეგ უკვე იქნება სამოქალაქო წარღვნა»

**17 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უცხოეთიდან დაფინანსებული ლგბტ უფლებადამცველი „არასამთავრობო“ ორგანიზაციების აქტიური ზეწოლითა და კარნახით, მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელი კიდევ ერთი „უპრეცენდენტო“ გადაწყვეტილება მიიღო — ხანგრძლივი განხილვისა და მსჯელობის შემდეგ, რომელიც, ფაქტობრივად, ფართო საზოგადოების ყურადღების მიღმა, შესაბამისი საინფორმაციო გაშუქების გარეშე მიმდინარეობდა, მოსამართლეთა მეორე კოლეგიამ, ოთხი მოსამართლის შემადგენლობით, არაკონსტიტუციურად ცნო წლების წინათ ჯანდაცვის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებულება, რომლის თანახმად, ჰომოსექსუალებს ბოლო კავშირიდან 10 წლის განმავლობაში სისხლის დონორობა ეზღუდებოდათ (შეგახსენებთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია ოთხი მოსამართლისგან შედგება. ესენია, კოლეგიის თავმჯდომარე თეიმურაზ ტუღუში, კოლეგიის წევრები: მანანა კობახიძე, ირინე იმერლიშვილი და თამაზ ცაბუტაშვილი).**

გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში (რაც ბუნებრივია, ადგილობრივ აგრესიულ ლგბტ აქტივთან ერთად, სხვადასხვა დასავლური ინსტიტუტების მკაცრი მითითების შედეგიც იყო), ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ შეზღუდვა სექსუალურ უმცირესობებს, ქვეყანაში თანასწორობის კუთხით არსებული ისედაც რთული ვითარების ფონზე, კიდევ უფრო მძიმე დიდკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს. მეტიც, მოსამართლეთა მოსაზრებით, აღნიშნული შეზღუდვა, წმინდა სამედიცინო თვალსაზრისითაც დაუსაბუთებელია, რადგან 10 წელი, თურმე, აღემატება ადამიანის სისხლში ამა თუ იმ ინფექციის საინკუბაციო პერიოდს...

ცნობისთვის: მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი სამედიცინო ცენტრების მიერ წლების განმავლობაში ჩატარებულმა არაერთმა საფუძვლიანმა მეცნიერულმა კვლევამ ცხადყო, რომ სისხლის გზით გადამდები მძიმე ინფექციების გადადების რისკი მამაკაცებთან სქესობრივი კავშირის მქონე მამაკაცებში გაცილებით მაღალია. გამომდინარე ამ მეცნიერული სტატისტიკიდან, სექსუალური გადახრების მქონე ადამიანებს სისხლის დონორობის შესაძლებლობა მსოფლიოს არაერთ განვითარებულ ქვეყანაში ეზღუდებოდა, თუმცა დასავლეთში „ნეოლიბერალური“ იდეოლოგიის გაბატონების შემდეგ, როცა უკვე მეცნიერული შედეგების უარყოფა და მედიცინასთან აბსოლუტურად შეუსაბამო ფსევდომეცნიერული სტანდარტების დამკვიდრება მოხდა, (მაგალითად, როგორიცაა ე.წ. გენდერის თეორია), ეს შეზღუდვები ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად გამოცხადდა...

**რას ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოსთვის და რა ცვლილებები შეიძლება, „ლოგიკურად“ მოჰყვეს ამ ყველაფერს? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე.**

**— ბატონო ნიკოლოზ, ამ დღეებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო წლების წინათ ჯანდაცვის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებულება, რომლის თანახმად, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებს სისხლის დონორობა ეზღუდებოდათ. ოთხკაციანი კოლეგიის მოსაზრებით, ეს შეზღუდვა დისკრიმინაციულ ფონს ამძიმებდა... რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე? რა მიზანს ემსახურება რეალურად ეს გადაწყვეტილება?**

— ეს საკითხი, პირველ რიგში, ალბათ სამედიცინო თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. რატომ ჰქონდათ აქამდე ამ ადამიანებს ასე ხანგრძლივი ვადით შეზღუდული სისხლის დონორობა? როგორც ცნობილია, საფუძველი ამის იყო მეცნიერული კვლევები, რომლებიც ცხადყოფს, რომ რისკფაქტორი, სისხლით გადამდები სხვადასხვა მომაკვდინებელი ვირუსებისა, მათში გაცილებით დიდია. უფრო მეტიც, არის გარკვეული დაავადებები, მაგალითად აივ-ინფექცია, რომლის გავრცელების უპირველესი წყარო ჰომოსექსუალური ურთიერთობებია და ამ ინფექციით დაავადებულთა პროცენტულად მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებზე მოდის...

**— თუმცა სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების პირობებში სისხლში ნებისმიერი ვირუსის აღმოჩენა ადრეულ ეტაპზევეა შესაძლებელი. ამით ხსნიან ისინი დონორობის უფლების 10 წლით შეზღუდვის არაკონსტიტუციურობას, თქვენ რას ფიქრობთ?**

— თანამედროვე მეცნიერული ტექნოლოგიებით, ალბათ, ბევრი რამეა შესაძლებელი, მაგრამ დღეს საქართველოში ამ ტექნოლოგიების არსებობაზე საუბარიც ზედმეტია. ყველამ ვიცით, რომ ჩვენი ჯანდაცვის სისტემა, მოყოლებული წინა ხელისუფლების პერიოდიდან, პრაქტიკულად, სულს ღაფავს. **ან რა ტექნოლოგიების არსებობაზეა საუბარი, როცა ანალიზის ამღებებს და საავადმყოფოების იმ პერსონალს, რომელიც სისხლს ამოწმებს, 400 და 500 ლარი აქვთ ხელფასი. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, ამ 400 და 500 ლარზე მომუშავე ადამიანების იმედად მყოფი ქვეყანა არის მზად საფრთხეებისთვის?** ისე, უცხოეთის პრაქტიკა ძალიან მნიშვნელოვანია. საინტერესოა, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში როგორაა...

**— დასავლეთის ქვეყნებში „ლიბერალურმა დიქტატმა“ მეცნიერება და განსაკუთრებით მედიცინა, პრაქტიკულად, თავდაყირა დააყენა. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ სოდომია დაავადებათა ნუსხიდან ამოიღო; ან ის, რომ თურმე სქესი არჩევითია... ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მათი პრაქტიკა ჩვენთვის, ალბათ, დიდად სასურველი ვერ იქნება. არ მეთანხმებით?**

— გეთანხმებით, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიკვირს. არ მიკვირს, იმიტომ რომ დღეს ჩვენ ხელისუფლების სათავეში გვყავს ძალა, რომელიც აცხადებს, რომ ევროპული ტიპის სამოქალაქო საზოგადოება უნდა შექმნას. რას ნიშნავს ეს, მგონი, ყველა ვხვდებით... სხვათა შორის, ამ დღეებში თბილისში, ტრანსგენდერების რაღაც დაჯილდოება ჩატარდა და მათთან ერთად მათი ბებია-ბაბუებიც გამოიყვანეს. გამოვიდა სახელმწიფო ინსპექტორი **ლონდა თოლორაია** და განაცხადა, რაც შეიძლება მეტი ასეთი ბებიები და ბაბუები — ამ საახალწლოდ, პრაქტიკულად, დაგვწყევლა... რაც შეეხება სასამართლოს კონკრეტულ განჩინებას, ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ეს ყველაფერი არის ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარე პროცესი, რომელმაც საბოლოოდ ქვეყანა უნდა მიიყვანოს გადაგვარებამდე. თუმცა განსხვავებით წინა წლებისგან, ვერ ვიტყვით, რომ დღეს ეს პროცესი ნელა და ფრთხილად მიდის. პირიქით, ძალიან სწრაფად კეთდება ყველაფერი...

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს, რა კეთდება სწრაფად?**

— საერთოდ, **ადრე, როცა, ვთქვათ, საკანონმდებლო ცვლილების საკითხი დგებოდა და განხილვები იწყებოდა, ლიბერალური ელიტის თავები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ჯერ ეს ნაადრევია, ჯერ საზოგადოების სამოქალაქო თვითშეგნება და ცნობიერება ამისთვის მზად არ არის... დღეს ამას აღარ ამბობენ. მიიღებენ დირექტივას, პირდაპირ კონსტიტუციის ჭრა-კერვას იწყებენ. არც აინტერესებთ, ხალხისთვის მისაღებია ეს ცვლილება თუ არა. ასე მოიქცნენ „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მიღებისას, ასე მოიქცნენ „ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის“ შემუშავებისას, რომელშიც უამრავი, პირდაპირ ვიტყვი, საეჭვო და საკამათო ნიუანსია და ასე მოიქცნენ წლების წინათ „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ დამტკიცებისას.** რაც შეეხება შედეგს და პერსპექტივას ამ ყველაფრის, ვფიქრობ, საქართველოს სულ მალე შეიძლება, ჰყავდეს ჰომოსექსუალი პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, მერი, მინისტრები, პრემიერი და ა.შ. თუმცა ახლაც საკმაოდ არიან და ეს ყველამ ძალიან კარგად ვიცით. საქართველო პატარა ქვეყანაა, თბილისიც პატარაა...

**— ისე, როგორ ფიქრობთ, რატომ ჩათვალა დღეს ხელისუფლებამ, რომ საზოგადოების აზრი ნაკლებად მნიშვნელოვანია და დასავლეთიდან ნაკარნახევი ყველა „ლიბერალური“ რეფორმის განხორციელება შეიძლება?**

— არ ვიცი და მართალი გითხრათ, არც მაინტერესებს, ვინ რა ჭკუას ემსახურება დღევანდელ ხელისუფლებაში, მაგრამ ერთი რამ აშკარაა — დასავლეთისკენ სწრაფვამ და ამ სწრაფვის კვალდაკვალ ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულმა რეფორმებმა ქვეყანა დაანგრია. განსაკუთრებით ეს ეხება განათლების სისტემას და ამ სისტემაში არსებული პრობლემების სიმძიმეს ჩვენ ხვალ-ზეგ უფრო მძიმედ ვიგრძნობთ...

**— რას გულისხმობთ?**

— ავილოთ, თუნდაც, ეს გახშირებული თვითმკვლელობები მოზარდებში. რას აკეთებს ხელისუფლება? ადგნენ და ფსიქოლოგები შეიყვანეს სკოლებში. **ბავშვს, რომელსაც პირველი კლასიდანვე ასწავლიან, რომ „ტოლერანტობასა“ და „მრავალფეროვნებაშია“ ჩვენი მომავალი, „განსხვავებულის“ მიუღებლობა სიბნელეა და შენ თავისუფალი ხარ ყველაფერში, რაც მოგინდება, ფსიქოლოგი უშველის?!** ან ვინ არიან ეს ფსიქოლოგები და რა წვრთნა აქვთ გავლილი, ჩვენ ხომ ვიცით... კიდევ ვიმეორებ, **არ გამიკვირდება ნამდვილად, რომ სალომე ზურაბიშვილის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტად ან ლესბოსელი დაგვისვან ან მამათმავალი და ეს იქნება გამოცხადებული, როგორც უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯი დემოკრატიაში. აგერ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე მამათმავალი დაგვისახელა მომავლის ადამიანად.** სხვათა შორის, ამას წინათ პარლამენტის თავმჯდომარე **თალაკვაძემ** განაცხადა ერთ-ერთ გამოსვლაში, რომ ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპები არის ის, რასაც ჩვენი მეგობარი ამერიკის ხელისუფლება გვეტყვისო. მორჩა და გათავდა, ამით პირდაპირ გვითხრა, რომ თქვენი, ხალხის, აზრი კი არ მაინტერესებს, რას ფიქრობთ და რა გინდათ, იქიდან ვიმართები და მათ დავალებებს ვასრულებო...

**— დასაწყისში თქვით, რომ მალე საქართველოს შეიძლება, ჰომოსექსუალი პრეზიდენტი ჰყავდეს, პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და ა.შ. როგორ ფიქრობთ, რა მოჰყვება ამას საზოგადოების მხრიდან?**

— **საზოგადოების უმრავლესობა დღეს, საბედნიეროდ, მაინც ეროვნულად აზროვნებს და ფაქტია, რომ ვერანაირი ფსევდოლიბერალური პროპაგანდა ამას ვერ ცვლის. გამომდინარე აქედან, ვფიქრობ, ხელისუფლებას ძალიან დიდი შეცდომა მოსდის, როცა თვლის, რომ ახლა ყველაფერს, ყველა რეფორმას და ცვლილებას ერთბაშად განახორციელებს. ვერ განახორციელებს, ვერც ერთბაშად და ვერც ცალ-ცალკე, იმიტომ, რომ ხალხმა რაღაც ეტაპამდე შეიძლება ითმინოს, მაგრამ შემდეგ უკვე იქნება სამოქალაქო წარღვნა.** რაც შეეხება იმ ადამიანებს, უმრავლესობის წევრებს ვგულისხმობ, რომლებიც ავანგარდში არიან დასავლეთის დირექტივების შესრულების, ისინი ერთ დღეს კანონებს იღებენ სოროსის ფონდის დავალებით, მეორე დღეს შეიძლება სანთლებით ხელში პატრიარქის გვერდით იდგნენ ტაძარში. ტიპური ფარისევლები არიან და ასეთი ადამიანები ხელისუფლებაში კი არ უნდა იყვნენ, ფეხის დადგმის საშუალება არ უნდა მისცე საქართველოში. მათი ადგილი არის პოლიტიკურ სანაგვეზე, ნაწილის — ციხეში და ნაწილის იქ, საიდანაც საქართველოს დაცლის, გარყვნისა და გათახსირების მითითებას იღებენ...

## აგერ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე მამათმავალი დაგვისახელა მომავლის ადამიანად. სხვათა შორის, ამას წინათ პარლამენტის თავმჯდომარე თალაკვაძემ განაცხადა ერთ-ერთ გამოსვლაში, რომ ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპები არის ის, რასაც ჩვენი მეგობარი ამერიკის ხელისუფლება გვეტყვისო

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იმის გამო, რომ ოკეანის გაღმა გარკვეულ გავლენიან პოლიტიკურ წრეებს სურთ, რუსეთი დასაჯონ და ამით თვითონ იხეირონ, გერმანია, საფრანგეთი, ჩინეთი, ინდოეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ბრაზილია ან სხვა რომელიმე ქვეყანა საკუთარ სახელმწიფოებრივ ინტერესებს დარტყმის ქვეშ დააყენებს?“**



*გულბაათ რცხილაძე:*

# რუსეთს სანქციები და ბლოკადები რომ შლიდეს, დიდი ხნის გამქრალი იქნებოდა

**რამდენიმე დღის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ახალი ეკონომიკური (და არა მხოლოდ ეკონომიკური) სანქციების მხარდაჭერას, რაც ვაშინგტონის მხრიდან კრემლის მიმართ დესტრუქციული პოლიტიკის კიდევ ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დიდი აჟიოტაჟი მოყვა. დოკუმენტით აღფრთოვანებულმა მედასავლეთე ლიბერალებმა სენატორები არა მხოლოდ ადიდეს და კომპლიმენტებით შეამკეს, უმრავლესობით მიღებული ხმაურიანი დოკუმენტი საქართველოს ხსნისა და გადარჩენის აქტად შერაცხეს. თუმცა, მიუხედავად ამ არაადეკვატური შეფასებებისა, რაც მოულოდნელი, ალბათ, არავისთვის ყოფილა, ზოგიერთი (ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაში) ილუზიებში კიდევ უფრო შორს წავიდა. მათი შეფასებით, მსგავსი ზემოქმედება რუსეთის ამჟამინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის დასასრულია; ბევრმა კი კანონპროექტი კრემლისთვის ერთგვარ მომაკვდინებელ დარტყმად შეაფასა და დასძინა, რომ, რუსეთი, როგორც საერთაშორისო გეოპოლიტიკურ ასპარეზზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო, მსგავსი ეკონომიკური პრესინგით, ადრე თუ გვიან, დაიშლება...**

**რას მოუტანს დღეს რეალურად საქართველოს ვაშინტონის მიერ კრემლის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები და რა პროცესები შეიძლება განვითარდეს უახლოეს მომავალში ამ ყველაფრის კვალდაკვალ?**

**— ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე.**

**— ბატონო გულბაათ, ამერიკის სენატის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს საქართველოში ბევრი გახარებული შეხვდა. ოპოზიციაც და ხელისუფლებაც მიიჩნევს, რომ ეს აუცილებლად იქონიებს შედეგს. თქვენ როგორ ფიქრობთ, რას მოგვიტანს ეს სანქციები?**

— დავიწყოთ თვითონ ამ დოკუმენტის მნიშვნელობით, რა არის სანქციების სიაში? პირველ რიგში, იქ საუბარია რუსეთის სახელმწიფო ბანკების ოპერაციების აკრძალვაზე ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, ეს ეხება „სბერბანკს“ და „ვითიბის“, საუბარია, აგრეთვე, გარკვეული ფინანსური აქტივების გაყინვა-დაყადაღებაზე, თანამშრომლობის შეწყვეტაზე ენერგეტიკულ სფეროში და ა.შ. გაფართოებულია ნუსხა იმ ბიზნესმენების და პოლიტიკოსებისა, რომლებიც დასავლეთის წარმოდგენით, დაკავშირებული არიან **ვლადიმერ პუტინის** გარემოცვასთან. მარტივად რომ ვთქვათ, რომლის ავანგარდშიც, მოგეხსენებათ, კრემლიც განიხილება, პრაქტიკულად, ხორციელდება მასშტაბური ეკონომიკური და არა მხოლოდ ეკონომიკური შეტევა რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებზე, რაც, რა თქმა უნდა, არ არის მარტივი პროცესი. ეს ყველაფერი როგორ აისახება ამერიკის აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკაზე, დრო გვიჩვენებს. სანქციებს მწვანე შუქი ჯერ მხოლოდ სენატის კომიტეტმა აუნთო, სენატის სრული შემადგენლობის გადაწყვეტილება კი წინ არის. მაგრამ ამერიკული პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიდგომა რუსეთისადმი რომ აგრესიული და პროვოკაციულია, აშკარაა. რაც შეეხება საქართველოს, რას ველოდებით ჩვენ ამ სანქციებიდან? სამწუხაროდ, ჩვენი რეალობა უცვლელია იმ თვალსაზრისით, რომ **ქვეყანაში არის ანტირუსული განწყობით ეგზალტირებული რამდენიმე ათეული ადამიანი, თავის ასევე ძალიან მცირერიცხოვან აქტივთან ერთად, რომელიც ცდილობს, შექმნას რუსეთის დაშლის, გაქრობის ილუზია. თუმცა რუსეთის დაშლა და დასუსტება რომ ახლო მომავლის პერსპექტივა არ არის და არც შორეულის, ამას, ალბათ, ბავშვიც ხვდება.** უფრო მეტიც, დღეს ყველა თანხმდება და ამას დასავლურ ნეოლიბერალურ წრეებში არსებული მეტ-ნაკლებად ადეკვატური ძალებიც აღიარებენ, რომ რუსეთი, მიუხედავად მასზე განხორციელებული საკმაოდ მძიმე ეკონომიკური ზეწოლისა, ბოლო წლების განმავლობაში, სამხედრო თვალსაზრისით, ძალიან გაძლიერდა. **რუსეთის ეკონომიკური დაქვეითება რომ დავუშვათ, როგორც ამას ჩვენი „პროდასავლური“ პოლიტელიტა ოცნებობს, ჩვენ რას ველოდებით? — რა, კაპიტულაციას გამოაცხადებს პუტინი, გაიყვანს ჯარებს კონფლიქტური რეგიონებიდან და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ გვინდა თუ პირიქით — კიდევ უფრო გააძლიერებს შეიარაღებას?**

**— თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ბოლო 5-10 წლის პრაქტიკას გადავხედოთ. იყო სანქციები, იყო აკრძალვები და შეზღუდვები... რა შეიცვალა? კი, ეკონომიკურად მიიღო სერიოზული დარტყმები ქვეყანამ, მაგრამ მთავარი, რაც არის ზესახელმწიფოსთვის — შეიარაღება და თავდაცვა, დასუსტდა? საერთოდ, რაც უფრო გაძლიერდება დასავლეთის, განსაკუთრებით — შეერთებული შტატების მცდელობა, ეკონომიკური სანქციებით შეასუსტოს კრემლის პოზიციები საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე, მით მეტად გაძლიერდება რუსეთის სამხედრო პოტენციალი, რეალურად ეს იქნება ერთგვარი ბიძგის მიმცემი იდეოლოგიური ფაქტორი ქვეყნისთვის, რომ კიდევ უფრო მილიტარისტული გახდეს და მეტი ყურადღება მიმართოს საკუთარი უსაფრთხოების მთავარი გარანტის, შეიარაღებული ძალების გაძლიერებაზე.

**— კი მაგრამ, თუ ის სრულ ეკონომიკურ იზოლაციაში მოექცევა, რის ხარჯზე შეძლებს სამხედრო პოტენციალის გაზრდას?**

— ჯერ ერთი, რუსეთს სრულ ეკონომიკურ იზოლაციაში ვერავინ მოაქცევს, იმიტომ, რომ ევროპის და განსაკუთრებით ცენტრალური ევროპის წამყვან სახელმწიფოებს არ აძლევს ეს ხელს და მეორე — ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ახლა ვსაუბრობთ ქვეყანაზე, რომელსაც დედამიწის ხმელეთის თითქმის ერთი მეექვსედი უკავია. ანუ, რეალურად, რუსეთი, თავის წიაღისეული სიმდიდრეებით, ნავთობით, ბუნებრივი აირით და სხვა ბუნებრივი რესურსებით ევროპისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ევროპის გარდა, რუსეთს ჰყავს არანაკლებ მნიშვნელოვანი პარტნიორები აზიის კონტინენტზე, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში. ახლა თქვენ როგორ ფიქრობთ, **იმის გამო, რომ ოკეანის გაღმა გარკვეულ გავლენიან პოლიტიკურ წრეებს სურთ, რუსეთი დასაჯონ და ამით თვითონ იხეირონ, გერმანია, საფრანგეთი, ჩინეთი, ინდოეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ბრაზილია ან სხვა რომელიმე ქვეყანა საკუთარ სახელმწიფოებრივ ინტერესებს დარტყმის ქვეშ დააყენებს?**

რაც შეეხება ტექნოლოგიებს და ტექნოლოგიურ პროგრესს, რა იზოლაციაშიც უნდა მოაქციონ ეს ქვეყანა, რუსეთს მაინც აქვს საკმარისი ტექნოლოგიები, ჰყავს მეცნიერები და ამ მხრივაც შეუძლია ავტონომიურად არსებობა.

**— დავუბრუნდეთ ისევ იმ ლიბერალურ ეიფორიას, რაც სენატის მიერ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მხარდაჭერას საქართველოში მოყვა. როგორ ფიქრობთ, ამ ყველაფერმა შეიძლება, კიდევ უფრო დაძაბოს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა?**

— მინდა, გულწრფელად ვურჩიო ამ ჩვენს ტვინგაცხელებულ ლიბერლურ ბრბოს, რომ, სანამ რუსეთის მისამართით ყაყანს დაიწყებენ, დაფიქრდნენ, ვისთან და რა ძალასთან აქვთ საქმე. სრულიად საკმარისი იქნება დაახლოებით 100-200- კაციანი ჯგუფის გადმოსხმა ე.წ. კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“, რომელიც მსოფლიოში მაღალი დონის ელიტური ჯგუფია. ეს ჯგუფი რომ გადმოსხან დესანტად ფუნიკულიორზე, ვნახოთ, ვინ გაასწრებს აქედან — მიშას „ნაცები“ თუ ბოკერიას „ევროპელები“. არავის ვაშინებ, მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს, თუმცა არა ამერიკის მიერ დაწესებული სანქციების გამო, არამედ ვიღაცის უპასუხისმგებლო მოქმედებებით. სხვათა შორის, ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით დღეს ძალიან სახიფათოა ის, რასაც ბოლო პერიოდში ჩვენი ე.წ. პატრიოტები აკეთებენ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონასთან... კიდევ ვიმეორებ, თუ ვინმეს აქვს მოლოდინი, რომ ამერიკა ჩვენს სასიკეთოდ რუსეთს შუბლით დაეჯახება, დაასუსტებს და მერე კარგად ვიქნებით, ასე არ მოხდება. ვერ გვიშველის და არც გვიშველის ამერიკა. ყველაზე დიდი, რაც მან შეიძლება, გააკეთოს, სანქციებია, თუმცა რუსეთს სანქციები და მსგავსი ტიპის რაღაც ეკონომიკური ბლოკადები რომ შლიდეს, დღეს ის დიდი ხნის გამქრალი იქნებოდა.

** იცით, რომ ცოტა ხნის წინათ საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს ალექსანდრე ჭაჭიას, ადამიანს, რომელსაც ყველაზე მეტი რესურსი და ნდობა აქვს საიმისოდ, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მიიღოს და მოუსმინოს. საკმარისი იყო, პატრიოტული ძალების კონსოლიდაციისა და მათი მხარდაჭერის სურვილი აშკარად გამოეხატა, რომ მაშინვე ბარიერი შეუქმნეს. საქართველოს ხელისუფლება იმ ავი ძაღლივით მოიქცა, თვითონ რომ არ შეუძლია თუ არ უნდა და სხვასაც რომ არ აძლევს საქმის გაკეთების საშუალებას**

**— დასაწყისში თქვით, რომ გარკვეული პროდასავლური ძალები ქვეყანაში მუდმივად ქმნიან რუსეთის დაშლის ილუზიას. მოქმედებს ეს საზოგადოების განწყობებზე და თუ არ მოქმედებს, რაზეა გათვლილი?**

— რაზეა გათვლილი, გასაგებია — დასავლეთიდან მართულ მარგინალურ პოლიტელიტას უკვე სხვა გზა აღარ დარჩა და ამით რაღაცნაირად სახის შენარჩუნებას ცდილობს. ეს ეხება „ლიბერალურ“ ოპოზიციას, რომელიც ამდენი ხანია, ქუჩა-ქუჩა დარბის და ქალაქს ანაგვიანებს, პარლამენტს აყროლებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დღეს მაგალითად, ჩამოსულ ტურისტს ამ ხალხის მეშვეობით ხვდება „ცუდი ზოოპარკი“ კარვებში შეყუჟული და ქუჩაში მოხეტიალე ოპოზიციის სახით.

რაც შეეხება საზოგადოების განწყობებზე ზემოქმედებას, მგონი, **საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს მაინც არჩევს შავს და თეთრს და კარგად ხვდება, რომ საქართველოსთვის დასავლეთი არ არის ე.წ. უსაფრთხოების ქოლგა. დასავლეთისთვის საქართველო არის პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომელსაც, როცა დასჭირდება, გამოიყენებს. თუნდაც იმ ფორმით, რომ ამას ჩვენი სახელმწიფოებრივი აღსასრული მოყვეს...**

**— ბოლო პერიოდში ჩატარებული ყველა კვლევა (მათ შორის „ენ-დი-აის“ მიერ ჩატარებულიც) ადასტურებს, რომ საზოგადოებაში რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მომხრე ადამიანების რაოდენობამ მოიმატა. როგორ ფიქრობთ, დღეს კრემლთან პირდაპირი დიალოგის დაწყების გზავნილით რამე მძლავრი პოლიტიკური ბირთვი რომ ჩამოყალიბდეს ქვეყანაში, ექნება მას ფართო მხარდაჭერა?**

— ვფიქრობ, ნებისმიერ ასეთ პარტიას, გაერთიანებას თუ მოძრაობას, რომელიც მართლა სუფთა წარსულის მქონე, განათლებული და ჭკვიანი, პატრიოტი ადამიანებით იქნება დაკომპლექტებული, დიდი მხარდაჭერა ექნება. თუმცა ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება იმ ხალხის კონსოლიდაცია, რომელსაც ასეთი პოლიტიკური ბირთვის ჩამოყალიბება შეუძლია.

ამაში მოქმედ ხელისუფლებას უდევს ლომის წილი. იცით, რომ ცოტა ხნის წინათ საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს **ალექსანდრე ჭაჭიას,** ადამიანს, რომელსაც ყველაზე მეტი რესურსი და ნდობა აქვს საიმისოდ, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მიიღოს და მოუსმინოს. საკმარისი იყო, პატრიოტული ძალების კონსოლიდაციისა და მათი მხარდაჭერის სურვილი აშკარად გამოეხატა, რომ მაშინვე ბარიერი შეუქმნეს. საქართველოს ხელისუფლება იმ ავი ძაღლივით მოიქცა, თვითონ რომ არ შეუძლია თუ არ უნდა და სხვასაც რომ არ აძლევს საქმის გაკეთების საშუალებას.

ისე, აქ ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც არის, მოგვწონს თუ არა, ფაქტია, რომ თანამედროვე ეპოქაში პოლიტიკას ძალიან დიდი მატერიალური რესურსი სჭირდება. ჯერჯერობით ეს რესურსიც არ ჩანს. რატომ და რის გამო, გასაგებია — ყველაფერი ერთი გაბატონებული იდეოლოგიურ-პოლიტიკური კლასის ხელშია. რაც შეეხება გზავნილს თუ დაპირებას პირდაპირი დიალოგისა და ურთიერთობების მოგვარებაზე, ვფიქრობ, ეს საზოგადოებისთვის არ უნდა იყოს იმ ფორმით მიწოდებული, რომ პოლიტიკურ თვითმიზანს ჰგავდეს. **რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, პირველ რიგში, ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე გვჭირდება და არა იმისთვის, რომ ვიღაცებმა მოსკოვიდან მიიღონ დივიდენდები. აი, ეს არის, ჩემი აზრით, მთავარი და მხოლოდ ამ პრინციპის დაცვით ექნება აზრი დიალოგზე საუბარს. სხვა შემთხვევაში მივიღებთ ისეთივე სურათს, როგორიც დღეს გვაქვს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სათავეში მყოფ ამა თუ იმ ძალას შეეცვლება პოლიტიკური გარანტორი.** ცხადია, ასეთი ცვლილება იქნება ფასადური და რეალურად ამას ქვეყნისთვის კარგი არაფერი მოყვება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს მაინც არჩევს შავს და თეთრს და კარგად ხვდება, რომ საქართველოსთვის დასავლეთი არ არის ე.წ. უსაფრთხოების ქოლგა. დასავლეთისთვის საქართველო არის პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომელსაც, როცა დასჭირდება, გამოიყენებს. თუნდაც იმ ფორმით, რომ ამას ჩვენი სახელმწიფოებრივი აღსასრული მოყვეს»**

**უპრინციპოთა უდიდესი ნაწილი დღეს ლიბერალების მხარესაა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიბერალებს ჰყავთ თავიანთი „იდეური“ ლიდერებიც, რომლებიც არც ერთ შემთხვევაში არ შეცვლიან თავიანთი მახინჯი იდეოლოგიით განპირობებულ პოზიციებს. ეს არის იდეოლოგიზებული გუნდი, რომელიც საზოგადოების მცირე, მაგრამ აქტიურ და მოტივირებულ ნაწილს წარმოადგენს. შედეგად, მათ გავლენა აქვთ მთელ პოლიტიკურ სპექტრზე, მმართველი ძალის ჩათვლით და უპრინციპოებს თავიანთ ჭკუაზე ატარებენ ბევრ საკვანძო საკითხში, რომელთაგან მთავარი რუსეთთან ურთიერთობაა.**

საკვანძო საკითხი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პატრიოტულმა ძალებმა ერთიანი პლატფორმა უნდა შექმნან

**საქართველო თითქმის ქაოსის პირსაა მიყვანილი. ლიბერალურ-ფაშისტური ოპოზიცია ცდილობს, ქვეყანა მუდმივი სტრესის რეჟიმში ამყოფოს და ვითარება არიოს. ეწყობა პროვოკაციები დემოკრატიის სახელით. სინამდვილეში კი აშკარაა რევანშის მცდელობა და უპრინციპოთა გააქტიურება.**



**უპრინციპობა** — მთავარი მახასიათებელი ნიშანი ქართული პოლიტიკისა და, ამასთანავე, მისი მთავარი დაავადება. პოლიტიკისთვის პრინციპების ღალატი, საზოგადოდ, უცხო არ არის, ცხოვრებისეული მომენტია, მაგრამ, ამასთანავე, იგი ყოველთვის არ ამართლებს თუნდაც პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე. **უპრინციპობა წამგებიანია, ვინაიდან ხალხი ხედავს ამას და არჩევნებზე სჯის ასეთ პოლიტიკოსებს. მაგალითად, როცა თავს იკლავ და წლების განმავლობაში გაიძახი, რომ ებრძვი სააკაშვილს, შეურიგებელი ხარ მისი რეჟიმისადმი და უცბად ხალხი ამ სააკაშვილთან ერთად გხედავს სუფრასთან, სირცხვილია და დამარცხება გარანტირებული გაქვს.**

მსგავსი უპრინციპო პოლიტიკოსები ისე მომრავლდნენ, რომ ხალხს არჩევანის გაკეთება მაინც ცუდსა და უარესს შორის მოუწევს. ეს დასანანია, ვინაიდან არსებობს რესურსი და შესაძლებლობა, წინა პლანზე გამოვიდნენ ჯანსაღი, შეუბღალავი ძალები, რომელთა გამოჩენასაც ელის ხალხი და მზად არის, თუკი მათ პერსპექტიულობაში დარწმუნდება, ენდოს და უკან გაჰყვეს მათ.

**უპრინციპოთა უდიდესი ნაწილი დღეს ლიბერალების მხარესაა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიბერალებს ჰყავთ თავიანთი „იდეური“ ლიდერებიც, რომლებიც არც ერთ შემთხვევაში არ შეცვლიან თავიანთი მახინჯი იდეოლოგიით განპირობებულ პოზიციებს. ეს არის იდეოლოგიზებული გუნდი, რომელიც საზოგადოების მცირე, მაგრამ აქტიურ და მოტივირებულ ნაწილს წარმოადგენს. შედეგად, მათ გავლენა აქვთ მთელ პოლიტიკურ სპექტრზე, მმართველი ძალის ჩათვლით და უპრინციპოებს თავიანთ ჭკუაზე ატარებენ ბევრ საკვანძო საკითხში, რომელთაგან მთავარი რუსეთთან ურთიერთობაა.** რუსეთთან ურთიერთობას ტაბუ დაადეს ამ პრინციპულმა ლიბერალ-ფაშისტებმა და მათი შიშით ვერც უმრავლესობის და ვერც ოპოზიციის უპრინციპოებს ხმა ვერ ამოუღიათ, თუნდაც დიამეტრულად სხვაგვარად ფიქრობდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ეს გზა საქართველოსთვის დამღუპველია.

ეს გარემოება კიდევ უფრო ამძაფრებს მოთხოვნას ანტიფაშისტურ და ანტილიბერალურ ძალებზე (რაც, დღევანდელ ვითარებაში, როდესაც ლიბერალიზმი და ფაშიზმი ერთმანეთს შეერწყა, ბუნებრივია). მიგვაჩნია, რომ უნდა მოიძებნოს საშუალება, ამ ძალებმა მოახდინონ, გაერთიანება თუ არა, თავიანთი ქმედებების ერთმანეთთან კოორდინაცია. აუცილებლად უნდა იქნას გადალახული პიროვნული ანტიპათია და დაპირისპირება კონსერვატულ-პატრიოტული ფლანგის პოლიტიკური ძალების ლიდერებს შორის (ასეთი ანტიპათიისა და დაპირისპირების არსებობის შემთხვევაში).

**პრინციპულობა და იდეოლოგიისადმი ერთგულება აუცილებელი წინაპირობაა ძლიერი პოლიტიკური მოძრაობის შესაქმნელად, თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს იდეოლოგიურ დოგმატიზმს, რეალობიდან მოწყვეტას და თეორიაში ჩარჩენას. უნდა მოხდეს კლასიკური „მემარცხენეობა“-„მემარჯვენეობის“ ურთიერთშეჯერება და უმაღლესი მიზნებისთვის დაქვემდებარება.**

პატრიოტული ძალები დღეს გახლეჩილნი არიან ორი თვალსაზრისით: პირველი და უფრო გადაულახავი წინააღმდეგობა მათ შორის პიროვნული დაპირისპირება და უნდობლობაა; მეორე და ასევე მნიშვნელოვანი — იდეოლოგიური მოქნილობის ნაცვლად, სტერეოტიპებსა და დოგმებში ჩაკეტილობა, ლიდერების შიში, რომ „თავისიანებმა“ არ უსაყვედურონ „იდეის ღალატი“. **პატრიოტული პოლიტიკური ძალები უნდა გაერთიანდნენ გარკვეულ პლატფორმაზე, მათ არავინ სთხოვს ერთმანეთის დიდ სიყვარულს, უბრალოდ, უნდა შეეგუონ ერთმანეთის არსებობას და ურთიერთშორის ქიშპი და ომები მაინც უნდა შეწყვიტონ. მათ შორის მომრიგებლის როლის შესრულება შეუძლიათ საეკლესიო მოღვაწეებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს, ასევე — საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან „ნაყიდნი“ სოროსის ფონდისა და სხვა დასავლური სტრუქტურების მიერ.**

ეს პლატფორმა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ხალხის ამჟამინდელ მდგომარეობას, მოთხოვნებს. ხალხი გადაღლილია და პარტიებს, როგორც ინსტიტუტს, დიდი უნდობლობით უყურებს, რადგან უკვე სამი ათეული წელია, ამომრჩეველს ყველა პარტიამ გაუცრუა იმედი. ახალ პოლიტიკურ ძალას დიდი ენერგია და მოქნილობა დასჭირდება, რათა ხალხი დაარწმუნოს, რომ იგი სწორედ ის ძალაა, რომლის გამოჩენასაც ამომრჩეველი შინაგანად ელის და სწადია. გამომდინარე აქედან, **აუცილებელია სოციალური საკითხების წინა პლანზე წამოწევა, რომელთა მოგვარება, მხოლოდ პოლიტიკოსთა ლამაზი სიტყვები კი არა, რეალისტურ, რიგითი ადამიანისთვის დამაჯერებელ გეგმაზე იქნება დამყარებული. ხალხმა უნდა დაიჯეროს, რომ საქმე აქვს არა მხოლოდ სწორი აზროვნების მქონე პრინციპულ პოლიტიკოსებთან, რომელთა ნდობაც შეიძლება, არამედ ისიც, რომ ამ პოლიტიკოსებს ძალუძთ, წარმატებას მიაღწიონ არჩევნებზე და არჩევნების შემდგომაც დაიცვან ხალხის ინტერესები.**

აუცილებელია, ყველა პატრიოტმა პოლიტიკოსმა გადალახოს შიში, რომ ერთმნიშვნელოვნად დასავლური კურსის შეცდომად გამოცხადება და რუსეთთან ურთიერთობების პრიორიტეტზე აქცენტის დასმა არ ნიშნავს ბრძოლის პერსპექტივის დაკარგვას; **ხალხი დაიღალა ტყუილებით, მას არც ნახევარსიმართლე არ უნდა, ის ითხოვს პოზიციის დაუფარავად გამოხატვას. რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას ხალხის უდიდესი ნაწილი უჭერს მხარს, ამას თვით ოდიოზური ამერიკული ორგანიზაციებიც აღიარებენ ჩატარებული გამოკითხვების საფუძველზე. საკამათოა, მოსახლეობის რამდენი პროცენტი უჭერს მხარს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს პროცენტი დაბალია, 40-ს ქვევითაა (იმიტომაც გაჰკივიან სოროსელები, რომ „რუსული პროპაგანდა“ საქართველოში ეფექტიანად „მუშაობს“),** მაგრამ ასეც რომ არ იყოს, საჭიროა იმ თუნდაც შედარებით მცირერიცხოვანი ელექტორატის სრული მობილიზება, რომელიც მხარს უჭერს რუსეთის ვექტორს და კატეგორიულად არ (აღარ) იღებს ნატოსკენ მიმართულ, ქვეყნისთვის აშკარად წამგებიან მიმართულებას.

პატრიოტული ძალების მემარჯვენე-კონსერვატიულმა ფლანგმა უარი უნდა თქვას საბჭოთა წარსულისა და კომუნისტური იდეოლოგიის გადაჭარბებულ კრიტიკაზე და შეეცადოს, ამ წარსულში მხოლოდ დადებითი მომენტები მოიძიოს (რაც რეალურად არის და არა მოგონილი დადებითი მომენტები). **მემარცხენე-კონსერვატიულმა, კომუნისტურმა ძალებმა, თავის მხრივ, უნდა აღიარონ მართლმადიდებელი რწმენის პრიორიტეტულობა საქართველოს მოსახლეობისთვის და ქართული სახელმწიფოებრიობისთვის, რომლის გარეშეც საქართველო აზრს კარგავს. ორივე მხარემ უნდა აღიაროს, რომ ღვთის რწმენა ყველა ადამიანის პიროვნული საქმეა, მაგრამ ყველა ერთიანდება იმ ფასეულობების გარშემო, რომლებსაც ბიბლია გვასწავლის და ამ ფასეულობების დიდი ნაწილი ათეისტურ კომუნისტურ საზოგადოებაშიც მიღებული და გაზიარებული იქნა (კაცთმოყვარეობა, პატიოსნება, სათნოება, უშურველობა, ოჯახური და მეგობრული ერთგულება, მრავალშვილიანობის წახალისება, თავმდაბლობა, თანასწორობა, სხვადასხვა ეროვნების და რასის ადამიანებს შორის ძმობა, მოყვასის სიყვარული, რწმენის, პრინციპების ერთგულება, მათთვის თავგანწირვა და ბევრი სხვა).**

პოლიტიკურ პარტიასა თუ მოძრაობას აუცილებლად სჭირდება თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან — იდეურად ახლო მდგომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებმაც უკვე გამოიჩინეს თავი და დაამტკიცეს თავიანთი პრინციპულობა. მიგვაჩნია, რომ საამისო **ლაკმუსის ქაღალდია დამოკიდებულება 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღისადმი; ვინც ამ ომს აღიარებს საქართველოს ომად, ის მისაღებია; ხოლო ის, ვინც მიიჩნევს, რომ ეს ომი იყო სხვისი ომი, ხოლო ჩვენი წინაპრები არ იბრძოდნენ მართალი საქმისთვის — სამშობლოსა და მსოფლიოს ხალხების ფაშიზმისგან გადასარჩენად, ერთმნიშვნელოვნად გზას არის აცდენილი ან სულაც, იდეური მტერია.** საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა გაშალონ თავიანთი საქმიანობა ბევრი მიმართულებით და უზრუნველყონ პარტიის (პოლიტგაერთიანების) კონტაქტი ხალხთან, ასევე, შეძლებისდაგვარად, უცხოელ თანამოაზრეებთან და პარტნიორებთან.

**გულბაათ რცხილაძე**

**პატრიოტული პოლიტიკური ძალები უნდა გაერთიანდნენ გარკვეულ პლატფორმაზე. მათ არავინ სთხოვს ერთმანეთის დიდ სიყვარულს, უბრალოდ, უნდა შეეგუონ ერთმანეთის არსებობას და ურთიერთშორის ქიშპი და ომები მაინც უნდა შეწყვიტონ. მათ შორის მომრიგებლის როლის შესრულება შეუძლიათ საეკლესიო მოღვაწეებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს, ასევე — საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან «ნაყიდნი» სოროსის ფონდისა და სხვა დასავლური სტრუქტურების მიერ**

**ლაკმუსის ქაღალდია დამოკიდებულება 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღისადმი; ვინც ამ ომს აღიარებს საქართველოს ომად, ის მისაღებია; ხოლო ის, ვინც მიიჩნევს, რომ ეს ომი იყო «სხვისი ომი», ხოლო ჩვენი წინაპრები არ იბრძოდნენ მართალი საქმისთვის — სამშობლოსა და მსოფლიოს ხალხების ფაშიზმისგან გადასარჩენად, ერთმნიშვნელოვნად გზას არის აცდენილი ან, სულაც, იდეური მტერია**

ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქართველი ხალხის სისხლსა და ცრემლში მოვასვასე სადისტებმა ჩვენი ამერიკელი თუ ეროპელი „მეგობრების“ ძალისხმევით პოლიტპატიმრის საპატიო სტატუსიც „გაიკრეს“ და პოლიტიკაში მოსვლა-დაბრუნებით ემუქრებიან ქართველ საზოგადოებას.**

**რობაქიძე-გირგვლიანის სადისტური მკვლელობებით დაიწყო „მოღვაწეობა“ ვარდების დროშით მოსულმა „ნაცმოძრაობამ“ და მიუხედავად იმისა, რომ შემდეგაც „გვანებივრებდნენ“ ნაცები სასტიკი, ცინიკური მკვლელობებით (გიორგი გამცემლიძე, ვაზაგაშვილები და ა.შ.), დღევანდელი გადასახედიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ რობაქიძისა და გირგვიანის მკვლელობა აღმოჩნდა ნაცების ფაშისტური რეჟიმის დასასრულის დასაწყისი.**

# რა, შარშან, შარშანწინ, იმის წინ საზეიმოდ გვქონდა საქმე?



ზემოთ ფრჩხილებში ჩასმული ჩამონათვალის შემდეგ „და ა.შ.“-ს ის დატვირთვა აქვს, რომ მოკლულებს, რომ იტყვიან, პატრონი გამოუჩნდათ და ამიტომ გახმაურდა ეს საქმეები, რამაც, საზოგადოებაში შიშის დათესვის მიუხედავად, ქართველი საზოგადოების მძაფრი პროტესტი გამოიწვია, თორემ იმ ზემოხსენებულ ემოციისგან სრულიად დაცლილ, ბანალურ „და ა.შ.“-ში ნაციონალი ჯალათების მიერ ჩადენილი ფართო საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობი რამდენი გაუხმაურებული დანაშაული იმალება, მხოლოდ ღმერთმა უწყის. ჯალათებმა,- რომლებიც გლდანის ჯოჯოხეთში კი არა, მატროსოვის კომფორტულ ციხეში „იხდიან სასჯელს“, — **გიგი უგულავამ,** ძმებმა **ახალაიებმა, ვანო მერაბიშვილმა** — ქართველი ხალხის სისხლსა და ცრემლში მოვასვასე სადისტებმა ჩვენი ამერიკელი თუ ეროპელი „მეგობრების“ ძალისხმევით პოლიტპატიმრის საპატიო სტატუსიც „გაიკრეს“ და მეტიც — ჯერჯერობით მატროსოვის „ჯოჯოხეთის“ ბინადარნი, რომელთა გათავისუფლებამდე მცირე დროა დარჩენილი, პოლიტიკაში მოსვლა-დაბრუნებით ემუქრებიან ქართველ საზოგადოებას. ქართველი ხალხის კიდევ ერთი „დაუძინებელი მეგობრის“, აწ გარდაცვლილი **ჯონ მაკკეინის** ძალისხმევით ციხიდან გათავისუფლებული 40 მილიონის შემჭმელი „პოლიტპატიმარი“ გიგი უგულავა მორალსა და დემოკრატიის შესახებ ლექციებს გვიკითხავს. ჰოდა, თუნდაც მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი „სიკეთეების“ გამო, იმ საცოდავი ბავშვივით, მოდი და, ნუ იტყვი — „ამ ცხოვრების დედაც“, მაგრამ ამაზე ქვემოთ... ზემოჩამოთვლილი „ბედნიერი დღეებით“ 9 წლის განმავლობაში „გვანებივრებდა“ მიშ-ნაცების გახრწნილი ხელიუფლება და, ალბათ, ამიტომაც აღიქვა ასე მძაფრად საზოგადოებამ „ქართული ოცნების“ მიერ თითქმის იგივეს განმეორება ბოლო ორ წელიწადში. თითქმის-მეთქი, რადგან ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია და ათასჯერ ნათქვამს ათასმეერთედ გავიმეორებ: არ არსებობს ძალა თუ პიროვნება, რომელიც ქოცების უამრავი ნაკლის მიუხედავად, მათქმევინებს, რომ ნაცების ხელისუფლება სჯობდა ქოცებისას, ან მიშა ჯობია ბიძინას. არა იმიტომ, რომ ბრმა და ყრუმუნჯი ვარ, ან კიდევ „უკეთესი“ — ბიძინას მიერ ნაყიდი, არამედ იმიტომ, რომ ზოგიერთივით მოკლე მეხსიერება არა მაქვს და **კარგად მახსოვს, როგორ ხვრეტდნენ ქუჩებში თუნდაც ქურდული მენტალიტეტის ათობით ახალგაზრდას, ხოლო გლდანის „კონცლაგერში“ რაც ხდებოდა, ოჯახში გაზრდილი კაცის თავში ვერ „მოიხარშებოდა“ — სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, გლდანის მორგში ცოცხალ ადამიანს მიცვალებულს რომ ჩაახუტებ ე.წ. სკოჩით და სამ დღე-ღამეს „იკაიფებ“, რა ჰქვია ამას?** ერთს კი ვიტყვი — მსგავს რამეს გერმანელი ფაშისტების მთავარი პროფესიონალი მწამებელი, ჰიტლერის მარჯვენა ხელი **ჰაინრიჰ ჰიმლერიც** კი ვერ მოიფიქრებდა. ახლა კი დროა, წინამდებარე წერილის მთავარი თემისკენ გავიხედოთ.

გასული წელწადი აქადე უპრეცედენტოდ „მდიდარი“ იყო საზოგადოებისთვის სულისშეძვრელი ტრაგიკული მოვლენებით.

რომელი ერთის გახსენებით დავიწყო მათი ჩამოთვლა? ხორავას ქუჩაზე მომხდარი ჯგუფური დანაშაულით, რომელსაც ორი მოზარდის სიცოცხლე შეეწირა, თუ პანკისის ხეობაში საკუთარ სახლში ჩაცხრილული 19 წლის ყმაწვილის, **თემირლან მაჩალიკაშვილის** ჯერაც გამოუძიებელი და ამიტომ ბუნდოვანი საქმით?.. თუ აჯობებს, სულ ახლახან დატრიალებული ტრაგედიით დავიწყოთ, ტრაგედიისა, რომელმაც შეძრა ქვეყანა და შოკში ჩააგდო? — მით უმეტეს, წინამდებარე წერილის სათაურში ვინ და რა არის ნაგულისხმევი, მკითხველი ადვილად მიხვდება.

მგონი, სჯობს, თანამიმდევრობით დავიწყოთ, ოღონდ შევთანხმდეთ, რომ საუბრისას მოსალოდნელი მრავალი საჩოთირო, ხშირად მტკინვეული კითხვა-პასუხებისა, ყვლას და ყველაფერს, როგორც იტყვიან, თავის სახელს დავრქმევთ...

მაშ ასე, **ტკივილი №1:** ის, რაც ხორავას ქუჩაზე მოხდა, მოსწავლეთა შორის ჩვეულებრივ ჩხუბად დარჩებოდა და არც გახმაურდებოდა, რომ არა ჩხუბის ტრაგიკული შედეგი — ორი ყმაწვილის დაღუპვა. ორი შვილმოკლული მამიდან ერთ-ერთი — **დავით დადუნაშვილი**, საერთოდ, არ გამოჩენილა **ზაზა სარალიძის** მხარდამჭერ გრანდიოზულ მიტინგზე, რომლის გრანდიოზულობა მაშინვე გაქრა, როგორც კი აქციაზე ნაც-პოლიტიკოსები გამოჩნდნენ. მას შემდეგ ზაზა სარალიძე, პრაქტიკულად, მარტო ეძებდა სამართალს, რომელიც იპოვნა და მას შემდეგ ისიც განერიდა ქუჩას და პროპაგანდისტულ ქართულ ტელევიზიებს, მიხვდა, რომ მის ტკივილს ნაცები თავიანთი პოლიტიკური მიზნისთვის იყენებდნენ, რასაც ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც — რუსთაველზე კარავი დაიდგა, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პერიოდში.

**ტკივილი თუ შეკითხვა №2:** ბატონო მალხაზ! მეც შვილმკვდარი, მაგრამ არა თქვენსავით შვილმოკლული მამა მოგმართავთ თქვენ, ვინც სწორედ იმით ხართ ჩემზე „ბედნიერი“, რომ შვილმოკლული ხართ. რატომ? მე შვილი უკურნებელმა სენმა წამართვა და ვის ვუჩივლო, ვის ვაგებინო პასუხი ჩემი უბედურების გამო, ღმერთს? თქვენ... თქვენ კი **გაერთიანებულ ოპოზიციაში ეძებთ სამართალს?** ოპოზიციაში, სადაც თქვენს ტრაგედიაზე ურცხვად სპეკულირებენ უგულავა-ბოკერიები და ემანდ პროპორციულად თუ მაჟორიტარულად შეიძლება, დეპუტატადაც გიხილოთ. მაშინ ხომ უფრო ადვილად იპოვით სამართალს... ბოლოს რიტორიკული კითხვები — დავუშვათ, მჯერა, რომ უიარაღო თემირლანი ლოგინში ჩაცხრილეს, მაგრამ ის სპეცოპერაცია, რომელმაც თქვენი შვილი იმსხვერპლა, ხომ რაღაც ინფორმაციის საფუძველზე დაიგეგმა? აი, ეს არის ამ საქმეში მთავარი კითხვა, რომელზე პასუხიც სხვა ყველა კითხვაზე პასუხების გარანტიაა.

დასასრულ, იმ ტრაგდიის შესახებ, რომელმაც სრულიად საქართველო შოკში ჩააგდო — ყმაწვილი ბიჭი მე-9 სართულიდან გადმოხტა და თვითმკვლელობის უმძიმესი ცოდვით დაასრულა სიცოცხლე. ოპოზიცია ყველას და ყველაფერს აბრალებს მომხდარს, ე.ი., მომხდარის პოლიტიზებას ცდილობს იქამდეც კი, რომ მგლოვიარე დედას იფარებენ წინ, თითქოს მისი შვილი კი არ გადმოხტა, არამედ ვიღაცებმა გადმოაგდეს მე-9 სართულიდან.

ამასთანავე, ლამის პირადად ბიძინა ივანიშვილს დააბრალონ სუიციდის შემთხვევა, მაგრამ არავინ საუბრობს ამ ტრაგედიის ერთადერთ თუ არა, ერთ-ერთ მიზეზე.

ცნობილი ფაქტია: **ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ რჩევით (წაიკითხე, ბრძანებით) დაწყებით საჯარო სკოლებში მოსპეს მართლმადიდებელი რელიგიის კუთხეები (აქაოდა, სხვა რელიგიის მიმდევრებმა დისკრიმინაციად არ აღიქვანო) და, შესაბამისად, შეწყდა რელიგიის ისტორიის სწავლებაც. ეს რომ არა და სასულიერო პირების ლიბერასტი ფსიქოლოგებით ჩანაცვლება, იმ ტრაგიკულ პიროვნებას იქნებ ის მაინც სცოდნოდა, რომ თვითმკვლელობა უმძიმესი ცოდვაა და სუიციდით არ დაესრულებინა სიცოცხლე?!**

**ჩვენი დასავლელი «მეგობრების» რჩევით (წაიკითხე, ბრძანებით) დაწყებით საჯარო სკოლებში მოსპეს მართლმადიდებელი რელიგიის კუთხეები (აქაოდა, სხვა რელიგიის მიმდევრებმა დისკრიმინაციად არ აღიქვანო) და, შესაბამისად, შეწყდა რელიგიის ისტორიის სწავლებაც. ეს რომ არა და სასულიერო პირების ლიბერასტი ფსიქოლოგებით ჩანაცვლება, იმ ტრაგიკულ პიროვნებას იქნებ ის მაინც სცოდნოდა, რომ თვითმკვლელობა უმძიმესი ცოდვაა და სუიციდით არ დაესრულებინა სიცოცხლე?!**

გარდაცვლილის მეგობრების მოთხოვნასაც ვიზიარებ, დაგეგმილი საახალწლო ღონისძიების გაუქმების შესახებ. ოღონდაც არა მხოლოდ მათი მეგობრის გარდაცვალების გამო — იმ ბავშვს თავი რომ არ მოეკლა, რა, შარშან, შარშანწინ, იმის წინ საზეიმოდ გვქონდა საქმე? **არა, იმას არ ვამბობ რომ თავზე ნაცარი წავიყაროთ და აღარც ახალი წელი ვიზეიმოთ, აღარც შობა და აღდგომა, მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო — სანამ საქართველოში ერთ ბავშვს მაინც შია, ახალ წელს კანფეტი აქვს სანატრელი, სანამ ნაგვის ბუნკერებში იქექებიან, სანამ, სანამ და კიდევ ათასჯერ სანამ — საქართველოს ხელისუფლებას უფლება არა აქვს, ყოველ წელს მილიონები ხარჯოს თბილისისა თუ სხვა ქალაქების უაზროდ გაჩახჩახებაში.**

წინამდებარე წერილს კი ილიას უკვდავი საახალწლო მილოცვით დავასრულებ:

„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ მაგრამ მაინც ხვალის იმედით, ახალ წელს გილოცავ „ჩემო კარგო ქვეყანავ!“...

**დავით მხეიძე**

**იმას არ ვამბობ რომ თავზე ნაცარი წავიყაროთ და აღარც ახალი წელი ვიზეიმოთ, აღარც შობა და აღდგომა, მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო — სანამ საქართველოში ერთ ბავშვს მაინც შია, ახალ წელს კანფეტი აქვს სანატრელი, სანამ ნაგვის ბუნკერებში იქექებიან, სანამ, სანამ და კიდევ ათასჯერ სანამ — საქართველოს ხელისუფლებას უფლება არა აქვს, ყოველ წელს მილიონები ხარჯოს თბილისისა თუ სხვა ქალაქების უაზროდ გაჩახჩახებაში**

**P.S. დასასრულ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილის ცოტნე გამსახურდიას ისევ ტრაგედიაზე ისევ ერთმა ბობოლა ნაცმა (თუ კარგად მახსოვს, მგონი, გიგი უგულავამ) ისევ ისპეკულიანტა — აბა, ჩვენი ხელისუფლების დროს ამას ვინმე გაბედავდა, ისეთი მძიმე კრიმინალური ვითარებაა, კაცი შიშით ქუჩაში ვერ გასულაო. ამაზეა ნათქვამი, ენას ძვალი არა აქვსო — წინამდებარე წერილში მოყვანილ მაგალითებს თავი რომ დავანებოთ, ნაცების მმართველობის პერიოდში შუა ქალაქში ქათამივით არ დაკლეს აკადემიკოსი გურამ შარაძე?..**

**სომხეთის ტერიტორიული მმართველობისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა სურენ პაპიკიანმა განაცხადა, რომ სომხეთის მთავრობა მოლაპარაკებებს აწარმოებს რუსეთთან ორი ბორანის შეძენის თაობაზე. ამ განცხადებიდან ერთი თვის შემდეგ სომხურმა გაზეთმა „ჟამანაკმა“ („დრო“), რომელიც რესპუბლიკის სამთავრობო დერეფნებიდან ინფორმაციის გამოტანასა და გავრცელებას ემსახურება, დაწერა: „...სომხეთში დაინტერესებულნი არიან ბათუმის პორტის შესყიდვით, რომლის მფლობელიც არის ყაზახური სახელმწიფო კომპანია „ყაზმუნაიგაიზი“. საქართველო ბათუმის პორტის გაყიდვას 600 მლნ დოლარად აპირებს.**

მეზობლის ინტერესები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სომხებს თვალი უჭირავთ ბათუმის პორტზე, თუმცა ამას ოფიციალურად ჯერჯერობით არ ადასტურებენ

**ინტერნეტგამოცემა EADaily ბათუმის პორტისადმი სომხეთის ინტერესზე წერს: კარგი იქნებოდა, საქართველოს მთავრობას განემარტა ვითარება.**



### რუსული ბორნები და ქართული პორტები: ერევანი შავ ზღვაზე გამავალ ფანჯარას ჭრის

სომხეთი, ოფიციალური განცხადებებისა და მედიით გავრცელებული ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სერიოზულად განიხილავს საკუთარი სავაჭრო ფლოტის შექმნის შესაძლებლობას და ამისთვის საქართველოს ინფრასტრუქტურის გამოყენება სურს, ქვეყნისა, რომლის ტერიტორიის გავლითაც სომხეთი თავისი საქონელბრუნვის 70%-ს ახორციელებს.

საზღვაო გზა ბორნებით ტვირთების გადასაზიდად ერევნისთვის ყველაზე პერსპექტიული ალტერნატივაა ტვირთების გადაზიდვის სახმელეთო მარშრუტისა საკონტროლო-გამშვებ პუნქტ „ყაზბეგი — ზემო ლარსის“ გავლით, რომელიც შეფერხებით მუშაობს რთული რელიეფისა კლიმატური პირობების გამო.

### ფლოტი – კი, პორტი – არა

სომხეთის ტერიტორიული მმართველობისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **სურენ პაპიკიანმა** განაცხადა, რომ სომხეთის მთავრობა მოლაპარაკებებს აწარმოებს რუსეთთან ორი ბორნის შეძენის თაობაზე. ამ განცხადებიდან ერთი თვის შემდეგ სომხურმა გაზეთმა „ჟამანაკმა“ („დრო“), რომელიც რესპუბლიკის სამთავრობო დერეფნებიდან ინფორმაციის გამოტანასა და გავრცელებას ემსახურება, დაწერა:

**„...სომხეთში დაინტერესებულნი არიან ბათუმის პორტის შესყიდვით, რომლის მფლობელიც არის ყაზახური სახელმწიფო კომპანია „ყაზმუნაიგაიზი“. საქართველო ბათუმის პორტის გაყიდვას 600 მლნ დოლარად აპირებს“.**

გამოცემის ინფორმაციით, სომხეთის სხვადასხვა წრე ცდილობს სახსრების მოძიებას, რაც პორტის შესყიდვის საშუალებას მისცემს.

**„განიხილება საავიაციო საზოგადოების შექმნის იდეა, დიასპორის ბიზნესმენები შეიძლება იყვნენ პროექტის ნაწილი, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ვილაცამ დიდი საწყისი კაპიტალის ინვესტიცია განახორციელოს. ასეთი კი მოცემულ მომენტში არავინ არის“,** — აღნიშნავს გაზეთი.

ინფორმაციას სომხეთის მიერ საკუთარი სავაჭრო ფლოტის შექმნის შესახებ კი ადასტურებენ ზოგიერთი სომეხი და რუსი მაღალჩინოსანი, მაგრამ, გავრცელებული ხმების მიხედვით, „ბათუმის პორტის შესყიდვაზე“ ვითარება სხვანაირია. ამ ინფორმაციას ოფიციალურად არავინ ადასტურებს.

**„ჩვენ არაფერი ვიცით. ჩვენი მხრიდან არანაირი ინიციატივა არ არის“,** — უპასუხა სომხეთის ტერიტორიული მმართველობისა და ინფრასტრუქტურის პრესსამსახურის წარმომადგენელმა EADaily-ის თხოვნას, კომენტარი გაეკეთებინა ერევნის სურვილზე ბათუმის პორტის შესყიდვის შესახებ.

სომხური გაზეთის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ან არ შეესაბამება სინამდვილეს, ან ბიზნესმენთა ვიწრო წრეში თავდაპირველი განხილვის დონეზეა და ამის შესახებ არაფერი იციან პროფილურ სახელმწიფო უწყებებში.

კომენტარისგან თავი შეიკავეს იმ სატრანსპორტო კომპანიებმაც, რომლებსაც EADaily-ი დაუკავშირდა. „თუკი მსგავსი პროცესი მიმდინარეობს, ჩვენ ვერაფერს ვიტყვით, რადგან მასში არ ვმონაწილეობთ. ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია“, — განაცხადეს სომხეთის ერთ-ერთ კომპანიაში, რომელიც ტვირთების გადაზიდვითაა დაკავებული.

**სომხეთი, ოფიციალური განცხადებებისა და მედიით გავრცელებული ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სერიოზულად განიხილავს საკუთარი სავაჭრო ფლოტის შექმნის შესაძლებლობას და ამისთვის საქართველოს ინფრასტრუქტურის გამოყენება სურს, ქვეყნისა, რომლის ტერიტორიის გავლითაც სომხეთი თავისი საქონელბრუნვის 70%-ს ახორციელებს**

მეორე მხრივ, ჩნდება კითხვა — **რენტაბელური იქნება თუ არა ერევნისთვის საქართველოში პორტის შესაძენად იმ ოდენობით თანხის დაბანდება, რომელიც სომხეთის სამხედრო ბიუჯეტის ტოლია? ან ამ საკითხში არის პოლიტიკური ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია ამ სტრატეგიული ობიექტის აჭარაში დომინირებული თურქული ბიზნესის ხელში გადაცემის შესაძლებლობასთან?**

**„ერევნისთვის რენტაბელური იქნება არა პორტის შესყიდვა, რაც ძალიან ხარჯიანი საქმეა პორტის შესაძლებლობებიდან და საკუთარი ტვირთების ნაკადების ზომებიდან გამომდინარე, არამედ საკუთარი ტერმინალის გახსნა, რათა თავიდან აიცილოს გამუდმებით რიგში დგომა, რომელიც დროისა და ფულის დანაკარგებს იწვევს“, — განაცხადა სომხეთის პრემიერმინისტრის აპარატის თანამშრომელმა.**

„ერევნისთვის რენტაბელური იქნება არა პორტის შესყიდვა, რაც ძალიან ხარჯიანი საქმეა პორტის შესაძლებლობებიდან და საკუთარი ტვირთების ნაკადების ზომებიდან გამომდინარე, არამედ საკუთარი ტერმინალის გახსნა, რათა თავიდან აიცილოს გამუდმებით რიგში დგომა, რომელიც დროისა და ფულის დანაკარგებს იწვევს“, — განაცხადა სომხეთის პრემიერმინისტრის აპარატის თანამშრომელმა.

ქართული დერეფნის მნიშვნელობა სომხური ტვირთებისთვის ძალიან დიდია. მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ქალაქ გორთან ახლოს ხიდის აფეთქებამ სომხეთის მომარაგების პარალიზება გამოიწვია. იმჟამინდელი ზარალი, რომელიც სომხეთის ეკონომიკას მიადგა, 500 მლნ დოლარად შეფასდა.

# მორიგი ქართული სირცხვილი



**საქართველოს მოსახლეობის გამოთაყვანება-გაცისფერების მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა უცხოელი „მეგობრების“ დახმარებით; კიდევ ერთი ქართული გვარი შერცხვა, თუმცა სირცხვილის განცდას თანდათან კარგავს ქართველი ადამიანი...**

### „ტაბულა ბიცოლა“ იუწყება:

„საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ Tbilisi Pride-ის ხელმძღვანელი, **გიორგი თაბაგარი**, მომავლის პერსონად დაასახელა. უწყებას თაბაგარის კანდიდატურა საქართველოში საფრანგეთის საელჩომ შესთავაზა.

„Tbilisi Pride-ის დირექტორი და ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის ევროკავშირის პროგრამის ხელმძღვანელი, ბატონი თაბაგარი სამოქალაქო საზოგადოების წევრია, რომელიც აქტიურადაა ჩართული ლგბტ თემის წარმომადგენლების დისკრიმინაციის და ასევე ყველა სხვა სახის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მომავლის პერსონათა მოწვევის პროგრამა ირჩევს ახალგაზრდა პერსონებს მთელი მსოფლიოდან, რომლებსაც საშუალება ეძლევათ, ერთკვირიანი სასწავლო პროგრამით ესტუმრონ საფრანგეთს. ბატონი თაბაგარი 2020 წლისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულ 65 პირს შორის მოხვდა და საფრანგეთში ვიზიტისას საშუალება ექნება, ისარგებლოს სპეციალური პროგრამით, რომელიც ეხმიანება მის საქმიანობასა და აქტივობებს“, — წერია საქართველოში საფრანგეთის საელჩოს განცხადებაში“.

**აი ასე, საბჭოთა „ოკუპაციის“ პირობებში მომავლის პერსონებად მშრომელ ადამიანს ასახელებდნენ — ვინც მეტი მოხნა, დათესა, მაღაროში გმირულად იშრომა; ახლა კი, ვინც უკეთ გაასხვისებს საკუთარ სხეულს ან სულს, მას აღაზევებენ.**

გვერდი მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

იუბილე

**„სტალინმა ააშენა სოციალისტური სისტემა, რომელშიც ბანკირებისა და ბიზნესმენების ადგილი არ იყო, ამიტომ ეშინიათ სრულიად მსოფლიოში სტალინის, მათ მშრომელთა ხელისუფლების ეშინიათ“.**





# გორში სტალინის დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

**იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი 1878 წლის 21 დეკემბერს თბილისის გუბერნიის ქალაქ გორში მეწაღის ოჯახში დაიბადა. მშობლები იყვნენ ეკატერინე (კეკე) გელაძე და ბესარიონ ჯუღაშვილი. ჰყავდა უფროსი ძმები — გიორგი და მიხეილი, რომლებიც ჩვილობის ასაკში გარდაიცვალნენ.**

## «სტალინის წინააღმდეგ მსოფლიოში მიდის აღვირახსნილი კამპანია. სტალინის, კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პიროვნების ძეგლი მის მშობლიურ რაიონში, უკვე დიდი ხანია, აღარ დგას, სადღაც ტალახში პირქვე გდია»

1894 წელს დაამთავრა გორის სასულიერო სემინარია და შევიდა თბილისის მართლმადიდებლურ სასულიერო სემინარიაში. ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსი მარქსისტების გავლენით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. შეისწავლა **კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსის, ვლადიმერ ლენინის, გიორგი პლეხანოვის** შრომები.

სტალინი იყო საკავშირო კპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი (1919–52), სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი (1952–53, სსრკ I–III მოწვევების უმაღლესი საბჭოთა დეპუტატი. მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირისა (1939) და საბჭოთა კავშირის მარშლის (1943) წოდებები. 1945 წლის 27 ივნისს საკავშირო კპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წინადადებისა და ფრონტების სარდალთა წერილობითი წარდგინების საფუძველზე, „დიდ სამამულო ომში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისა და დამსახურებისათვის“ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის უმაღლესი სამხედრო წოდება და საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. დაჯილდოებული იყო 3 ლენინის ორდენით, „გამარჯვების“ — 2 ორდენით, 3 — წითელი დროშის ორდენით, სუვოროვის I ხარისხის ორდენით, აგრეთვე, მედლებით.

**„მასთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა. ის აყალიბებს საკითხს, რომლის განხილვაც სურს და ამ საკითხიდან არც აქეთ და არც იქით არ იხრება... მომავლისა და აწმყოს საკითხების განსახილველად, სურვილი მაქვს, შევხვდე თანამედროვეობის დიდ ადამიანს — სტალინს, რაც აქამდე ვერ შევძელი, მაგრამ მჯერა, რომ ჩვენ მაინც შევხვდებით ერთმანეთს“,— ასე ახასიათებდა დიდ ბელადს ფრანკლინ დელანო რუზველტი — ამერიკელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი 1933–1945 წლებში.**

**ხოლო შარლ დე გოლი — ფრანგი სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ფუძემდებელი და პირველი პრეზიდენტი 1959–1969 წლებში, წერდა: „სტალინს კოლოსალური ავტორიტეტი ჰქონდა, და არა მხოლოდ რუსეთში. შეეძლო მტრების „მოთვინიერება“, მისთვის უცხო იყო პანიკა — დამარცხებისას, და ნეტარება — გამარჯვებისას. გამარჯვებები კი მას დამარცხებებზე გაცილებით მეტი ჰქონდა. სტალინური რუსეთი მონარქიასთან ერთად დაღუპული წინანდელი რუსეთი არ არის, მაგრამ სტალინური სახელმწიფო სტალინის ღირსეულ მემკვიდრეთა გარეშე განწირულია“.**

ამ დაუმარცხებელ პიროვნებას, ადამიანს, რომელმაც მსოფლიო ფაშიზმისგან იხსნა, იოსებს სტალინს 2019 წლის 21 დეკემბერს დაბადებიდან 140 წელი შეუსრულდა.

„დიდება დიდ სტალინს“, „საქართველოს სტალინიზმი გადაარჩენს“, „სოციალიზმი და კომუნიზმი, აი, რაც დღეს ჩვენს ქვეყანას სჭირდება“, „სირცხვილი ქართველებს, რომ სტალინის ძეგლის აღდგენა ვერ მოვახერხეთ“, „ეს დღე წმიდათაწმიდაა ქართველებისთვის,“— სკანდირებდნენ ადამიანები, რომლებიც გორში სტალინის სახლ-მუზეუმის წინ გამართულ აქციას უერთებოდნენ.



ბელადის დაბადების დღისადმი მიძღვნილი აქციის ორგანიზატორი ერთიანი კომუნისტური პარტია და მისი თავმჯდომარე **თემურ ფიფია** გახლდათ. გორში სტალინის საიუბილეო დღისადმი მიძღვნილ აქციას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები ესწრებოდნენ. თითქმის სრულად იყო წარმოდგენილი აჭარის ერთიანი კომუნისტური პარტია, კახეთის რეგიონი, თბილისიდან ჩასული აქტივისტები და, რა თქმა უნდა, ადგილობრივი მაცხოვრებლები. აქცია საკმაოდ ხალხმრავალი იყო, მათ თან ჰქონდათ დროშები, ქუდები, მაისურები, მედლები, რომლებზეც გამოსახული იყო საბჭოთა სიმბოლიკები მიუხედავად იმისა, რომ აქციის წინა დღეს „თავისუფლების ქარტიამ“ ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერს, თემურ ფიფიას მკაცრი, გამაფრთხილებელი წერილი გაუგზავნა, სადაც ეწერა, რომ მათ საბჭოთა სიმბოლოების გამოყენება ეკრძალებოდათ.

**ვალერი კვარაცხელია, ანალიტიკოსი:**

— სტალინის წინააღმდეგ მსოფლიოში მიდის აღვირახსნილი კამპანია. სტალინის, კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პიროვნების ძეგლი მის მშობლიურ რაიონში უკვე დიდი ხანია, აღარ დგას, სადღაც ტალახში პირქვე გდია. ამ ხელისუფლებას და, საერთოდ, ქართველებს არ გვაქვს იმის შესაძლებლობა, ძალა, რომ ბელადის ძეგლი აღდგეს და დაიდგას თავის ადგილას. ძალა არ შეგვწევს იმიტომ, რომ დღეს საქართველოს ქართველები არ მართავენ. სირცხვილია, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება და ეს სიტუაცია ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს და არა ისე, რისთვისაც ახლა მიდის ბრძოლა — პროპორციული სისტემით უნდა ავირჩიოთ პარლამენტი თუ მაჟორიტარულით.

ქართველ ხალხს გვჭირდება ისეთი პარლამენტი, რომელიც ქართველის ნებას გამოხატავს, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას მოაგვარებს, ეკონომიკურ პრობლემას მოაგვარებს, გააკეთებს ისე, რომ ქართველი ლუკმაპურის საშოვნელად ქვეყნიდან არ გარბოდეს. პარლამენტი, რომელიც დღეს გვყავს და მომავალში გვეყოლება, სამწუხაროდ, არ და ვერ იქნება ქართველთა პრობლემის მომგვარებელი, რაც დიდი უბედურებაა.

სტალინი იყო მშრომელი ადამიანის კეთილდღეობისთვის გაჩენილი მოღვაწე. სტალინმა მშომელი ხალხი ექსპლუატაციისგან გაათავისუფლა. აი, ეს არის მომავლის გზა, ეს არის ცივილიზებული სამყარო. კაპიტალისტური სამყარო ჩაგვრის სამყაროა. ეს ყველაფერი გამოსასწორებელია და ამისთვის დიდი ბრძოლაა საჭირო. საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდა კაცობრიობა თავისუფალ შრომაზე, ათასწლეულები დასჭირდათ შედეგის მისაღებად და ეს ყველაფერი სტალინმა გააკეთა, სოციალისტური ქვეყნის მშენებლობის სათავეში იდგა ქართველი კაცი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. დღეს მისი დაბადებიდან 140 წელი გავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დღე სახელმწიფომ არ აღნიშნა, პოლიტიკური ელიტა არ აღნიშნავს, სირცხვილი მათ და დიდი მადლობა აქ დამსწრე საზოგადოებას!

**საინტერესო და აღსანიშნავია აჭარის ერთიანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის თემურ სამნიძის მიმართვა ხელისუფლებისადმი:**

— 2020 წლის იანვარში დავოსში მსოფლიოს ლიდერები იკრიბებიან, სადაც აუცილებლად წავა საქართველოს პრემიერმინისტრი **გიორგი გახარია,** ეკონომიკურ ფორუმს დაესწრება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ან მისი წარმომადგენელი, ადამიანი, რომელიც იქნება ვლადიმერ პუტინის ნდობით აღჭურვილი პირი. მოვუწოდებთ ჩვენი ქვეყნის პრემიერს, შეხვდეს და დაელაპარაკოს რუსეთის წარმომადგენლებს, ასევე, მიიღოს გადაწყვეტილება, დაესწროს 2020 წელს მოსკოვში დაგეგმილ უდიდეს ღონისძიებას, რომელიც დიდ სამამულო ომში გამარჯვების 75 წლისთავს ეძღვნება! სასწრაფოდ აღდგეს კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთთან, რადგან საქართველოს ხსნის გზა მხოლოდ ეს არის!

**თემურ ფიფია, ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი:**

— რაც მეტი დრო გვაშორებს სოციალისტურ სისტემას და სტალინის ეპოქას, მით უფრო ნათლად ჩანს, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობისთვის იმ პროცესებს, რომლებსაც დიდი ბელადი ხელმძღვანელობდა. სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ააშენა დიადი ქვეყანა. პირველად კაცობრიობის ისტორიაში შეიქმნა ისეთი წყობა, სადაც ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა გამორიცხული იყო. სტალინმა მოიგო იდეური ბრძოლა, რომელიც გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო. სტალინის გზამ გაიმარჯვა, ინდუსტრიალიზაციამ გაიმარჯვა, სოციალისტური სისტემის მატერიალური ბაზის შექმნა წარმატებით დასრულდა უმოკლეს პერიოდში. სტალინის ძალისხმევამ საბჭოთა ხალხებს ომი მოგვაგებინა და ომის შემდგომ პერიოდში უსწრაფესად აღგვადგენინა ეკონომიკა. მატერიალური ბაზა, რომელიც ბელადმა შექმნა 30-იან — 40-იან წლებში, დღემდე მოყვება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს.

დიდი ქართველის, მსოფლიოში უდიდესი პიროვნების ძეგლი არ დგას საქართველოში, თითქმის ყველა ქვეყანაში დგას „დიდების მემორიალები“, მონუმენტები, ძეგლები, ბევრგან სტალინის სახელი წერია. ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენ არაფერი არ გაგვაჩნია იმ დიდებული წლების აღსანიშნავი. ეს ყველაფერი განაპირობა იმან, რომ საქართველო აღმოჩნდა პროამერიკელი მემარჯვენე პოლიტიკოსების ხელში, რომელიც ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი ფრთაა ბურჟუაზიისა და, სამწუხაროდ, სწორედ ისინი მართავენ საქართველოს, რამაც ბევრი რამ განაპირობა... ჩვენმა ხალხმა ამ ჯალათების ზეწოლას ვერ გაუძლო და აღმოვჩნდით მათ ტყვეობაში, სწორედ ამიტომ ვერ ვახერხებთ დიდი ქართველის, დიდი მხედართმთავრის, სტალინის ძეგლის დაბრუნებას მის მშობლიურ ქალაქში.

**ყველა ხელისუფლება ჰპირდება ამომრჩეველს, განსაკუთრებით გორელებს, რომ სტალინის ძეგლს კუთვნილ ადგილს მიუჩენს, მაგრამ როგორც კი საქმე საქმეზე მივა, მაშინვე უცხო ქვეყნის საელჩოები ჩაერევიან და ყველაფერს აფუჭებენ.**

სტალინის ეშინიათ და იცით, ვის ეშინია?! — იმ სისტემის წარმოადგენლებს, რომლებიც დღეს ქვეყნების სათავეებში არიან — ბიზნესმენები, ბანკირები... სტალინმა ააშენა სოციალისტური სისტემა, რომელშიც ბანკირებისა და ბიზნესმენების ადგილი არ იყო, ამიტომ ეშინიათ მსოფლიოში სტალინის, მათ მშრომელთა ხელისუფლების ეშინიათ.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**



ბელადი გამარჯვების აღლუმის ტრიბუნაზე

**გამარჯვების აღლუმზე დასწრებაზე უარის თქმა არა მარტო დიდი შეცდომაა, არამედ ვასალური მორჩილების დემონსტრაცია, ფაშიზმის დამარცხებაში შეტანილი წვლილის უარყოფა და, უკაცრავად, მაგრამ ძალიან ჰგავს ნაცისტების წინაშე მოგოდიშებას...**

შეძახილი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაბედეთ, ბატონებო, გაბედეთ!

**„ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ზოგიერთი ქვეყნის მიერ ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილ გამარჯვების აღლუმზე დასწრებაზე უარის თქმა დიდი შეცდომაა“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 20 დეკემბერს გამართულ დიდ პრესკონფერენციაზე.**

## ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიერ გამარჯვების აღლუმზე დასწრებაზე უარის თქმა დიდი შეცდომაა



2019 წელი

### ცნობისთვის:

„მირ-24“-ის კორესპონდენტმა **ელენა დაშკუევამ** ჰკითხა პუტინს, — გული ხომ არ წყდება, რომ საზეიმო კოლონებში არ იქნებიან ყოფილი სსრ კავშირის ყველა ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეები, კერძოდ, საქართველოსა და უკრაინის.

პუტინის აზრით, „ეს მათი არჩევანია“. **„მაშასადამე, ისინი სათანადო პატივს არ მიაგებენ იმ ადამიანებს, რომლებიც იბრძოდნენ, თავი შესწირეს თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობას“. დიდი სამამულო ომის დროს ხალხების ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა.**

რუსეთის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ **„მოსკოვში გამართულ აღლუმზე იმათი შთამომავლების დასწრება, ვინც დაიცვა ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ჩვენი ხალხები, სიმბოლური და მნიშვნელოვანი ჟესტია“.**

პუტინმა „მიუღებლად და არაკორექტულად“ მიიჩნია ევროპარლამენტის გადაწყვეტილება ჰიტლერული გერმანიისა და საბჭოთა რეჟიმის გაიგივების შესახებ. საბჭოთა კავშირის შედარება ან მისი გაიგივება ფაშისტურ გერმანიასთან ცინიზმის უმაღლესი წერტილია. „ეს ნიშნავს, რომ ადამიანებმა არ იციან ისტორია, წერა-კითხვა არ იციან“, — დასძინა მან.

### კერძო მოსაზრება: ვის ვებოდიშებით?

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების „ზოგიერთი“ ლიდერის მიერ გამარჯვების აღლუმზე დასწრებაზე უარის თქმა არა მარტო დიდი შეცდომაა, არამედ ვასალური მორჩილების დემონსტრაციაც, ფაშიზმის დამარცხებაში შეტანილი წვლილის უარყოფა და, უკაცრავად, მაგრამ ძალიან ჰგავს ნაცისტების წინაშე მობოდიშებას — კი დაგამარცხეთ, მაგრამ ახლა განზე გავდექით და არ გვეზეიმება, ამიტომაც მოსკოვში ჩასვლას არ ვაპირებთო.

სხვა ახსნა ამ დემონსტრაციულ უარს არ მოეძებნება.

თუმცა შეეცდებიან.

არ გაგვიკვირდება, რადგან საქართველოს უმაღლეს სახელისუფლო დერეფნებს ჩაყოლებულ კაბინეტებში ასეთი მოღვაწეები ბუდობენ.

უმეტესად.

დერეფნებს გარეთ ე.წ. ოპოზიციაც ამით არსებობს, პურს ამით ჭამს და შხამ-სამსალასაც ზედ მოაყოლებს.

**პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქციაში რომელიმე მონაწილეს თითიც რომ გაეკაწროს, ზედ გადაყვებიან, მოუოხებენ, ფიანდაზს დაუგებენ სამოთხისკენ. 9 მაისს გამარჯვების პარკში გამარჯვების დღის აღსანიშნავად მისულ ვეტერანებს მოხულიგნო აქტივისტები, ახლახან შემოღებული და დამკვიდრებული ტერმინის — „სამოქალაქო საზოგადოების“ ღირსეული წარმომადგენლები რომ შეურაცხყოფენ, იმას წაუყრუებენ, თვალს მოუხუჭავენ, მიაჩუმათებენ — სიტყვის თავისუფლებაა, ბატონო, ჩვენს ქვეყანაში!**

მერე რა, რომ სიტყვის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სისხლის სამართლის კოდექსი! ეს ხომ საბჭოთა გადმონაშთია!

როგორც, მაგალითად, ნარკომანია, რომელიც კომუნისტურ სახელმწიფოში არ არსებობდა, მაგრამ დღეს გამარჯვებული ნეოლიბერალური ზნეობის ეპოქაში „უფრო არ არსებობს“.

ეშმაკები კი დეტალებიდან იღრიჭებიან და წარსულის ყროლი შეფასებებით ერთობიან. ყოფილი პრეზიდენტი მარგველაშვილი რომ აცხადებდა — მზად ვარ მოსკოვში ჩავიდე მოსალაპარაკებლად, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ საუბარი არ იქნება სტალინის ბავშვობასა და ყრმობაზეო, ეგაა. იანგლა ბიჭმა.

ამიტომაც აღარ არის პრეზიდენტი.

ქვეყნის ყოფილი პრემიერმინისტრი ღარიბაშვილი, ისე, სასხვათაშორისოდ და ცინიკურად ხელს რომ წამოჰკრავს სტალინის პიროვნებას, როგორც რამ საყოველთაოდ დადგენილ და აღიარებულ ნეგატიურ მოვლენას, ესეც იმ გაუნათლებლობის რიგიდან არის, რომელიც ჩვენს ხელისუფალთ ახასიათებს.

უმეტესობას.

ამიტომაცაა, რომ ყოფილი პრემიერი, რომელიც ერთხანს ხელისუფლებას ჩამოაცილეს და ხალხმა თანდათან მიივიწყა, დღეს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობს.

პარადოქსების ქვეყანაში ვცხოვრობთ.

ამიტომ **არ გაგვკვირვებია, ჩვენი ქვეყნის ლიდერებმა უარი რომ განაცხადეს გამარჯვების აღლუმზე დასასწრებლად მოსკოვში ჩასვლაზე.**

**გვეწყინა — კი, რადგან ამით მხარი დაუჭირეს მატრაკვეცობას მიხეილ სააკაშვილისა, რომლის მტკიცებით, საქართველოს ისტორია მისი მოსვლის დღიდან დაიწყო, მანამდე კი იყო ბნელი და უკუნი.**

ნაციონალებთან დაპირისპირებული „ოცნება“ ყოფილების იდეოლოგიურ საფუძველზე რჩება.

ვებრძვითო, — ვინ თქვა?!

პარადოქსების ქვეყანაში ვცხოვრობთ.

იქნებ, მაინც გაბედოთ, ბატონებო! არა იმიტომ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ინება, არამედ იმიტომ, რომ ისტორიულ ჭეშმარიტებას დაუჭიროთ მხარი!

**არმაზ სანებლიძე**

**«ისინი სათანადო პატივს არ მიაგებენ იმ ადამიანებს, რომლებიც იბრძოდნენ, თავი შესწირეს თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობას». დიდი სამამულო ომის დროს ხალხების ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. «მოსკოვში გამართულ აღლუმზე იმათი შთამომავლების დასწრება, ვინც დაიცვა ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ჩვენი ხალხები, სიმბოლური და მნიშვნელოვანი ჟესტია»**



1945 წელი

**არ გაგვკვირვებია, ჩვენი ქვეყნის ლიდერებმა უარი რომ განაცხადეს გამარჯვების აღლუმზე დასასწრებლად მოსკოვში ჩასვლაზე. გვეწყინა — კი, რადგან ამით მხარი დაუჭირეს მატრაკვეცობას მიხეილ სააკაშვილისა, რომლის მტკიცებით, საქართველოს ისტორია მისი მოსვლის დღიდან დაიწყო, მანამდე კი იყო ბნელი და უკუნი**

**P.S. მოციქული პავლე კორინთელთა მიმართ წერილში ასე მიმართავს გონიერ ადამიანებს: „...თქვენ, გონიერნი ხალისით იწყნარებთ უგუნურებს.**

**რადგან იწყნარებთ, თუ ვინმე დაგიმონებთ, თუ ვინმე შეგსანსლავთ, თუ ვინმე დაგიპყრობთ, თუ ვინმე გაყოყოჩდება, თუ ვინმე სახეში გცემთ.**

**შესარცხვენად ვამბობ ამას...“ (II კორ. 11, 19-21).**

**ჩვენ ხომ გონიერი ადამიანები ვართ...**

**ა.ს.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამბობდნენ და წერდნენ, რომ, სანამ საბოლოოდ აკურთხებდნენ მღვდელმსახურად, იოსებ ჯუღაშვილმა ორსიტყვიანი შეტყობინება მიიღო სემინარიაში: „ჩამოდი ათონში“. სწორედ ეს იყო ბოლო გამოცდაზე „ყოველგვარი მიზეზის გარეშე“ გაუსვლელობის მიზეზი, რომელმაც შეცვალა, არა მხოლოდ სოსოს მომავალი, არამედ მსოფლიოს გეოპოლიტიკა.**

# სტალინი. ყრმობა

**1941 წლის იანვარში სარკინიგზო მიმოსვლის სახალხო კომისარმა ლაზარე კაგანოვიჩმა მიიღო სტალინისთვის გადასაცემი წერილი, რომელსაც ხელს აწერდა სიმფეროპოლის პოლიტგეოგრაფიის მასწავლებელი ვინმე გ. ორლოვი.**

**წერილის ავტორი იუწყებოდა, რომ:**

**„იმყოფებოდა კიევში, სადაც მან აღმოაჩინა „სტალინის მტერი“ თავადი დავით აბაშიძე, რომელიც მთავარი შემოქმედი იყო თბილისის მართლმადიდებლური სემინარიიდან სტალინის გარიცხვისა. თავადი აბაშიძე, გარდა იმისა, რომ სემინარიაში სოსო ჯუღაშვილს საღმრთო საქმეს ასწავლიდა, ამასთანავე, იყო სემინარიის ინსპექტორი, რომელიც პირადად მეთვალყურეობდა ჯუღაშვილს. გვარშეცვლილი აბაშიძე კიევში განაგრძობდა მოღვაწეობას და მთავრობისა და შინსახკომის მეთვალყურეობას, როგორც ჩანს, სტალინთან ახლობლობის გამო გადაურჩა. გიგზავნით დიმიტრი აბაშიძის ფოტოსურათს წარწერით.**

**გ. ორლოვი“**

*(იხ. ფოტო 1)*

წერილიც და სურათიც ადრესატს გადასცეს.

„სტალინი დიდხანს უყურებდა თავისი მასწავლებლის სურათს, რომელმაც შორეულ წარსულში გადაისროლა, შემდეგ კი ჩვეულებრივი სახით მიაწერა სიტყვები: „ჩემს არქივში.“ სტალინი“, — იგონებს კაგანოვიჩი“.

დიმიტრი აბაშიძე 1944 წელს გარდაიცვალა ქალაქ კიევში, ისე, რომ მას არც გაუგია, მის სურათს ასე გულდაგულ თუ ინახავდა სტალინის პირადი არქივი.

1895 წელს სოსომ თავისი ლექსი მიუტანა ილია ჭავჭავაძეს, რომელიც თვითვე წაუკითხა.

**„ამ ქვეყნად იგი, ვით ლანდი,**
**კარის-კარ დაწრიალებდა;**
**ხელთ ეპყრა მუხის ფანდური,**
**ხმა-ტკბილად აწკრიალებდა;**
**მის საოცნებო ჰანგებში,**
**ვითარცა სხივი მზიური,**
**ისმოდა თვითონ სიმართლე**
**და სიყვარული ციური.**
**ბევრს აუძგერა იმა ხმამ**
**გული, ქვად გადაქცეული;**
**ბევრს გაუნათლა გონება,**
**ბნელ-უკუნეთად ქცეული.**
**მაგრამ დიდების მაგიერ,**
**სად ჩანგმა გაიწკრიალა,**
**განდევნილს ბრბომ იქ**
**დაუდგა**
**შხამით აღსავსე ფიალა...**
**და უთხრეს: „შესვი, წყეულო,**
**ეგ არის შენი ხვედრიო!**
**შენი არ გვინდა სიმართლე,**
**არც ეგ ციური ხმებიო!“...**

*(იხ. ფოტო 2)*

1907 წელს ჯუღაშვილის ლექსი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურულ კრებულში „საუკეთესო შედევრად“ შევიდა. 1895 წელს სოსელო წერს თავის უპოპულარულეს ლექს „დილას“, რომლის გაზეთ „ივერიის“ პირველ გვერდზე გამოქვეყნების აღსანიშნავად თბილისის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის მეორე კურსის შეგირდებმა გადაიღეს ერთობლივი სურათი, რომელზეც, აგრეთვე, არის ლექსის ავტორი სოსელო.

*(იხ. ფოტო 3)*

1899 წელს სოსო ჯუღაშვილი სემინარიიდან გარიცხეს მეხუთე კურსის ბოლო გამოცდაზე „ყოველგვარი მიზეზის გარეშე“ გამოუცხადებლობისთვის. თუმცა ცნობილია, რომ გარიცხვის მიზეზი იყო დაუმორჩილებლობა, რომელსაც ხშირად გამოხატავდა სემინარიის ადმინისტრაციისა და მისი ჟანდარმულ-დრაკონული წესების მიმართ. გარიცხვის მომენტში, როდესაც სემინარიის შავ ანაფორაში გახვეულმა რექტორმა **სერაფიმემ** შენიშვნა მისცა სოსოს, როგორ უპატივცემულოდ მესაუბრები და ნუთუ ვერაფერს ამჩნევ შენ წინაშეო, სოსომ უპასუხა: „ვამჩნევ შავ ლაქას იატაკზეო“, — ეს იყო ბოლო სიტყვები, რომელთა თქმის შემდეგ სოსოს აღარ აუვლია სემინარიის კიბე, იმ დღიდან რევოლუციური საქმიანობის უკიდეგანო ოკეანეში გადაეშვა.

ამბობდნენ და წერდნენ, რომ სანამ საბოლოოდ აკურთხებდნენ მღვდელმსახურად, იოსებ ჯუღაშვილმა ორსიტყვიანი შეტყობინება მიიღო სემინარიაში: „ჩამოდი ათონში“. სწორედ ეს იყო ბოლო გამოცდაზე „ყოველგვარი მიზეზის გარეშე“ გაუსვლელობის მიზეზი, რომელმაც შეცვალა არა მხოლოდ სოსოს მომავალი, არამედ მსოფლიოს გეოპოლიტიკა.

სტალინმა იცოდა, ვისთანაც მიდიოდა. ის მოკრძალებით წარდგა ათონის ეკლესიის წინამძღოლის, არქიეპისკოპოს **იერონიმეს** წინაშე. იოსებ ჯუღაშვილმა მოისმინა ლოცვა ქვეყნის გადარჩენისა და იქვე მიიღო ბრძანება: **„წადი, იხსენი რუსეთი და იხსენი მართლმადიდებლობა, ღმერთი გფარავდეს!“**

**1901 წლის 1 სექტემბერი იოსებ ჯუღაშვილის კალმით ბრძოლის დაწყების თარიღია. გამოვიდა სოციალ-დემოკრატების პერიოდული გამოცემა გაზეთი „ბრძოლა“ №1, რომლის პირველი გვერდი და მოწინავე სტატია სწორედ სოსოს (სოსელოს) ეკუთვნოდა. სოსო უკვე სოციალ-დემოკრატების თბილისის კომიტეტის წევრია, რომელსაც თავისი პრინციპები და თავისი ხელწერა აქვს: სოსო — ავლაბრის არალეგალურ სტამბაში, სოსო — ბათუმში, სოსო — ქუთაისში, სოსო — ჭიათურაში, სოსო — შემოქმედში.** *(იხ. ფოტო 4)*

1902 წლის გაზაფხულზე სტალინი ბათუმში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისთვის დააპატიმრეს. ეს იყო მისი პირველი პატიმრობა. ბათუმიდან ის ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს, მაგრამ მალე დააბრუნეს ბათუმში. *(იხ. ფოტო 5)*

**რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმპერიის შორეულ რაიონებში ხუთი წლით გაამწესა ახალგაზრდა სოსო, რომელმაც პირველად ნახა დაუსრულებელი რუსული იმპერია: როსტოვი, ჩელიაბინსკი, კრასნოიარსკი, ირკუტსკი...**

1904 წლის 5 იანვარს ხანგრძლივ და მკაცრ ზამთარს შეებრძოლა რკინის სოსელო და უამრავი სიძნელის გადალახვის შემდეგ მშვიდობით დაუბრუნდა თბილისს. ეს იყო მისი პირველი გადასახლება და პირველი გამოქცევა ციმბირიდან, საიდანაც იწყება **რკინის კაცის გაფოლადება.**

*(იხ. ფოტო 6)*

**1905 წელს, სოსო ჯუღაშვილის სახელი გასცდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიას და რუსეთის იმპერიის რევოლუციონერთა საძიებელში გაჩნდა სრულიად ახალი სახელი — კობა. ისტორიამ ჩაიბარა მისი ბავშვობა და ყრმობა. კობა უკვე სახელმოხვეჭილი იატაკქვეშელი მოღვაწეა, რომელიც აწყობს მანიფესტაციებს, შეკრებებს, გამოსვლებს, აქტიურად იღვწის პრესის ფურცლებზე და არის პროკლამაციების დიდოსტატი. მის აგიტატორულ და ორგანიზატორულ ნიჭზე მიგვანიშნებს ფოტო, რომელიც 1905 წელს არის გადაღებული დღევანდელი თბილისის ზღვის ფსკერზე, ხალხმრავალ მიტინგს კობა უძღვებოდა და მგზნებარე სიტყვითაც გამოვიდა.** *(იხ. ფოტო 7 და 8)*

სწორედ ეს ადგილი გაახსენდა სტალინს, მაშინ, როდესაც თბილისისთვის წყლის რეზერვუარი უნდა შეექმნათ და მოერწყათ მზით გარუჯული სამგორის უნაყოფო მიწა.

**დიდ პეტრე მამრაძეს (ჩვენი თანამედროვე პეტრე მამრაძის ბაბუას) დავალება მისცა, გაეგრძელებია ინჟინერ გობის დაწყებული საქმე, შეეცვალა პროექტი და მდინარე იორის წყალი მლაშე წყლების ადგილზე შეეჩერებინა თბილისის მიდამოებში, როგორც სხვა დიდი სარწყავი ნაგებობების პროექტები, როგორიც არის: კულაშ-ღანირის, ლაში-მისაქციელის, რიონი-მაშველის, წილკნის, დოეს-გრაკლის, თეზი-ოკამის, აჯამეთის, ტირიფონის, ალაზნის, მუხრანის, ტაშისკარის, სამგორის და სხვ., სტალინური ხუთწლედების შემოქმედებაა. დღევანდელი თბილისის ზღვის ფსკერი სწორედ სტალინის ნატერფალია.**

ახლოვდებოდა 1907 წელი. 1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ გატეხა ლენინი და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, როგორც რევოლუციის მომლოდინე დამფინანსებლები, ისე ქვეყნის პროლეტარიატი, რომელსაც უკვე მაჯა აღარ ესინჯებოდა. უნდა მომხდარიყო დიდი აფეთქება, რათა ახალი ძალა, ახალი სიცოცხლე შექმნილიყო, „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“. ძალას ძალა უნდა დაუპირისპირდეს. ძალისათვის საჭიროა იარაღი, იარაღისათვის კი — ფული. ფული არის, მაგრამ ის ხმარდება მეფისა და მეფისნაცვლების სასახლეების მშენებლობას და მათ ფუფუნებას.

**სტალინი ყველა გამოსვლისას, ყველა პროკლამაციაში თუ საგაზეთო სტატიაში ერთმნიშვნელოვნად ამბობდა, რომ რევოლუციისთვის საჭიროა სამი რამ: პირველი — შეიარაღება, მეორე — შეიარაღება და მესამე — ისევ შეიარაღება. ლენინი კი ემიგრაციიდან უთვლიდა, რომ ამისათვის საჭიროა ფული, ფული და მხოლოდ ფული. თვით რევოლუციის საჭიროებამ მოითხოვა და გაჩნდა კიდეც რევოლუციური სიტყვა ექსპროპრიაცია — „თუ ნებით არ მომცემ, წაგართმევ“.**

1992 წელს, როდესაც მცირე ძალებით ვიცავდით საბჭოთა ქვეყნის ერთიანობას, იმდროინდელმა ხელისუფლებამ სხვა ვერაფერი ისწავლა ძველი ხელისუფლებისგან, ექსპროპრიაციის გარდა, რომლის საფუძველზეც ერთ მშვენიერ დღეს ცენტრალური კომიტეტის შენობა, რომელიც კომუნისტების საწევრო შენატანებით იყო აშენებული, ჯაჭვებითა და ბოქლომებით დაგვხვდა გადაკეტილი. ექსპროპრიაციააო, — გვითხრეს. ქართველი კომუნისტების პატიოსნების სიმბოლო **სერგო რიგვავა** კი ციხეში გამოამწყვდიეს. ეს ახალი ამბავია, მე ძველზე უნდა მოგითხროთ.

**1907 წლის 13 იანვარს მომხდარმა შეძრა სრულიად ევროპა: კავკასიის ერთ-ერთი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მოხდა ძარცვა, რომლის მსგავსიც, არათუ ვინმეს ჩაუდენია, ფიქრადაც კი არავის გაუვლია გონებაში. ნაძარცვმა თანხამ 5 მილიონ დოლარს გადააჭარბა, რომელიც იმხანად ფანტასტიკური თანხა იყო არა მხოლოდ მძარცველებისთვის, არამედ მაგნატებისთვისაც კი. ვინ ხელმძღვანელობდა ამ უდიდეს და ურთულეს ოპერაციას, რომელმაც შეძრა მსოფლიო? — გორელი ვაჟკაცი, კობას მეგობარი და რევოლუციურ მოძრაობის რაინდი — კამო ტერ-პეტროსიანი.**

კამომ 5 მილიონი დოლარი ლენინს შვეიცარიაში ჩაუტანა, ისე, რომ უკან დასაბრუნებელი ფულიც არ დაუტოვებია.

დღეს ვილაც ახვარი კამოს გასაქილიკებლად გაიძახის, — კამომ „ღამის ოქრო“ (განავალი) ჭამაო. როცა თქვენ ნამდვილ ოქროს ჭამთ, ვერ გრძნობთ, რომ ის იმ „ღამის ოქროზე“ უფრო მყრალია, რომლის ჭამასაც კამოს აბრალებთ! აბა, შეხედეთ მის ვაჟკაცურ მზერას, მის გარდასულ დღეთა ისტორიას. ენა როგორ გიბრუნდება, შე ნაძირალა ნეხვიჭამიავ?! *(იხ. ფოტო 9)* ▶


На этой фотокарточке изображен тот негодяй, который [illegible] великого Сталина из Тифлисской дух. семинарии.
134об
Фотоснимок представил преподаватель географии [illegible] Орлов.

ფოტო №1


ფოტო №2


ფოტო №3

**1899 წელს სოსო ჯუღაშვილი სემინარიიდან გარიცხეს მეხუთე კურსის ბოლო გამოცდაზე „ყოველგვარი მიზეზის გარეშე“ გამოუცხადებლობისთვის. თუმცა ცნობილია, რომ გარიცხვის მიზეზი იყო დაუმორჩილებლობა, რომელსაც ხშირად გამოხატავდა სემინარიის ადმინისტრაციისა და მისი ჟანდარმულ-დრაკონული წესების მიმართ. გარიცხვის მომენტში, როდესაც სემინარიის შავ ანაფორაში გახვეულმა რექტორმა სერაფიმემ შენიშვნა მისცა სოსოს, როგორ უპატივცემულოდ მესაუბრები და ნუთუ ვერაფერს ამჩნევ შენ წინაშეო, სოსომ უპასუხა: „ვამჩნევ შავ ლაქას იატაკზეო“ — ეს იყო ბოლო სიტყვები, რომელთა თქმის შემდეგ სოსოს აღარ აუვლია სემინარიის კიბე — იმ დღიდან რევოლუციური საქმიანობის უკიდეგანო ოკეანეში გადაეშვა.**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ბრძოლა

რედაქციისაგან.

ფოტო №4


ფოტო №5



ფოტო №6

**◀ არავის ეგონა, რომ ერევნის მოედანზე ჩატარებული ოპერაცია, რომლის მოთხრობაც ამ საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია, არ იყო კამოს შემოქმედება. ამ ოპერაციის გეგმაც სწორედ ისე იწერებოდა, როგორც სტალინგრადის დაცვის, ბერლინის აღების, ბლოკადიდან ლენინგრადის გათავისუფლების, კურსკ-ორიოლის ბრძოლისა და მოსკოვის დაცვის სტრატეგიული გეგმა. იმპერიის საგამოძიებო თუ სადაზვერვო სამსახურებმა იცოდნენ, ვისი ხელწერითაც განხორციელდა ეს ოპერაცია, ევროპაში საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნა, რათა დაედგინათ, ვინ გამოუშვა მოედანზე ქოლგებით ხელში მოცეკვავე ორი ლამაზმანი, ვინ იყვნენ ის მაღალჩინოსანი ჟანდარმერიის მოხელეები, რომლებიც წესრიგს ამყარებდნენ მოედანზე სამთავრობო კარეტის გავლის მომენტრში, ვინ მიუშვა კარეტასთან ისე ახლოს უბრალოდ შემოსილი გლეხუჭა, რომელმაც პირველი ბომბი ესროლა კარეტას და დასაბამი მისცა არნახულ სისხლისღვრას, შემდეგ კი უდიდესი ძარცვის წარმატებით დასრულებას. ამის დამალვა შეუძლებელი იყო და პასუხისმგებლობა კამომ თავის თავზე დაიკისრა.**

მაშინ, როდესაც მას ოთხჯერ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ტიპოგრაფიის, იარაღის, ექსპროპრიაციისა და სხვადასხვა უმძიმესი დანაშულისთვის და თვალთან მიტანილი განწითლებული შამფურის შიშით თვალი არც კი დაუხამხამებია, ეს ხომ ვაჟკაცობაა? თქვი, თუ მართლა ავყია, ბოტროტი, ბოლმა და ჩათლახი არ ხარ.

**ცოტნე დადიანმა** უფრო დიდი გმირობა რა ჩაიდინა მეგობრობისთვის, ვიდრე კამომ?

აი ასე მოაწესრიგა კამომ ერევნის მოედანი, კორტეჟს უსაფრთხოდ რომ გაევლო. *(იხ. ფოტო 10)*

რეჟისორის მიერ დადგმულმა სანახაობამ მსოფლიო შეძრა. ლონდონში „დეილი მირორმა“ გამოაქვეყნა სტატია: „ბომბების წვიმა — რევოლუციონერებმა ხალხის მასას ცეცხლი გაუხსნეს, დღეს ქალაქის ცენტრში ხალხით სავსე მოედანზე ათი ჭურვი ისროლეს, ჭურვები აფეთქდა და უამრავი ადამიანი შეიწირა...“ გაზეთმა „თაიმსმა“ სტატიას „ბომბების აფეთქება თბილისში“ უწოდა. ვერაფრით დადგინდა, რამდენი მძარცველი მონაწილეობდა ამ საქმეში. ზოგიერთი მოწმის დაჟინებული მტკიცებით, ძარცვაში 50 კაცი მონაწილეობდა, სხვების მტკიცებით, 70 მძარცველი ისროდა ჭურვებს სახურავიდან, ფანჯრებიდან და მთაწმინდიდანაც კი. არავის დაუნახავს, რომ ფულის ტომრები კამომ წაიღო. „ოხრანკას“ მთელი რუსეთის იმპერიიდან მოსდიოდა ჭორები, რომ ოპერაცია თვით სახელმწიფოს მოხელეების მოწყობილია, ზოგიერთი მომხდარში პოლონელებს, ზოგიც სომეხ დაშნაკებს, ზოგიც როსტოველ ანარქისტებს სდებდა ბრალს.

ბანდის ვერც ერთი მონაწილე ვერ დაიჭირეს, საქმე ისევ ევროპაში გაიხსნა, როდესაც ლენინმა და მისმა მეგობრებმა კუპიურების გადაცვლა დაიწყეს.

**1907 წლის მაისში, ლონდონში ჩატარდა პარტიის ყრილობა. ყრილობის მუშაობაში არ მონაწილეობდა იოსებ ჯუღაშვილი. ყრილობაზე უმრავლესობით მენშევიკები იყვნენ წარმოდგენილნი. ქართველი მენშევიკების დაჟინებული მოთხოვნით განიხილეს თბილისში, ერევნის მოედანზე, მომხდარი ძარცვის საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკებმა ვერანაირი საბუთი ძარცვაში სტალინის მონაწილეობის შესახებ ვერ წარმოადგინეს, გარდა კამოსთან მეგობრობისა, ყრილობაზე ქართველი მენშევიკების უმრავლესობის აქტიურობიდან გამომდინარე, დაადგინეს, რომ სტალინი უნდა გაირიცხოს პარტიის რიგებიდან.** მაგრამ ყრილობის დადგენილება ცენტრალურმა კომიტემა არ გაიზიარა, არ მიიღო მხედველობაში და სტალინი კვლავ კავკასიის ლენინად დარჩა.

სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის აკვანი ბათუმში დაირწა. აჭარელ საქრისტიანოსა და სამუსლიმანოს ახსოვდა თავგანწირული კობას რევოლუციური ცხოვრების ყოველი დღე. ბელადის სიყვარული აჭარელი ხალხის მუდმივი თანამგზავრია და მისი სახელი აჭარის ლაჟვარდოვან ცაზე არასოდეს გაფერმკრთალებულა. ქართული პოეზიის მეჩუქურთმე **გიორგი ლეონიძე** თავის პოემაში „ბორშეულა და ფორთოხალა“ ხატოვნად ამბობს: **„აჭარელი წყალს არ დალევს, სტალინი რომ არ ახსენოს“.**

მინდა, სტალინის 140 წლისთავის საიუბილეო დღეები მივულოცო აჭარელ სტალინისტებს და მათთან ერთად ვიზეიმო მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის, მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა მამისა და მასწავლებლის, ძლევამოსილი გოლიათისა და მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯარის უმაღლესი მთავარსარდლის საიუბილეო თარიღი. მეორე მსოფლიო ომში ჩაბმული იყო 71 დიდი თუ პატარა სახელმწიფო და იარაღით ხელში იბრძოდა 120 მილიონი ადამიანი. ყველა მებრძოლს გამარჯვების სიმბოლოდ და თავის უმაღლეს მთავარსარდლად საბჭოთა კავშირის მარშალი სტალინი მიაჩნდა. დიდ ბრიტანეთში სტალინის პატივსაცემად ერთ-ერთ ქუჩას სტალინის სახელი ეწოდა, ხოლო არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში მარშალ სტალინის პროსპექტი 879-დან 1879 ნომრამდე გააგრძელეს სტალინის დაბადების დღის აღსანიშნავად.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**


ფოტო №10


ფოტო №7


ფოტო №8


ფოტო №9

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მე ასე მესმის, რომ კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქიაში მოთხოვნაა ჰომოსექსუალებზე, როგორც თანაშემწეებზე. რა უფლებით ესწრებოდა ჰომოსექსუალი უმაღლესი რანგის მღვდელმთვართა შეკრებას, რომელზეც დასწრება აკრძალული აქვს საერო პირს, და ვინ მიიყვანა ის იქ? “

# უკრაინის ე.წ. მართლმადიდებელი ეკლესიის ნამდვილი სახე

## უკრაინის ე.წ. მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავართა კრებას ცნობილი ლგბტ-აქტივისტი ესწრებოდა

**უკრაინაში ცნობილი ლგბტ-აქტივისტი და აშკარა ჰომოსექსუალი ივან რიაბჩიი (შემოქმედებითი ფსევდონიმი ივან ტიუსო) დაესწრო „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ (იგივე „ახალი ეკლესიის“) მღვდელმთავართა კრებას, რომელიც 14 დეკემბერს კიევის სოფიის სახელობის ტაძარში ჩატარდა.**



გლამურული ჰომოსექსუალი ივან რიაბჩიი კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიის უმაღლესი რანგის მღვდელმთავართა კრებაზე

რიაბჩიი იჯდა „კრების“ მონაწილეთა შორის — „ახალი ეკლესიისა“ და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპისკოპოსებისა და მიტროპოლიტების გვერდით. გლამურის „ვარსკვლავი“ მაგიდის ბოლოს საპატიო ადგილას იყო მოთავსებული — იმის საწინააღმდეგო მხარეს, სადაც იჯდა უკრაინის ე.წ. მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლი „მიტროპოლიტი“ **ეპიფანე (დუმენკო).** ფოტოზე, რომელიც სოციალურ ქსელში გავრცელდა, რიაბჩიი ზის „მიტროპოლიტებს“ — **სიმონსა (შოკალსკი)** და **დიმიტრის (რუდიუკი)** შორის.

კიევის საპატრიარქოს ე.წ. უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას შეახსენეს, რომ უმაღლესი მღვდელმთავრების კრებაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ ეპისკოპოსებსა და მიტროპოლიტებს — ადამიანებს, რომლებსაც ბერობის აღთქმა აქვთ დადებული. „რიაბჩიი კი აშკარა ჰომოსექსუალია. ის მონაწილეობდა ყველა გეიაღლუმში, რომლებიც კიევში ჩატარდა, ახლა კი ის უკრაინის ე.წ. მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავართა კრებაშიც მონაწილეობს.

„რიაბჩიი — ტიუსო, როგორც ჩანს, კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქიასთან დაახლოებული პირია და ყველა ღონისძიებას ესწრება“, — ასე აფასებს ვითარებას უკრაინელი პუბლიცისტი ალექსანდრე ვოზნესენსკი.

„მე ასე მესმის, რომ კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქიაში მოთხოვნაა ჰომოსექსუალებზე, როგორც თანაშემწეებზე. რა უფლებით ესწრებოდა ჰომოსექსუალი უმაღლესი რანგის მღვდელმთვართა შეკრებას, რომელზეც დასწრება აკრძალული აქვს საერო პირს, და ვინ მიიყვანა ის იქ? “ — დაწერა ვოზნესენსკიმ სოციალურ ქსელში.



ივან რიაბჩიი უკრაინის ამბოხებულთა არმიისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე

**კიევის საპატრიარქოს ე.წ. უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას შეახსენეს, რომ უმაღლესი მღვდელმთავრების კრებაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ ეპისკოპოსებსა და მიტროპოლიტებს — ადამიანებს, რომლებსაც ბეროზის აღთქმა აქვთ დადებული. „რიაბჩიი კი აშკარა ჰომოსექსუალია. ის მონაწილეობდა ყველა გეიაღლუმში, რომლებიც კიევში ჩატარდა, ახლა კი ის უკრაინის ე.წ. მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავართა კრებაშიც მონაწილეობს**

ვითარებას პიკანტურობას მატებს ისიც, რომ რიაბჩიი, როგორც უკრაინელი ნაციონალისტი ლიტერატურული გლამურიდან, ადრე დაახლოებული იყო „კიევის საპატრიარქოს“ ხელმძღვანელობასთან. 2016 წელს „კიევის პატრიარქმა“ ფილარეტმა (დენისენკომ) რიაბჩიი კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის „ორდენით“ დააჯილდოვა „უკრაინაში სულიერების აღორძინებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“.



გეიმსვლელობა კიევში. მარცხნივ ივან რიაბჩიი

**ვითარებას პიკანტურობას მატებს ისიც, რომ რიაბჩიი, როგორც უკრაინელი ნაციონალისტი ლიტერატურული გლამურიდან, ადრე დაახლოებული იყო «კიევის საპატრიარქოს» ხელმძღვანელობასთან. 2016 წელს «კიევის პატრიარქმა» ფილარეტმა (დენისენკომ) რიაბჩიი კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის «ორდენით» დააჯილდოვა «უკრაინაში სულიერების აღორძინებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის»**



## პოროშენკო: ხელისუფლებამ უკრაინა რუბლებზე გაყიდა

## ჯულიანი: ობამამ და პოროშენკომ უკრაინა გაძარცვეს და 100 მლრდ დოლარი მიითვისეს

### „თანხის 70% ეგზავნებოდა მფარველებს აშშ-ში, 30%-ს კი პოროშენკო და მისი რეჟიმის წევრები იტოვებდნენ“

**უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი მოქმედი ხელისუფლების მიერ რუსულ „გაზპრომთან“ მიღწეული შეთანხმების გამო აცხადებს, რომ ხელისუფლება რუბლზე გაიყიდა.**

საქმე ეხება რუსეთისგან ბუნებრივი აირის უკრაინულ ბაზარზე მიწოდებას. პოროშენკოს თქმით, „ვლადიმერ პუტინმა მეხუთე კოლონას მიჰყიდა ბუნებრივი აირი, ხოლო მიღებულ შემოსავალს უკრაინის სახელმწიფოებრიობისთვის ძირის გამოსათხრელად გამოიყენებს“. უკრაინამ ბუნებრივი აირი საიდან უნდა მოიტანოს, ან მისი პრეზიდენტობისას რატომ ყიდულობდნენ რუსულ ბუნებრივ აირს, პოროშენკოს არ განუმარტავს.

ნიუ-იორკის ყოფილმა მერმა და აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადვოკატმა **რუდოლფ ჯულიანიმ** სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ გამოაქვეყნა მტკიცებულებები იმისა, რომ უკრაინაში ხელისუფლება მიიტაცა აშშ-ის ექსპრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ და მისმა აგენტურულმა ქსელმა უკრაინის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის — პეტრე პოროშენკოს მეთაურობით.

**ჯულიანი** ამტკიცებს, რომ **პოროშენკომ** და მისმა თანამზრახველებმა მოიპარეს და ქვეყნიდან გაიტანეს 100 მლრდ-ზე მეტი დოლარი. ადვოკატის თქმით, ამ თანხის ნაწილი ჩაიჯიბეს აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წევრებმა, კერძოდ, **ჯო ბაიდენმა** და **ჰილარი კლინტონმა.**

**„თანხის 70% ეგზავნებოდა მფარველებს აშშ-ში, 30%-ს კი პოროშენკო და მისი რეჟიმის წევრები იტოვებდნენ“,** — წერს ჯულიანი.

მისი თქმით, ფაქტები მოწმობს, რომ უკრაინაში კორუფცია ისე საშინლად და ფართოდ იყო მოდებული, პრეზიდენტი ვალდებული იყო, აშშ-სა და უკრაინაში გამოძიება მოეთხოვა“.

**„იმპიჩმენტი (ტრამპის) დემოკრატების საფარის ნაწილია... აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტი გაურიგდა უკრაინას, გაენადგურებინა კანდიდატი ტრამპი. პოროშენკო და მისი თანამზრახველები პირდაპირ ერეოდნენ აშშ-ის დემოკრატიულ საპრეზიდენტო არჩევნებში და ამის გამო ისინი საკადრისად აგებენ პასუხს“.**

ჯულიანი წერს, რომ ამ ვითარების გამო ბაიდენმა სთხოვა უკრაინის პრეზიდენტ **ვლადიმერ ზელენსკის,** არ დაიწყოს პოროშენკოს სამართლებრივი დევნა. **„ისინი ძარცვავდნენ უკრაინას და დანაშაულს მაღალი ფასეულობების დაცვით ნიღბავდნენ“,** — წერს ჯულიანი.

გვერდი მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორების“ მხრიდან დამცირებებისა და შეურაცხყოფების გამო, რომლებიც ხალისით იყენებენ ჩვენს პოლიტიკურ მარტოობას და პროგრამულ მტრობას რუსეთის მიმართ, პოლონეთმა დიდი ხნით თქვა უარი საერთაშორისო პოლიტიკაში მონაწილეობაზე. ამერიკელებმა რამდენიმე დღეში შეძლეს ჩვენს ქვეყანაში გასულ ასწლეულში დაგროვებული სიმპათიის კაპიტალის გაფლანგვა, თუმცა მშვენივრად ვიცით, რომ ისინი ტეტიები არიან.**

# პოლონეთის პრეზიდენტის მრჩეველი: ჩვენ არ უნდა გვქონდეს ილუზიები — ევროპის რუკაზე კიდევ იქნება ცვლილებები

**პოლონეთის პრეზიდენტის მრჩეველმა ვიტოლდ მოძელევსკიმ ამერიკელებს ტეტიები უწოდა და იწინასწარმეტყველა, რომ ევროპის რუკაზე კიდევ იქნება ცვლილებები. მოძელევსკიმ თავისი თვალსაზრისი გადმოსცა ახალ წიგნში „პოლონეთი — რუსეთი, 1919 წელი. ფიქრები ასწლეულზე“. პოლონეთის პრეზიდენტთან არსებული განვითარების ეროვნული საბჭოს წევრის, პროფესორ ვიტოლდ მოძელევსკის წიგნიდან ამონარიდები პორტალმა dziennik.pl-მ გამოაქვეყნა. აი რამდენიმე მათგანი:**

* „ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორების“ მხრიდან დამცირებებისა და შეურაცხყოფების გამო, რომლებიც ხალისით იყენებენ ჩვენს პოლიტიკურ მარტოობასა და პროგრამულ მტრობას რუსეთის მიმართ, პოლონეთმა დიდი ხნით თქვა უარი საერთაშორისო პოლიტიკაში მონაწილეობაზე. ამერიკელებმა რამდენიმე დღეში შეძლეს ჩვენს ქვეყანაში გასულ ასწლეულში დაგროვებული სიმპათიის კაპიტალის გაფლანგვა, თუმცა მშვენივრად ვიცით, რომ ისინი ტეტიები არიან“.

*** „ზოგიერთი ხეიროზს ჩვენი სისულელით, როცა რაღაც „საფრთხით გვაშინებს. ჩვენ ვიცით, ვისგან ქმნიან დემონს — „პუტინის რუსეთისგან“. ის ჩვენ „გვემუქრება“, ამიტომ უნდა შევიარაღდეთ, მაგრამ თვითონ არ შეგვიძლია იარაღის წარმოება. ჩვენ ის ერთგული მეგობრებისგან უნდა ვიყიდოთ (მეგობრობა ხომ მსხვერპლს მოითხოვს)“.**

* „ჩვენი პროტესტი ყირიმის ანექსიის მიმართ, რომელსაც პოლონეთის მთავრობა არასოდეს აღიარებს, საცოდავად გამოიყურება და მოტყუებული ბავშვის ჩივილს ჰგავს. თუმცა, რადგან თავის დროზე არ გაგვიპროტესტებია ევროპაში საზღვრების შეცვლა, იმიტომ, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ „გერმანიის გაერთიანებამ“ შექმნა ამ რეგიონის ახალი ისტორია, ჩვენ არ უნდა გვქონდეს ილუზიები: კიდევ იქნება ცვლილებები“.

პროფესორის ასეთი გულახდილი მოსაზრებები შეაფასა პოლონეთის პრეზიდენტ ანჯეი დუდას პრესმდივანმა **ბლაჟეი სპიხალსკიმ.**

„განვითარების ეროვნულ საბჭოში 100-ზე მეტი სხვადასხვა სფეროა. პროფესორი ვიტოლდ მოძელევსკი მუშაობს „ეკონომიკისა და მეწარმეობის“ და არა „უსაფრთხოების, თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის“ განყოფილებაში. მე არ ვიცი, აწარმოებდა თუ არა პრეზიდენტი პროფესორთან ერთად მოლაპარაკებებს საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში“.



პოლონეთის პრეზიდენტის მრჩეველი ვიტოლდ მოძელევსკი

შეგახსენებთ, რომ თვითონ პრეზიდენტმა დუდამ ცოტა ხნის წინათ განაცხადა რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე. ლონდონში, ნატოს სამიტზე მყოფმა პოლონეთის პრეზიდენტმა კითხვას, თუ ვინ არის დღეს ნატოს მტერი, ასე უპასუხა: **„მტერი არ არსებობს. მტერი, შესაძლოა, ეწოდოს ტერორისტული ხასიათის არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს“.** როცა ჟურნალისტმა ჰკითხა: „რუსეთი?“ დუდამ უპასუხა, რომ რუსეთს მიიჩნევს მეზობლად. რამდენიმე დღის შემდეგ კი პოლონეთის პრეზიდენტის კანცელარიის შეფმა **კშიშტოფ შჩერსკიმ** „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დასძინა, რომ **„მოსკოვისგან მტრის შექმნის მცდელობამ შეიძლება ვარშავა დააზარალოს“.**

**„ზოგიერთი ხეიროზს ჩვენი სისულელით, როცა რაღაც „საფრთხით გვაშინებს. ჩვენ ვიცით, ვისგან ქმნიან დემონს — „პუტინის რუსეთისგან“. ის ჩვენ „გვემუქრება“, ამიტომ უნდა შევიარაღდეთ, მაგრამ თვითონ არ შეგვიძლია იარაღის წარმოება. ჩვენ ის ერთგული მეგობრებისგან უნდა ვიყიდოთ (მეგობრობა ხომ მსხვერპლს მოითხოვს)“**



# საქართველოს მთავრობას პრინციპულობის გამოჩენა უფრო მოეთხოვება

**ჩვენ ვაფასებთ თურქეთთან განსაკუთრებულ ურთიერთობას და მივესალმებით სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებას, — განაცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუსთან შეხვედრისას.**

მთავრობის მეთაურმა თურქეთის რესპუბლიკას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი მესხეთელ თურქებს საქართველოში დაბრუნებას დაჰპირდა.

რამდენიმე დღის წინათ კი თურქეთის ერთ-ერთი პარტია „ვატანის“ (ე.ი. თურქეთის პოლიტიკური სუბიექტის) ოფიციალური დელეგაცია აფხაზეთს სტუმრობდა და იქ განაცხადა, რომ იწყებენ მუშაობას, რათა თურქეთმა ოფიციალურად აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას მადლობების გადახდის ნაცვლად (რა არის სამადლობელი?) პრინციპულობის გამოჩენა უფრო მოეთხოვება!

# თურქი პოლიტიკოსები აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის ემზადებიან

**აფხაზეთში თურქეთის დელეგაციის ვიზიტი ანკარის მიერ აფხაზეთის სუვერენიტეტის აღიარებასთან არის დაკავშირებული, — განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა, პარტია „ვატანის“ („სამშობლო“) თავმჯდომარე დოგუ პერინჩეკმა.**

„ეს ჩვენი პირველი ვიზიტია. ჩვენ აქ ჩამოვედით აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოწვევით. ჩვენი მთავარი მიზანია, ძალისხმევა არ დავიშუროთ იმისთვის, რომ თურქეთის რესპუბლიკამ აღიაროს აფხაზეთის რესპუბლიკა, აღიაროს ის გმირობა, რომლის წყალობითაც აფხაზეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა“, — განაცხადა **პერინჩეკმა.** მისი თქმით, თურქეთს აფხაზეთთან ისტორიული ფესვები აკავშირებს. „თურქეთში 500 ათასი აფხაზი ცხოვრობს — ეს დიდი რაოდენობაა. ჩვენ, აფხაზებსა და თურქებს, მეგობრული, ძმური ურთიერთობა გვაქვს. ჩვენთვის შავი ზღვა საერთო სამშობლოა, რომელსაც ვიყოფთ აფხაზებთან“, — განაცხადა პარტია „ვატანის“ ლიდერმა.

**შემადგენლობაში დელეგაციისა, რომელიც სოხუმში ჩავიდა, იყო შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ქემალ უშუნჯუ, თურქეთის უდიდესი ჰოლდინგის — „ულკერის“ წარმომადგენლები, პარტია „ვატანის“ წევრები და საერთაშორისო ურთიერთობების ბიურო „ერმან სიულიუკის“ წარმომადგენელი. დელეგაციის წევრები აფხაზეთში შეხვდნენ აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას, საგარეო საქმეთა და სოფლის მეურნეობის მინისტრებს, პარლამენტის სპიკერს.**

თურქეთის წარმომადგენლებმა აფხაზეთის ხელისუფლებასთან ილაპარაკეს თავისუფალ საზღვაო მიმოსვლაზე, „აფხაზეთის პორტში პირდაპირ თურქეთიდან რომ შედიოდეს მგზავრები და საქონელი“.



„ეკონომიკური პერსპექტივა დააჩქარებს აფხაზეთის რესპუბლიკის აღიარებას თურქეთის რესპუბლიკის მიერ. ჩვენ, აგრეთვე, ვგეგმავთ აფხაზეთის პრეზიდენტის ვიზიტს თურქეთში, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან წაადგება აღიარების საკითხს“, — განაცხადა დოგუ პერინჩეკმა.

თავიანთი მიზნების რეალიზაციისთვის თურქეთის წარმომადგენლებს განზრახული აქვთ, „მასმედიის მხარდაჭერით დაიწყონ ფართო კამპანია თურქეთში“.

**«ეს ჩვენი პირველი ვიზიტია. ჩვენ აქ ჩამოვედით აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოწვევით. ჩვენი მთავარი მიზანია, ძალისხმევა არ დავიშუროთ იმისთვის, რომ თურქეთის რესპუბლიკამ აღიაროს აფხაზეთის რესპუბლიკა, აღიაროს ის გმირობა, რომლის წყალობითაც აფხაზეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა», — განაცხადა პარტია «ვატანის» ლიდერმა**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვინ არის თავმდები, რომ ხვალ ამისთანა დღე თქვენც არ მოგაყენოს ერთმა ვინმემ თავზედხელაღებულმა მაჩანჩალამ იმ ერთგვარ გაზეთისამ თუ ჟურნალისამ, რომელსაც წმინდა სახელი და დანიშნულება პრესისა მჩვრად უქცევია, ადამიანობა და ადამიანი ბეზღობის და ცილისწამების საგნად გაუხდია და დიდი მოძღვრება ადამიანის ხელუხლებლობისა მარტო თავის სახეიროდ, თვის საფარველად გარდუქმნია?“

# აგვიხდა შაჰ-აბასის წყევლა, ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემო

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

## «გონების განწმენდა» გვჭირდება, «უცხო ბაძით» მოწამლული გონების

ივანე ჯავახიშვილი სინანულით აღნიშნავდა: „ჩვენს ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი — კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა და საუბედუროდ, ილია ჭავჭავაძეს კარგი გამგონე დღემდე არ გამოსჩენია, მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არააო“. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ხშირად გვესმის ხელისუფალთაგან, — ილიას გზას ვადგავართო, „კარგი გამგონე“ არც ამჯერად ჰყავს ერის მამას. საქართველო კვლავ მისი „თანამდევი უკვდავი სულის“ გარეშე აგრძელებს სვლას... საკითხავია, როდემდე?

როდემდე უნდა გაგრძელდეს დაპირისპირება, აქციები, მუშტი-კრივი, მავანთა მიერ თავის მართლება ნაკლებ დამაჯერებელი არგუმენტებით?!

ათასნაირ ექსპერტებსა და თეორიებს ვეძებთ მთელს მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის პრობლემათა გადაწყვეტისთვის, პასუხს სხვაგან ვეძებთ და არა საკუთარ თავსა და ისტორიაში. „ამის გამო ჩვენ ველარ ვიკვლიეთ-რა, ველარა გამოვიძიეთ-რა... ან, რაღას ვიკვლევდით, როცა ჩვენი აღარა გვჯერა-რა. ეს ყველა ჩვენი ძველი ნაცადი, ჩვენი წარსულის გამოცდილება გაგვიბათილა სახელმა და ბრუმ უცხო ქვეყნისამ, რომელმაც ყველაფერში ღრმად ჩაგვითრია“. ამ „ღრმად ჩათრევის“ შედეგია ის, რომ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ნებისმიერი პრობლემის პასუხს სხვაგან ვეძებთ, გვავიწყდება ილიასეული გენიოსური ფორმულა: „ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია“.

ეტყობა, „გონების განწმენდა“ გვჭირდება, „უცხო ბაძით“ მოწამლული გონების. უკვე მერამდენედ აგვიხდა შაჰ-აბასის წყევლაც: „ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემო“.

ილია მთელი სიცოცხლე თავისი „კარგი ქვეყნის დიდების დღენის აღდგენისათვის“ ოცნებობდა, შესაძლოა, სწორედ ამიტომ მასაც უწევდა ვაიპატრიოტთა მოგერიება და მათ მიერ შეთხზული პასკვილებისთვის პასუხის გაცემა, დამაჯერებელი და უტყუარი არგუმენტებით გამყარებული პასუხის. „ნუთუ?“ უკანასკნელი შედევრია ილია ჭავჭავაძის პოლემიკური მემკვიდრეობისა, რომლითაც მან მისი ღირსების შემლახველებს საკადრისი პასუხი გასცა. „აფსუს, სამართლიანად თავმოწონებულო პრესავ *(ტელევიზიავ — რედ.)*, რომ შენი დიდებული სარბიელი მყრალ გუბედ გაუხდიათ და, საცა პატიოსანი ჭკუა და წმინდა გული უნდა ხელმწიფებდეს, ჭიაღუა ბეზღობისა ჰჭყუპალაობს და თავის ბუდეს იკეთებს“, — სინანულით აღნიშნავს წერილის ბოლოს ერის მამა.

საბედნიეროდ, „ივერია“ სიფრთხილით და წინდახედულად მოქცეულა, ბრმად არ აჰყოლია ვიღაც ორ ასოს ქვეშ მიმალულ კორესპონდენტის ფეხის ხმას იქ, „საცა ხელშეხებულია ადამიანის ღირსება, პატიოსნება, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაც პატივაუხდელ ადამიანის უძვირფასეს და ხელშეუხებელს კუთვნილებას შეადგენს“. ასე თუ მოიქცევიან ჩვენი მასმედიის, განსაკუთრებით ტელევიზიების, ჟურნალისტები და „ისეთის გახარებით, თითქო ოქროს მადანი უპოვიაო“, არ აჰყვებიან ჭორებსა თუ უსაფუძვლო ბრალდებებს, თავიდან აირიდებენ იმ ლანძღვა-გინებას (ზოგჯერ გადამეტებულსაც), რომლითაც „დაუმადლებლად“ უმასპინძლდებიან „რესპონდენტები“ თუ მათი „ოპონენტები“. მაგრამ ესა თუ ის ვაიჟურნალისტი ხშირ შემთხვევაში ისე იქცევა, როგორც დიდი ილია ამბობს ზემოხსენებულ წერილში: „ერთი ნამცეცა მართალიც კი ისე ამოუვლია თავის გულის ზაფრაში, რომ თავისი ნიშანწყალი დაუკარგავს, ტყუილს დიდ მანძილზე არ ჩამორჩება და მოგვაგონებს ხავსს, რომელსაც წყალწაღებული ეჭიდება ხოლმე, როცა მეტი გზა არა აქვს“ და, **„რაკი ნიაღვარი მოსკდება და მოვარდება, მართალი და მტყუანი თან მიაქვს“.**

ტელეეთერიდან ამჯერადაც ყოველდღე ცუდი ამბების ნიაღვარი მოდის, რომელიც „გალაღებულ“ ჟურნალისტს სადმე თუ ჩაეწვეთა ყურში ან, უბრალოდ, მის „ჭკვიან“ თავში ამოჩუხჩუხდა, მაშინვე ბუზს აქლემს აშობინებს და თანაც ისეთი პათოსით გვაუწყებს, რომ საზოგადოებისგან აშკარად ელოდება, კვერის დაკვრას თუ არა, ტაშის დაკვრას მაინც — აქაოდა, ეს რა პროფესიონალი ბრძანებულხარო.

**ამის ნაცვლად ჩვენ მხოლოდ შევახსენებთ სულმნათი ილიას სიბრძნეს: „არის ზოგიერთი იმისთანა ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკვლად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა“.**

# ნუთუ?

## (პასუხად «მოგზაურის» კორესპონდენციისა)

დასასრული. დასაწყისი იხ. №46, 2019 წ.

III

**...დღევანდელ დღეს ადვილად შესაძლებელია, რომ ერთი უნამუსო კაცი ვინმე იშოვოს ჩვენმა ნამუსიანმა კორესპონდენტმა და ჩემდა გასამტყუვნებლად პირში წამომიყენოს, მაგრამ ტყუილი მოწმე განა ისე ადვილად გაასაღებს თავის ნათქვამს, რომ გზა და კვალი ველარ ვუპოვოთ?.. აქ თუ თითონ ავტორი არ ავალაპარაკეთ, სულელობას ნალაპარაკევისას არავინ დაიჯერებს.** გლეხს ვითომც ავტორისათვის უთქვამს: „ძნა ისევ იქ ჩავიტანე (ესე იგი „სანადელო“ მიწაში), დავცალე ურემი და ველოდე ერთი დღე, მეორე დღე, მესამე, მაგრამ სად არის მოურავი. იქ ველოდე (?), მინამ საქონელმა ძნა არ დაშალა და არ გააოხრაო“. ის დალოცვილი გლეხი, რაკი იქ ელოდა, რადღა დააშლევინა და გააოხრებინა ძნა საქონელსა? თუ ის ძნის გაოხრება მართალია და აქ განზრახ ჩაკერებული არ არის, განა ძნის პატრონი შეარჩენდა ვისმე საზღაურს და არ შეატყობინებდა ან მეველეს, ან მამულის პატრონს ახალ სოფელში.

**მეორე ბრალი, რომელსაც გლეხისათვის ვითომდა გულდამწვარი კორესპონდენტი მე მწამებს, ის არის, ვითომც მე ერთ სხვა მემამულესთან ერთად მთავრობას ჯარი ვთხოვე „ბუნტის ჩასაქრობად“. ესეც მტკნარი ტყუილია ლილახანაწამხდარ ავტორისა, რომ მეტი არა ვთქვა-რა. აი, აქაც რა თაღლითობაა ავტორის მხრით და რა მოურიდებელი ტყუილია.** პირველ ხანებში, როცა გლეხთა მოძრაობამ საგურამომდინაც მოახწია, მე ავად ვიყავ და ტფილისიდამ ფეხი ვერ გავდგი. ზედიზედ ჩემი მოურავისაგან წერილი მომდიოდა (გლეხებსავე ჩამოჰქონდათ მალულად), მოჯამაგირეები, მწყემსები, პურისმცხობელი და სხვანი სულ გაგვიფანტესო და გაგვირეკესო, ამოდენა ცხვარი, საქონელი, ცხენი და ღორი (ყოველივე ესე კარგა ბლომად მყავს, ჩემის მხილებელის სამწუხაროდ), ამოდენა სახლკარი, პური, ღვინო უპატრონოდ დაგვრჩაო, ტყეს შეესივნენ და სოფლეურად სჩეხენო.

**ჯერ არ დავიჯერე. სწორედ მოგახსენოთ, არ მეგონა, რომ საგურამოს გლეხკაცობა ასე გამომიმეტებდა, მაგრამ რა გაეწყობა? რაკი ნიაღვარი მოსკდება და მოვარდება, მართალი და მტყუანი თან მიაქვს.** ყური მოვუყრუე მოწერილ ამბებს და ოთხ თუ ხუთიოდ დღეს გავუჩუმდი, რა უნდა მექნა? ნუთუ ამოდენა ქონება და საქონელი უნდა დამეღუპნა, ან გლეხებს ამით რა შეემატებოდათ? ბოლოს, რომ ველარას გავხდი, მაზრის უფროსს დეპეშით ვთხოვე, შველა რამ გაგვიწიეთ-მეთქი. ღმერთმა უშველოს, მაშინვე სამი „სტრაჟნიკი“ გამოეგზავნა, — სასახლეს და კარ-მიდამოს უპატრონეთო. „სტრაჟნიკები“, რა თქმა უნდა, მე ჩემთან დავაყენე, მე ვასმევდი, მე ვაჭმევდი, ცხენებს მე ვუნახავდი და ერთი იმათგანი სოფელს არც-კი მიჰკარებია, არც ერთს მათგანს გლეხკაცის წკირისათვისაც ხელი არ უხლია. როცა მოჯამაგირენი ვიშოვე, „სტრაჟნიკები“ მაშინვე დავითხოვე.

**ნუთუ ჩვენმა გალაღებულმა მხილებელმა ეს ამბავი ჩაიწვეთა ყურში და ბუზს აქლემი აშობინა თავის ახირებულ სურვილისამებრ იმ სახით, – ვითომც მე ჯარი მეთხოვოს და გურამიანთკარს ჩამეყენებინოს.** პირდაპირ ვამბობ: არც მითხოვნია და არც მოვითხოვ, ვსთქვათ, კორესპონდენტის სიტყვისამებრ, მთავრობამ ჯარი გაგზავნა საგურამოში, სხვათა შორის ჩემის თხოვნითაც. რაკი ეს ჩემი თხოვნაც საბუთად დასდებია ჯარის გაგზავნას, ამ თხოვნას ხომ კვალი რამ უნდა დარჩენოდა ან მაზრის უფროსის, ან გუბერნატორის, ან მთავარმართებლის კანცელარიაში. ამისთანა არა-სახუმარად პასუხის საგებელი მძიმე საქმე, როგორც ერთობ ჯარის გაგზავნა და ჩაყენება სოფელში, განა შესაძლებელია ისე, რომ მიწერ-მოწერა არ გაემართათ და შიგ თხოვნა სხვისასთან ერთად ჩემიც არ დაესახელებინათ, ვითარცა მიზეზი?

**კორესპონდენტმა რომ თავისზე მეტი სუნის ამღები მეძებრები არბეინოს საძებნელად, საგურამოს ჯარის ჩაყენების საქმეში ვერსად ვერ იპოვის ჩემის სახელის ხსენებასაც, რადგანაც ჯარი არავისათვის მითხოვნია არც სიტყვით, არც წერილით. თუ გაჭირდა, ამის ოფიციალურ მოწმობასაც წარმოვადგენ.**

**მესამე ბრალი,** სხვებზე არა ნაკლებ ტყუილი, ის არის, რომ „არც დიდებული ილია ჭავჭავაძე“ თურმე და არც სტაროსელსკი გლეხებს ნებას არ აძლევს ზეზე სადგომის აგებასაო. ამას კი ჩვენი პატიოსანი კორესპონდენტი თავისით ამბობს და არა სხვისა სიტყვით. სტაროსელსკისა არ ვიცი, და **„დიდებული ილია ჭავჭავაძე“ კი არა-დიდებულს და ძალიან დანამცეცებულს ავტორს მოახსენებს, რომ საგურამოში გლეხთა საბინადრო ადგილები ერთი მტკაველიც არ ეკუთვნის არც ილია ჭავჭავაძეს, არც მის მეუღლეს და სულ სააპეკუნოშია და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მთლად სხვისი მამულია. მაშასადამე, სხვის მამულში რა ხელი მაქვს ან დავუშალო ვისმე, ან ნება ვაძლიო, ან მიწურის გათხრისა, ან ზეზეურად სახლის აგებისა, ძალიან გულითაც რომ მინდოდეს, აბა, ეს ასეთი დაშლა რა ჭკუაში მოსასვლელია? იმ ჭკუაში, ბატონებო, რომელიც ღმერთს სხვებისთვის დაურიგებია და ზოგიერთისთვის კი არ გაუმეტნია, – მეტი ბარგი იქნება და ვერ ატარებსო, რომ ეს მართლა ჭორია და არავითარი საბუთი არ მიუძღვის, ვთხოვ ავტორს წაბრძანდეს და თავის თვალით ინახულოს თუნდ ტფილისიდან პირველი სოფელი წიწამური** (მარტო ერთი რვა თუ ცხრა-კომლიანი სოფელია, წიწამურად წოდებული, საცა მარტო ორი თუ სამი კომლი ნაყმევია ზაალ გურამიშვილისა), რომელიც საპეკუნო ადგილშია და ითვლება ხუთ საგურამოს სოფელთა შორის და დიდს შარაგზაზეა, წაბრძანდეს-მეთქი, თუმცა უამისოდაც აქამდე ათასჯერ აუვლია, და ინახულოს, რამდენი სახლია ზეზეურად წამოჭიმული ბექობზე, ზოგი კარგა ხნის ნაგები და ზოგი დღესაც არ-დამთავრებული... განა აშკარა არ არის, სადაც სცემს ავტორი, როცა ამისთანა ჭორს იგონებს; აშკარაა, **ავტორს სდომებია, ამ ჭორით ქვეყანა დაერწმუნებია, რომ, აი „დიდებული ილია ჭავჭავაძე“ რა ღმრთის რისხვა კაცი ყოფილა, — გლეხს უნდა მიწურიდამ ამოძვრეს, მზე დაინახოს, სალი ჰაერი ჰყლაპოს და ჭავჭავაძე კი არ უშვებს და ამ სახით გლეხკაცს მიწურში აღშთობს.**

...დაგვრჩა **ეხლა მეოთხე და უკანასკნელი ბრალი, ყველაზე მეტად შემაძრწუნებელი და საშინელი, რადგანაც თითქმის კაცისკვლამდეა გაჭიმული. რა ზნეობურ ავლადიდების პატრონია ჩემი პატიოსანი მხილებელი, ისე აშკარად არსადა სჩანს, როგორც ამ მეოთხე ბრალის დაწამებაში, საცა მე და ჩემს მოურავს, თუ კაცისმკვლელად არა, კაცის სიკვდილის მიზეზად მაინც გვხდის.** აქ ამოდენა საზიზღარს ბრალსა გვდებს ორ კაცსა და ერთს სიტყვასაც, დიახ, ერთს სიტყვასაც მართალს არ ამბობს, თორემ ხომ ვნახავთ, თუ მკითხველი იმოდენა პატივს დამდებს, მოთმინება იქონიოს და ბოლომდე ჯერ თვით ავტორს მოუსმინოს მის მიერ მოთხრობილი ამბავი და მასთან ერთად ჩემი საბუთებიც განიკითხოს.

„ამ ზამთარსაო, — უთქვამს ვითომც ავტორისათვის ერთს გურამიანთკარელს გლეხს, — დიდი ყინვებისაგან სოფლის სასმელი წყალი გაიყინაო ისე, რომ მთლად უწყლოდ დავრჩითო“. **ეს მთლად თავიდამ ბოლომდე ტყუილია.** ამის დასამტკიცებლად საკმარისია მარტო იგი ადვილად და უტყუარად შესამოწმებელი გარემოება მოვიხსენიოთ, რომლის კვალიც თავის დღეში არ წაიშლება, თუნდაც მთელი სიბრძნე „მოგზაურისა“ და სიცრუე ავტორისა ზედ დააბღერტოთ. საქმე ის არის, რომ სოფელ გურამიანთკარს, მისდა საბედნიეროდ და ავტორის საუბედუროდ, შიგ სოფელში ეგრეთ წოდებული თეზამის წყალი ჩამოუდის. ამას გარდა, შიგ სოფელშივე არის წყარო, რომელიც ამ ოცის წლის წინათ გამოიყვანეს სტაროსელსკიანთ მილებით, როგორც თავიანთთვის, ისე სოფლისათვის. ეს წყარო კარგა მოზრდილია, ასე რომ კოდიც კი უდგა საქონლის წყლის სასმელად.

თეზამის წყალი ხევის წყალია და გაშლილ მინდორზე მოდის შორიდან. რა თქმა უნდა, ბევრჯელ ზამთრობით იყინება. ხოლო გურამიანთკარის წყარო-კი თავის-დღეში, რაც გინდ ძლიერი ზამთარი იყოს, არადროს არც გაყინულა და არც გაიყინება...

აშკარაა, ნაამბობი ვითომდა გლეხისა — „ამ ზამთარს წყლები გაგვეყინა, ასე რომ უწყლოდ დავრჩითო“, ან კუდიანი ტყუილია გლეხისა, ან ზღაპარია თვით ავტორისაგან ხელდახელ შეხანხლული იმის ძალით, რომ რაც მელას აგონდება, ის ეზმანებაო.

ხომ ათქმევინა გლეხს ის აშკარა ტყუილი, ვითომც ამ ზამთარს გურამიანთკარელებს წყლები გაჰყინვი- ▶

**ჯერ არ დავიჯერე. სწორედ მოგახსენოთ, არ მეგონა, რომ საგურამოს გლეხკაცობა ასე გამომიმეტებდა, მაგრამ რა გაეწყობა? რაკი ნიაღვარი მოსკდება და მოვარდება, მართალი და მტყუანი თან მიაქვს**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „დღევანდელ დღეს ადვილად შესაძლებელია, რომ ერთი უნამუსო კაცი ვინმე იშოვოს ჩვენმა ნამუსიანმა კორესპონდენტმა და ჩემდა გასამტყუნებლად პირში წამომიყენოს, მაგრამ ტყუილი მოწმე განა ისე ადვილად გაასაღებს თავის ნათქვამს, რომ გზა და კვალი ვეღარ ვუპოვოთ?..“



**«აფსუს, სამართლიანად თავმოწონებულო პრესავ (ტელევიზიავ — რედ.), რომ შენი დიდებული სარბიელი მყრალ გუბედ გაუხდიათ და, საცა პატიოსანი ჭკუა და წმინდა გული უნდა ხელმწიფებდეს, ჭიაღუა ბეზღობისა ჰჭყუპალაობს და თავის ბუდეს იკეთებს»**

ათ, ასე რომ მთლად უწყალოდ დარჩენილან. ეს ტყუილი თავისთავად არაფერს ნიშნავს, კაცი იტყვის: ილია ჭავჭავაძის რა ბრალია, რომ გურამიანთკარში ზამთრობით წყლები იყინებაო. მოუთმინეთ, ბატონებო, ავტორს, — ის მოგახსენებთ, აქ ძაღლის კუდი სადა მარხია. აი, იგი რას მოგვითხრობს, ვითომდა გურამიანთკარელს უამბნია: „სოფელ ზევით სამ ვერსტზე ტყეში მიუვალ ღელეში ჭავჭავაძის მამულში გამოდის პატარა წყარო, რომელიც ზამთრობით არ იყინებაო“. ესეც ისეთივე მტკნარი ტყუილი ან მოლანდებული ზმანებაა თვით ავტორისა. თუ ჩვენი ცრუპენტელა მაბეზღარი მოწყალებას მიიღებს და გურამიანთკარის ზემოთ ამ სოფლიდამ სამის ვერსტის მანძილზე ჩემს ტყეში „მიუვალ ღელეში“ ისეთს პატარა წყაროს მიპოვის, რომ ან კოკა მიდგმით აივსებოდეს, ან როგორმე, და იქავ, საცა გამოჟონავს, ახლო მანძილზე სიპატარაობით არ იკარგებოდეს, დიდი მადლობელი ვიქნები **...მე თითონ სხვისი მამულიდამ ჩემს ეზოში მილებით გამოყვანილ წყაროს წყალს ვხმარობ. იმას კი აღარ ვამბობ, რომ გურამიანთკარს ზემოთ ტყე სტაროსელსკისაა და არა ჩვენი; ჩვენს ტყესა და გურამიანთკარის შუა სტაროსელსკის ტყე, მინდორი და ვენახებია კარგა მანძილზე.**

...ავტორის უკანასკნელ ბრალის შესახებ ასე მოგვითხრობს, — ვითომდა გლეხის ნალაპარაკევს:

„ჩვენ სოფელში იყო ერთი ძალზე ლატაკი კაცი, ასე რომ ჩვენ — ღარიბებს გვყავდა ზურგზე აკიდებული თავისის ცოლ-შვილით. ერთს დღეს ამ კაცს აევსო ორი კოკა, გადაეკიდნა მხარზე და მიჰქონდა სახლში. გზად გამოვლილი დაინახა ი. ჭავჭავაძის მოურავმა, გავარდა, სწვდა ყელში, დაუწყო ლანძღვა, — რატომ თვეში ათ შაურს არ იხდიო. — თქვენ ათი შაური საქონელზედ დაადგინეთ, მე-კი კატაც არა მყავსო. ან ათი შაური ვინ მომცა, მე სულ ორი კვირაა, რაც ქვეშაგებიდამ ავღანტალდი და, ხომ იცი, სულ ავადა ვარო“... „შენთან ბევრი ლაპარაკი არა ღირსო“, — და ამ სიტყვებით მივარდა მოურავი საცოდავს და ორივ სავსე კოკა ზედ დაამტვრია ნახევრად შიშველ გლეხსაო“.

თუ ეს მთელი ისტორიაც კოკების მტვრევისა თავიდამ ბოლომდე ტყუილი გამოდგა და სულ მთლად მოუგონია სახელოვანს წარმომადგენელს ერთგვარ პრესისას, რა სახელი უნდა დაერქვას ან ავტორს, ან მის საქციელს!... რაკი ესეა, მაშ ეს ნახევრად შიშველი გლეხი და მის ზურგზე კოკების მტვრევა სრული ზღაპარია მაბეზღარისა და სხვა არა-რა. თუმცა ესეა, მაგრამ **ჩვენი ტყუილის-მცხობელი მხილებელი ამასაც არ ჰკმარობს და მოგვითხრობს, რომ ამ არაყოფილს მტვრევას კოკებისას არაყოფილ გლეხკაცის ზურგზე ილია ჭავჭავაძე — „ბალკონიდან ოთხასმანეთიან ქურქში გახვეული უყურებდა (აბა, ტრაგედია აქ არის და: ცალკე ოთხასმანეთიან ქურქში გახვეული გაბღინძული თავადია და ცალკე ნახევრად შიშველი გლეხი), გულიანად იცინოდა და თანაც აქეზებდა ერთგულს მოურავსო“.** ნუ დაივიწყებთ, რომ ნახევრად შიშველი გურამიანთკარელი გლეხი გზად მიმავალი ყოფილა ჩემის ტყიდან, როცა მე კოკების მტვრევისათვის მიყურებია. თუნდ ეგეც იყოს, ორმოცთუმნიანი ქურქი აქ რა სახსენებელია! რა სიტყვის პასუხია! თუმცა მე ორმოცთუმნიანი ქურქი ჩემს დღეში არცა მქონია და არცა მსხმია, და თუნდ მქონებოდეს და მსხმოდეს, ამაში სამარცხვინოს არასა ვხედავ, რადგანაც მგონია, რომ არც ჩემი მაბეზღარი დაიწუნებდა ორმოცთუმნიან ქურქს, თუ როგორმე მოიხერხებდა, მაგრამ მაინც სასურველია, ვიცოდეთ: აქ ჩემი, ვთქვათ, ორმოცთუმნიანი ტყუილი ქურქი რა მოსატანია, რა შუაშია?

რაკი უმიზეზო ქვეყანაზე არა არის-რა, უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც არის ერთი რამ მიზეზი: ან ის, რომ საშინელი უსამართლოება დაენახვებინა ქვეყნისათვის, აქაო და, ერთის მხრით, ორმოცთუმნიან ქურქში გახვეული გაბღინძული თავადია და, მეორეს მხრით, ნახევრად შიშველი საცოდავი გლეხი, ან, ალბათ, მე გამფრთხილებია, არ გაცივდესო, და ორმოცთუმნიანი ქურქი წამოუსხამს, თუ მართლა არა, სურვილით მაინც.

ამ გაფრთხილებისათვის დიდი მადლობელი ვარ, ხოლო ვთხოვ ჩემს მწემქებარე ავტორს: მიბრძანდეს, ჩემს ბალკონზე დადგეს, ორმოცთუმნიანი კი არა, თუნდ ასთუმნიანი ქურქი წამოისხას, იქიდან გაიხედ-გამოიხედოს და, თუ ჩემის ბალკონიდან ტყიდან გზად მომავალს კაცს კი არა, სპილოს დაინახავს, ჩემი კისერი და მისი ხმალი. თუ კაცმა განგებ ჩემს შემოღობილ ეზოზე არ ჩამოიარა, კაცი ჩემის ბალკონიდან კაცს ვერა სასწაულით ვერ დაინახავს. ხოლო ჩემს ეზოზე ჩამოვლა გარეშე კაცს არ შეუძლიან ისე, რომ ჩემმა ძაღლებმა ფეხზე დააყენონ და არ გაწეწ-გაგლოჯონ. იქნება ჩვენმა გულწრფელმა კაცთმოყვარე ავტორმა ეს ძაღლების ყოლაც დამიგმოს, — თუ ილია ჭავჭავაძე კაი კაცია, გლეხისათვის საშიშარი ძაღლები რადა ჰყავსო და, თუ ჰყავს, რატომ ისე არ გაუწურთნია, რომ მარტო თავადი და აზნაური სწეწონ და ჰგლეჯონ და გლეხს-კი მუხლმოყრით მიეგებებოდნენო. იმიტომ მყავს ამისთანა კაპასი და გაუწურთვნელი ძაღლები, რომ მარტო ვდგევარ მთაში, ტყის პირას, სოფელზე კარგა მოშორებით და, თუ კაპასი, აფთარი ძაღლები არ ვიყოლიე, ნადირისა და ქურდის შიშით მე იქ არ მედგომილება....

არც ეს მაკმარა ამ ყოველ მართებულობაზე, ყოველ ადამიანობაზე ხელაღებულმა ავტორმა და აი სადამდე გაადგმევინა უწმინდური ფეხი საზიზღარ ბეზღობას. იგი აი რით ათავებს ამ მოჭორვილს ამბავს კოკების მტვრევისას. „უბედური გლეხი, ვიდრე სახლში მივიდოდა დასველებული, გზაში მთლად გაყინულიყო. მივიდა სახლში, მარა იქაც კერა გაციებული დახვდა უშეშობის გამო. გახდა ხელახლად ავად და ერთს კვირაში გაათავა მრავალტანჯული და წამებული სიცოცხლეო“.

აი, ბატონებო, ხომ ხედავთ, რა ღმერთი გამწყრომია! კაცი თუ ჩემის ხელით არ მომიკლავს, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, კაცის სიკვდილის მიზეზად ხომ ვარ გამომჟღავნებული, საქვეყნოდ, სამარცხვინო დაღდაკრული, საქვეყნოდ სახელგატეხილი.

**ეს გლეხკაცის სიკვდილის ამბავი რომ წავიკითხე, სწორედ მოგახსენოთ, თმები ყალყზე ამიდგა და კანკალი მომივიდა. ხუმრობაა, კაცის სიკვდილის მიზეზად გახდომა! ამიტომაც გულში გამიარა, — ვაი თუ, მართლა ჩემს მოურავს ღმერთი გასწყრომია, ეს კოკების მტვრევა ჩაუდენია და ამ მტვრევას კაცის სიკვდილი ზედ მოჰყოლია. მოვკითხე ამისი პასუხი, ვისაც ჯერ არს, და იცით, ბატონებო, რა გამოვიდა ჩემდა სასიხარულოდ და ავტორის სამარცხვინოდ? ის გამოვიდა, რომ ავტორის მიერ შეთითხნილს ტრაგედიას ბოლოც იმისთანა ტყუილი ჰქონია, როგორც დასაწყისი. თურმე ნუ იტყვით: გურამიანთკარს ამ ზამთარს არც ერთი მამაკაცი გლეხი არ გადაცვლილა არამცთუ ჩემის მიზეზით, არამედ სხვა მიზეზითაც.** ნუთუ იქნებაღა მთელს ქვეყნიერებაზე სხვა საგანი ბეზღობისა ამაზე უფრო უუსაძაგლესი, ამაზე უფრო შემაზრზენი, ამაზე უფრო გულისასამღვრევი? — ნუთუ ამისთანა მაბეზღარის ხელშემწყობს გაზეთს, თუ ჟურნალს, პრესა ჰქვიან თვით პრესის სამარცხვინოდ? თუ ასეა, ნუთუ სამართალი არ მიგვიძღვის წყევლა-კრულვით ეს ამისთანა ადამიანის ხელუხლებლობის წამწყმედი და ძირს დამცემი პრესა შევაჩვენოთ! ნუთუ სამართლიანის გულისწუყრომით არ უნდა მიღებულ იყოს თვით პრესისაგანვე ამისთანა ყოვლად უკადრისი საქციელი?



**«მე ამას მარტო იმისათვის კი არ ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში მე ვარ გაწბილებული, შეგინებული და ასე უწყალოდ ხელშეხებული. ხოლო ეს აქლემი ხვალ თქვენ წინაც დაიჩოქებს. ვინ არის თავმდები, რომ ხვალ ამისთანა დღე თქვენც არ მოგაყენოს ერთმა ვინმემ თავზედხელაღებულმა მაჩანჩალამ იმ ერთგვარ გაზეთისამ თუ ჟურნალისამ, რომელსაც წმინდა სახელი და დანიშნულება პრესისა მჩვრად უქცევია, ადამიანობა და ადამიანი ბეზღობის და ცილისწამების საგნად გაუხდია და დიდი მოძლვრება ადამიანის ხელუხლებლობისა მარტო თავის სახეიროდ, თვის საფარველად გარდუქმნია»**

მე ამას მარტო იმისათვის კი არ ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში მე ვარ გაწბილებული, შეგინებული და ასე უწყალოდ ხელშეხებული. ხოლო ეს აქლემი ხვალ თქვენ წინაც დაიჩოქებს. ვინ არის თავმდები, რომ ხვალ ამისთანა დღე თქვენც არ მოგაყენოს ერთმა ვინმემ თავზედხელაღებულმა მაჩანჩალამ იმ ერთგვარ გაზეთისამ თუ ჟურნალისამ, რომელსაც წმინდა სახელი და დანიშნულება პრესისა მჩვრად უქცევია, ადამიანობა და ადამიანი ბეზღობის და ცილისწამების საგნად გაუხდია და დიდი მოძღვრება ადამიანის ხელუხლებლობისა მარტო თავის სახეიროდ, თვის საფარველად გარდუქმნია. **აფსუს, სამართლიანად თავმოწონებულო პრესავ, რომ შენი დიდებული სარბიელი მყრალ გუბედ გაუხდიათ და, საცა პატიოსანი ჭკუა და წმინდა გული უნდა ხელმწიფებდეს, ჭიაღუა ბეზღობისა ჰჭყუპალაობს და თავის ბუდეს იკეთებს. არ ვიცი, — რომელი ბეზღობა და ჯაშუშობა უფრო საძაგელია: იგი, რომელიც პოლიციის ხელჯოხიანობას გამოიწვევს, თუ იგი, რომელიც ერთს კაცს მეორეს გადაჰკიდებს მტრად, ერთს წოდებას მეორეზედ აალურსებს და აასისინებს, ან თუნდ ცალკე კაცს, როგორც ამ შემთხვევაში მე ვარ, მთელს გლეხკაცობას პირში მისცემს, ვითარცა მათ მოძმეთა მყვლეფელს და მათ მოძმეთა მკვლელს, ყოვლად უსაბუთოდ, ყოვლად უმიზეზოდ.** დასასრულ, კიდევ ხელმეორედ მოგახსენებთ: **არის ზოგიერთი იმისთანა ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკვლად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა, რა დასისა და რწმენისაც გინდა იყოს, და ერთი ამ კანონთაგანი ის არის, რომ რაც შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებო.**

თაჩიდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არსებობის ორმოცდაათი წლის განმავლობაში ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ათეულობით საოპერო და საბალეტო დადგმა განახორციელა, რაც უდავოდ მეტყველებს რეპერტუარის მრავალფეროვნებაზე. და მაინც, ეს თეატრი განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენდა და იჩენს ქართველი კომპოზიტორების ნაღვაწის მიმართ, რაც დაარსებისთანავე გაცხადდა და ამ კურსისთვის არასოდეს უღალატია, რაც ესოდენ დასაფასებელია.**

# ფალიაშვილის «დაისი» ქუთაისის ოპერის თეატრის საიუბილეოდ

**წლევანდელი წელი საიუბილეოა ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის — 27 დეკემბერს თეატრის გახსნიდან 50 წელი სრულდება.**

ქუთაისი ოდითგანვე მუსიკალური ქალაქი რომ იყო, საყოველთაოდ არის ცნობილი, შესაბამისად, ეტაპობრივად და მიზანმიმართულად ყალიბდებოდა ოპერის თეატრის დაბადების საფუძვლები, რასაც 1969 წლის 27 დეკემბერს შეესხა ხორცი — დაარსდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ფილიალი, რომელსაც შემდგომ (1989 წლიდან) მელიტონ ბალანჩივაძის სახელი მიენიჭა და დამოუკიდებლობაც მოიპოვა.

ქუთაისის ოპერის თეატრის დაარსება, რაშიც ლომის წვლილი მიუძღვოდა ცნობილ მუსიკოსსა და მოღვაწეს, თეატრის პირველ ხელმძღვანელს **თეიმურაზ კობახიძეს,** იმთავითვე ღირსშესანიშნავი მოვლენა, მრავლისმთქმელი ფაქტი იყო ქვეყნის კულტურული ცხოვრებისთვის, რადგან სწორედ თეატრების, ორკესტრების, საშემსრულებლო კოლექტივების, კულტურულ-სახელოვნებო დაწესებულებათა სიმრავლე, ცხადია ხარისხობრივ მაჩვენებელთან ერთად, განაპირობებს ქვეყნის იმიჯს, იერს.

ამ ხნის განმავლობაში ქუთაისის ოპერის თეატრმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. თეატრის სცენაზე არაერთი გამოჩენილი ქართველი თუ უცხოელი მომღერალი გამოსულა, რომლებსაც ჭეშმარიტი ზეიმი მოუწყვეს აუდიტორიას.

**არსებობის ორმოცდაათი წლის განმავლობაში ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ათეულობით საოპერო და საბალეტო დადგმა განახორციელა, რაც უდავოდ მეტყველებს რეპერტუარის მრავალფეროვნებაზე. და მაინც, ეს თეატრი განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენდა და იჩენს ქართველი კომპოზიტორების ნაღვაწის მიმართ, რაც დაარსებისთანავე გაცხადდა და ამ კურსისთვის არასოდეს უღალატია, რაც ესოდენ დასაფასებელია.**

ცხადია, თეატრში იყო როგორც შემოქმედებითი წინსვლა, აღმაფრენა, ასევე ზოგჯერ შემოქმედებითი უძრაობა, ჩვეული რიტმიდან ამოვარდნაც, მაგრამ ასეთი მოვლენები ბუნებრივია, — თეატრის ცხოვრება ხომ დინამიკური პროცესია. და რა სასიხარულოა, რომ ქუთაისის ოპერის თეატრმა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ათობით ათას ადამიანს მიანიჭა განუზომელი სიხარული და მაღალი ხელოვნებით ტკბობის სიამოვნება. დიახ, **ქუთაისის ოპერის თეატრმა უმთავრესს მიაღწია — მისი ნაღვაწი ხალხმა შეიყვარა და გაითავისა — ხელოვნების ამ კერის შემოქმედებით ცხოვრებას მუდამ დიდი ინტერესით ადევნებდნენ და ადევნებენ თვალს ქუთათურები და ჩვენი ქვეყნის სტუმრებიც. ამგვარად, ქუთაისის ოპერის თეატრის ღვაწლმა ჭეშმარიტად მამულიშვილური ღირებულება მოიპოვა. უღრმესი მადლობა ყველას, ვინც ამ წლების განმავლობაში საკუთარი წვლილი შეიტანა ქუთაისის ოპერის თეატრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში!**

სტაბილური მაღალი შემოქმედებითი დონის მიღწევას კომპლექსური ღონისძიებების გატარება, დიდი ძალისხმევა, მაღალი პროფესიონალიზმი, საქმის უზომო სიყვარული სჭირდება. მისასალმებელია, რომ თეატრის ამჟამინდელი სამხატვრო ხელმძღვანელის, ცნობილი მუსიკოსის **ირინე ლომინაძის** ხელდასხმით და მთელი კოლექტივის მხარდაჭერით სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება ქუთაისის ოპერის თეატრი — ყველაფერი კეთდება მაღალი შემოქმედებითი ავტორიტეტის გასამტკიცებლად. ამ საქმეში მხარდამჭერი კი ბევრი უნდა იყოს — სახელმწიფოც, მეცენატებიც, თეატრის, ოპერის მოყვარულებიც და, საერთოდ, ქართველი საზოგადოებრიობა. მოგეხსენებათ, არასაკმარისი ფინანსური რესურსის გამო გარკვეულ პერიოდში ქუთაისის ოპერის თეატრში ჭირდა რეპერტუარის მკვეთრი გამდიდრება, არც ახლაა ეს კოლექტივი ფუფუნებაში, მაგრამ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მაინც ახერხებს ახალი სპექტაკლების შექმნას, სარეპერტუარო დადგმების სტაბილურ წარმოდგენებს. ბოლო წლებში მოხერხდა პრემიერები რეგულარულად განგვეხორციელებინა.



თავად განსაჯეთ, **2015 წლის ბოლოდან განხორციელდა შემდეგი ოპერების საპრემიერო და განახლებული დადგმები: ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“, ოთარ თაქთაქიშვილის „პირველი სიყვარული“, გიორგი ჩლაიძის „დარისპანის გასაჭირი“, ჯუზეპე ვერდის „ტრავიატა“, „რიგოლეტო“, პიეტრო მასკანის „სოფლის ღირსება“, სერგეი რახმანინოვის „ალეკო“.** ვფიქრობ, შთამბეჭდავია, მით უფრო




იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან თეატრის დაფინანსება პრაქტიკულად მხოლოდ სახელფასო ფონდს მოიცავს, ისიც კოლექტივის დიდი, მუხლჩაუხრელი შრომის ძალზე მწირ ანაზღაურებას რომ ჰყოფნის. მაგრამ ამ თეატრის მუსიკოსების, მოცეკვავეების, თეატრის ყველა სეგმენტის თანამშრომლის ენთუზიაზმს და საკუთარი საქმის სიყვარულსა და ერთგულებას, როგორც ჩანს, საზღვარი მართლაც არ აქვს.

**წლევანდელი საიუბილეო წელი, წლევანდელი თეატრალური სეზონი „ქეთო და კოტეს“ პრემიერით გაიხსნა, იუბილის გამო იყვნენ საგასტროლოდ ჩამოსული სტუმრებიც და, რაც მთავარია, 27 დეკემბერი, თეატრის 50-ე დაბადების დღეც პრემიერით აღინიშნება — ამ თარიღს მიეძღვნება ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „დაისის“ ახალი დადგმა. ერთგვარად სიმბოლურია, რადგან ორმოცდაათი წლის წინათ თეატრი ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ პრემიერით გაიხსნა, ახლა კი „დაისი“...**

სპექტაკლი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. „დაისის“ დადგმაზე მუშაობს შემოქმედებითი ჯგუფი ცნობილი დირიჟორის რევაზ ჯავახიშვილის, რეჟისორ თორნიკე მარჯანიშვილის, მხატვარ თეო კუხიანიძის, ქორეოგრაფ ვახტანგ უშვერიძის შემადგენლობით. საპრემიეროდ „დაისის“ განსხეულებაში მონაწილეობენ **არმაზ დარაშვილი** (მალხაზი), **ბაკურ კვირიკაშვილი** (კიაზო), **მარიკა მაჩიტიძე** (მარო), **ფერიდე ჯინჯიხაძე** (ნანო), **რამაზ კუბლაშვილი** (ტიტო), **კალისტრატე ხარჩილავა** (ცანგალა), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი **ნათია გოგუაძე**), ორკესტრი და ქორეოგრაფიული დასი.

**კიდევ ერთხელ ვულოცავ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს დაბადების ორმოცდამეათე წლისთავს, ვულოცავ და მეიმედება ხელოვნების ამ კერის დიდი მომავალი, მწამს, რომ ის კვლავაც არაერთხელ იტყვის თავის ღირსეულ სიტყვას და ბოლოს, გულწრფელად ვუსურვებ წარმატებებს თეატრის თანამშრომლებს, ერთგულ მსმენელებს და გულშემატკივრებს!**

**ზურაბ ოიკაშვილი**

**ქუთაისის ოპერის თეატრმა უმთავრესს მიაღწია — მისი ნაღვაწი ხალხმა შეიყვარა და გაითავისა - ხელოვნების ამ კერის შემოქმედებით ცხოვრებას მუდამ დიდი ინტერესით ადევნებდნენ და ადევნებენ თვალს ქუთათურები და ჩვენი ქვეყნის სტუმრებიც. ამგვარად, ქუთაისის ოპერის თეატრის ღვაწლმა ჭეშმარიტად მამულიშვილური ღირებულება მოიპოვა. უღრმესი მადლობა ყველას, ვინც ამ წლების განმავლობაში საკუთარი წვლილი შეიტანა ქუთაისის ოპერის თეატრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში!**

**2015 წლის ბოლოდან განხორციელდა შემდეგი ოპერების საპრემიერო და განახლებული დადგმები: ზაქარია ფალიაშვილის «აბესალომ და ეთერი», ვიქტორ დოლიძის «ქეთო და კოტე», ოთარ თაქთაქიშვილის «პირველი სიყვარული», გიორგი ჩლაიძის «დარისპანის გასაჭირი», ჯუზეპე ვერდის «ტრავიატა», «რიგოლეტო», პიეტრო მასკანის «სოფლის ღირსება», სერგეი რახმანინოვის «ალეკო»**

„როცა ის ამ სასწავლებლის მისაღები საგამოცდო კომისიის წინაშე წარდგა, ერთ-ერთ კომისიის წევრს, იოსებ გორდონს, უთქვამს: „როცა სოსო ჩხაიძე შემოვიდა კომისიის წინაშე, ყველანი აღტაცებულნი დავრჩით, არა იმიტომ, რომ ის თავისთავად ძალიან კარგი იყო, ჩვენ დავინახეთ პიროვნება და ჩვენ, გამომცდელებს, უკვე ნაკლებად გვაინტერესებდა, ის როგორ პასუხობდა, რადგანაც პიროვნულობა ყველაზე დიდი ფასეულობაა ამქვეყნად, როგორ შეიძლება ასეთი პიროვნება არ მიგველო“.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სოსო ჩხაიძე — ზნეობისა და სინდისის განსახიერება, ღვთაებრივი მადლით დაჯილდოებული ზნეკეთილი პიროვნება

**ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას როცა ვაკვირდები, ვხედავ, რომ ჩვენ არც წარსულის ნაკვალევზე ვფიქრობთ, არ აწმყოსა და არც მომავალზე. სწორედ ამან ათქმევინა დიდ ვაჟას „მემღერება და ვიმღერი, გულზე მჭირს სამი იარა: წარსულზე ფიქრი მაწუხებს, აწმყოში არა ყრია რა, და მომავალის ფიქრები არავინ გამიმზიანა“. ყოველივე ამან მიბიძგა ჩემს თანამემამულესა და თანატოლზე, ბრწყინვალე პიროვნებასა და დიდ რეჟისორ სოსო ჩხაიძეზე დამეწერა და წარმომეჩინა რამდენიმე შტრიხი მისი ცხოვრებიდან, რომელიც სამაგალითო და მისაბაძი იყო. საჭირო და სავალდებულოცაა დღევანდელი თაობისთვის, რომ მივანიშნოთ, რა კარგი და საამაყოა წინაპრების ნაკვალევზე სწორი გზით სიარული, თუ მას კიდევ ერთხელ გავიხსენებთ და გამოვიყენებთ მომავლის ასაგებად.**


სოსო ჩხაიძე

გურულ ტემპერამენტში გაზავებული ბუნების ნაბოძებია ის შემოქმედება, რომელიც **სოსო ჩხაიძეს** ღმერთმა აჩუქა. მან გაუძლო დროის გამოცდას და დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. სახელმოხვეჭილი კინორეჟისორი, რომელიც მოგვიანებით აღნიშნავდა: **„გადაღება ჩემთვის ყველაზე საინტერესო და საყვარელი პროცესია, გადაღება უკვე შექმნას ნიშნავს და საოცრად დიდ სიამოვნებას მანიჭებს, მე სხვა არანაირ ბედნიერებაზე არ გავცვლიდი ამ გრძნობას და, ალბათ, ვერც ვერავითარ სიყვარულს შევადარებ მას“.**

ის სულ ძიებაში იყო და სწორედაც ეს იყო მისი წარმატების საწინდარი. გაბედულად მიემართებოდა დასახული მიზნისკენ. ისეთი ცხოვრებით იცხოვრა, როგორიც დაისახა, და დიდ წარმატებებს მიაღწია. ვაგლახ, არ დასცალდა — 55 წლისა გარდაიცვალა. ისეთი ჭეშმარიტების სამოსელში გაახვია თავისი მტკიცებულებანი, ვერავინ აღუდგა წინ მის წარმატებებს და სრულიად თაობაში გააღვიძა სიმამაცის გრძნობა. წარმატების აუცილებელი ფაქტორი კი იყო რწმენა, რომელსაც მუდმივად ეძებდა და პოულობდა, ამიტომ მისი წარმატებები უნდა გავზომოთ იმ წინააღმდეგობებითაც, რომლებიც გადალახა მის მისაღწევად. მუდამ ჭეშმარიტების ძიებაში იყო, რაც მძიმე შრომას მოითხოვდა და მისი სულიერი ძალების განვითარებას უწყობდა ხელს.

ვინმეს რომ შეეძლოს წარსულის დაბრუნება, ალბათ, პირველ რიგში, მის გმირებს მოუხდებოდა უკან მოხედვა, ამდენი მშვენიერი ძეგლის მოწმესა და შემქმნელთ ის, რაც ისევ ცოცხლობს და სიცოცხლის ღირსია. გმირები ხომ ჭეშმარიტების სრულყოფილებას ემსახურებოდნენ, მისი სიყვარულით ცოცხლობდნენ, როგორც სინამდვილეშია და ამაზეა დამოკიდებული მათი დიდებულება.

ხელოვნების ორთავე პოლუსი — ჩანაფიქრი და შესრულება — ზომიერადაა წარმოდგენილი, ამიტომ ის მის შემოქმედებას უნიკალურსა და უნივერსალურს ქმნის, რაც ყოველთვის პასუხობდა მოთხოვნებს და იდეალს. მისი დიდი ნიჭის გამოვლინება იყო გამბედაობა, ამიტომ გაბედულად მიემართებოდა მიზნის მისაღწევად და აღწევდა კიდეც. მან იცოდა, წარმატების მისაღწევად როგორ მოქცეოდა ხალხს. მისი მისწრაფებები და საქმეები განუყოფელი იყო. თანდაყოლილ ბრწყინვალე თვისებებთან ერთად ბევრი შენაძენითაც გამოირჩეოდა იგი — ღვთაებრივი მადლით დაჯილდოებული ზნეკეთილი პიროვნება იყო.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1962 წელს, ტელევიზიაში დაიწყო მუშაობა და სწავლა განაგრძო მოსკოვში, საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში, რაც მისი მოწოდება იყო. აი, რას იგონებს კინორეჟისორი **ბუბა ხოტივარი: „როცა ის ამ სასწავლებლის მისაღები საგამოცდო კომისიის წინაშე წარდგა, ერთ-ერთ კომისიის წევრს, იოსებ გორდონს, უთქვამს: „როცა სოსო ჩხაიძე შემოვიდა კომისიის წინაშე, ყველანი აღტაცებულნი დავრჩით, არა იმიტომ, რომ ის თავისთავად ძალიან კარგი იყო, ჩვენ დავინახეთ პიროვნება და ჩვენ, გამომცდელებს, უკვე ნაკლებად გვაინტერესებდა, ის როგორ პასუხობდა, რადგანაც პიროვნულობა ყველაზე დიდი ფასეულობაა ამქვეყნად, როგორ შეიძლება ასეთი პიროვნება არ მიგველო“.**

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1969 წელს, მუშაობას იწყებს საქართველოს სამეცნიერო პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში, შემდეგ კი ტელევიზიაში ბრუნდება, სადაც სატელევიზიო ფილმების სტუდია ყალიბდება, ის სტუდიის ერთ-ერთი დამაარსებელია. მან, ჯერ კიდევ სტუდენტმა, გადაიღო სამეცნიერო-პოპულარული ფილმი **„კოლხეთი“**, რომელსაც ერთ-ერთ კინოფესტივალზე მთავარი პრიზი მიენიჭა. **პირველი დიდი წარმატება მას მოუტანა მოკლემეტრაჟიანმა სატელევიზიო ფილმმა „ძველი ქართული საგალობლები“, რომელშიც ქართულ კინომატოგრაფიაში პირველად გააერთიანა მრავალსაუკუნოვანი ეროვნული, სულიერი და მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლები: ხუროთმოძღვრება, მონუმენტური ფერწერა, ტიხრული მინანქარი.** ქართული საგალობლებით შეკრულ-შედუღაბებულმა ამ ფილმმა დიდი საზოგადოებრივი გამოხმაურება ჰპოვა, მიუხედავად იმდროინდელ ხელისუფალთა წინააღმდეგობისა, როგორც საბჭოთა ხალხისთვის უაღრესად მავნე რელიგიის პროპაგანდა და ნაციონალისტური სიამაყის გამაღვიძებელი ფილმი. მან გაუძლო დროს, ფილმმა დაიპყრო მაყურებელი. „ძველ ქართულ საგალობლებს“ ღირსეულად მიეკუთვნა ადგილი შედევრებს შორის. ფილმი უცხოელებისთვის საქართველოს სავიზიტო ბარათად იქცა. როგორც რეჟისორი ბუბა ხოტივარი აღნიშნავდა, „სოსომ ძველი ქართული საგალობლებით“ გადაიღო შედევრების კრებული, შედევრი ასე შეიძლება ეწოდოს ამ ფილმს. ხელოვნების სამი საწყისის — სიტყვის, მუსიკის, გამოსახულების მხატვრული შერწყმა ეკრანზე მანამდე ვერავინ შეძლო.“ ის, ალბათ, განგებისგან მინიჭებული მადლით ქმნიდა ამ ქართულ შედევრებს. ჩვენ ხომ ქართველ კაცს სიმღერის ნიჭი გენეტიკურად დაგვანათლა ღმერთმა, როგორც ბუნებაში არსებობს მგალობელი ფრინველები, ასევე ქვეყანაზე არსებობს მგალობელი ქართველი ერი. ამის საწინდარია ის უამრავი წარმატება, რომლებსაც მიაღწიეს ჩვენმა მომღერალმა ხელოვანებმა სიმღერის სხვადასხვა ჟანრში, რომლებმაც მსოფლიო დაიპყრეს და რომელიც უნიკალური და განუმეორებელია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხისთვის.

**ბატონმა სოსომ 1971 წელს გადაიღო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეთხუთმეტე გაზაფხული“, ხოლო 1973 წელს მუშაობა დაიწყო პირველ ქართულ მრავალსერიან სატელევიზიო მხატვრულ ფილმზე „თუში მეცხვარე“, რომელმაც გაუთქვა სახელი. ამ ფილმსაც დიდი წინააღმდეგობები შეხვდა, გადაღებები რამდენჯერმე შეაჩერეს, მაგრამ ბატონი სოსოს დაუოკებელმა ბრძოლამ და ჟინმა და ცნობილი კინორეჟისორის, რეზო ჩხეიძის, დახმარებით „თუში მეცხვარე“ გადაურჩა განადგურებას.**

ამ ფილმმა დიდი აღიარება მოიპოვა, რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო ფესტივალებზე მრავალი ჯილდო მიიღო. 1977 წელს ლენინგრადში სატელევიზიო ფილმების ფესტივალზე **„თუში მეცხვარე“** პირველი პრიზით დაჯილდოვდა. 1981 წელს გერმანიაში, ქალაქ მანჰაიმში სამი პრიზი ხვდა წილად, ფესტივალის საუკეთესო ფილმისთვის „ოქროს დუკატი“, საუკეთესო რეჟისურისთვის — საერთაშორისო კათოლიკური კინოპრიზი, ამავე წელს პრაღის საერთაშორისო კინოფესტივალზე დიდი პრიზი დაიმსახურა, 1979 წელს ბატონ სოსოს ამ ფილმისთვის მიენიჭა შოთა რუსთაველის პრემია. ამავე წელს გახდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. „თუშმა მეცხვარემ“ სამუდამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი მაყურებელში უამრავი გამოხმაურებებითა და მაღალი შეფასებებით.

**1977 წელს ლენინგრადში სატელევიზიო ფილმების ფესტივალზე «თუში მეცხვარე» პირველი პრიზით დაჯილდოვდა. 1981 წელს გერმანიაში, ქალაქ მანჰაიმში სამი პრიზი ხვდა წილად, ფესტივალის საუკეთესო ფილმისათვის — «ოქროს დუკატი», საუკეთესო რეჟისურისათვის — საერთაშორისო კათოლიკური კინოპრიზი, ამავე წელს პრაღის საერთაშორისო კინოფესტივალზე დიდი პრიზი დაიმსახურა, 1979 წელს ბატონ სოსოს ამ ფილმისთვის მიენიჭა შოთა რუსთაველის პრემია. ამავე წელს გახდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. «თუშმა მეცხვარემ» სამუდამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი მაყურებელში უამრავი გამოხმაურებებითა და მაღალი შეფასებებით**

1982 წელს ბატონმა სოსომ დაამთავრა „მღერის „რუსთავის“ გადაღება, რომელსაც ამავე წელს საერთაშორნისო ფესტივალ „რადუგას“ ერთ-ერთი მთავარი პრიზი მიენიჭა. ამან ათქმევინა ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელ **ანზორ ერქომაიშვილს:** „ვამაყობ იმით, რომ ბატონ სოსოსთან ვმეგობრობდი და ვმუშაობდი, მე მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე“. განუზომელია მისი ღვაწლი ქართული ფოლკლორის მოძიება-აღდგენის საქმეში, მათ შორის საზღვარგარეთაც. საერთაშორისო აღიარების გამოხატულება იყო 1993 წელს საარბრიუკენში მისთვის **ა. შვაიცერის** სახელობის მშვიდობის მედლისა და პრემიის გადაცემა. უკანასკნელ წლებში დიდი გატაცებით მუშაობდა მრავალსერიან სატელევიზიო მხატვრულ ფილზე „შვიდკაცა“, რომელიც გურულ მრავალხმიან სიმღერას და მის შემსრულებლებს ეძღვნება. დიდი რეჟისორი **გიგა ლორთქიფანიძე** აღნიშნავდა, რომ სოსომ ვერ მოასწრო ფილმის დამთავრება, მაგრამ, თუ მისი მეგობრები დაამთავრებენ, ეკრანზე კიდევ ერთ დიდ შედევრს ვნახავთ“. ასევე დაუმთავრებელი დარჩა ფილმი ბაგრატიონების დინასტიის შესახებ. სამწუხაროდ, ბევრი მისი შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ დასცალდა, ამაზეც **რეზო ჩხეიძე** აღნიშნავდა: „რაც მოასწრო სოსო ჩხაიძემ „ქართული კინოს ნამდვილმა რაინდმა, უძვირფასესი მარგალიტებია“.


კადრი ფილმიდან „თუში მეცხვარე“

აი ასეთი დაუდგრომელი გულის, ამაღლებული სულისა და განუმეორებელი ხიბლის მქონე პიროვნება იყო ბატონი სოსო, რომელიც სამაგალითოდ იქცა მომავალი თაობისთვის. თუ ჩვენ წინაპართა ნაკვალევს არ მოვიკითხავთ, აწმყოს არ შევაფასებთ და მომავალს არ განვჭვრეტთ, ისე წარმოუდგენელია ქვეყნის განვითარება. დღევანდელობაც ამის შედეგია.

**ჯონი ცინცაძე,**
**ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი**

მზერა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიციელები, მეხანძრეები და სამხედროები — ეს ადამიანების განსაკუთრებული კონტინგენტია, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ყველაზე თანამედროვე და სწრაფი ტექნოლოგიები და მოწყობილობები, ამიტომ ასი წლის წინათ მცხოვრები ფუტურისტი მხატვრები ამ თემას საკმაოდ დეტალურად აღწერდნენ.**

# მომავალი წარსულის თვალით

თითოეული ადამიანი, ალბათ, ერთხელ მაინც დაფიქრებულა იმაზე, როგორი იქნებოდა მსოფლიო საუკუნის შემდეგ. ჩვენ ამის შესახებ, სამწუხაროდ, ვერასოდეს შევიტყობთ, მაგრამ ჩვენი წინაპრების წინასწარმეტყველებების გაანალიზება შეგვიძლია. გასული საუკუნის დასაწყისში მცხოვრები ფუტურისტი მხატვრების წყალობით შევძლებთ, შევიტყოთ, როგორ ტრანსპორტზე ოცნებობდნენ იმხანად ადამიანები და განხორციელდა თუ არა მათი იდეები ცხოვრებაში.
100 წლის წინათ ადამიანები ოცნებობდნენ, ეტლების ან ორთქლმავლების ნაცვლად საფრენი აპარატების მეშვეობით გადაადგილებულიყვნენ.




ოცნება მატარებელ-ხომალდზე, რომელსაც ნებისმიერი წინააღმდეგობის გადალახვა შეუძლია

## როგორ ხედავდნენ ჩვენი წინაპრები XXI საუკუნის ტრანსპორტს

### 1. ქვეითთა ტრანსპორტი

ადამიანი ყველა საუკუნეში ოცნებობდა გადაადგილების ინდივიდუალურ საშუალებაზე და მნიშვნელობა არ აქვს, იქნებოდა ეს ველოსიპედი, რომელსაც შეეძლებოდა წყალზე გადაადგილება თუ ელექტრული გორგოლაჭები ან წყლის თხილამურები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნებოდა ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა ხიდის გარეშე.

იტალიელი მხატვრები კი ოცნებობდნენ ინდივიდუალურ მინიავტომობილზე, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა კომფორტულად მისვლა სამსახურში — ფეხზე დგომით, მაგრამ სწრაფად, თანაც ნებისმიერ ამინდში.




ჩვენი წინაპრები ოცნებობდნენ, წყალზე სპეციალური თხილამურებით, კარეტებითა და ველოსიპედებით გაევლოთ




გასეირნება ელექტროგორგოლაჭებით




იტალიელი მხატვრები ოცნებობდნენ, ასე მისულიყვნენ სამსახურში

### 2. მსუბუქი ავტომობილები

მიუხედავად იმისა, რომ იმხანად უკვე არავის უკვირდა (ყოველ შემთხვევაში, დიდ ქალაქებში) მსუბუქი ავტომობილები, გადაადგილების სიჩქარე დაბალი იყო. ამიტომ იმ პერიოდის მისალოც ბარათებზე მხატვრები გამოსახავდნენ ადამიანების ოცნებას მაღალსიჩქარიან ავტომობილებზე.




ამდენ ავტომობილს წინასწარმეტყველებდნენ მხატვრები მოსკოვის ქუჩებში




ოცნება იმაზე, რომ ავტომობილის გარეცხვა-გასუფთავება ან შეღებვა რამდენიმე წუთში მომხდარიყო

### 3. სარკინიგზო ტრანსპორტი

იმ შორეულ პერიოდში მატარებელი იყო ერთადერთი მიწისზედა ტრანსპორტი, რომელსაც შეეძლო სწრაფად და კომფორტულად გადაეყვანა რამდენიმე ასეული ადამიანი ერთი ადგილიდან მეორეზე. ამიტომ ერთნი მატარებელს წარმოიდგენდნენ, როგორც ყველგანმავალს; მეორენი კი სატრანსპორტო საშუალებას, რომელსაც შეეძლებოდა ბგერის სიჩქარით გადაადგილება. მოსკოველი მხატვრები კი ოცნებობდნენ, რომ მატარებლებს ცაში ეფრინათ.




100 წლის წინათ ბევრ ჟურნალში იბეჭდებოდა მეცნიერისა და ტექნიკის მიღწევები



ასე წარმოედგინათ ფუტურისტ მხატვრებს მოსკოვის ცენტრალური სარკინიგზო სადგური



**ეს არის მისალოცი ბარათი, რომელიც მიძღვნილია ავსტრიის ქალაქ ზალცბურგის მომავლისადმი.** ადგილობრივი მხატვრები ვარაუდობდნენ, რომ ქალაქის მცხოვრებნი 2000 წელს მექანიკური ფრთებისა და ფეხით დასატრიალებელი ამძრავის მქონე მოწყობილობებით იფრენდნენ. კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი 1900 წელს შესრულებული მისალოცი ბარათისა არის დირიჟაბლების დიდი რაოდენობა. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ჰელიუმის საჰაერო გიგანტებს უკანა პლანზე დიდსიჩქარიანი თვითმფრინავები გადასწევდნენ.

1914 წელს საკონდიტრო ფაბრიკა „ეინემმა" შეუკვეთა მომავლის მოსკოვის ნახატები, რომლებზეც მოფარფატე ტრამვაიც კი იყო გამოსახული. განსაკუთრებული თვალსაზრისით გამოირჩეოდნენ საბჭოთა მხატვრები. მათ ნახატებზე კოსმოდრომები პირდაპირ ქალაქის ცენტრშია გამოსახული. ისინი ხატავდნენ, აგრეთვე, აფრებიან კოსმოსურ ხომალდებს.

მზერა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ ხედავდნენ ფუტურისტი მხატვრები ნათელ მომავალს საავიაციო სფეროში

## 1. საფრანგეთი

1899 წელს ფრანგი მხატვრების ჯგუფი შეეცადა, ეფანტაზიორა, როგორი იქნებოდა მსოფლიო ავიაცია 100 წლის შემდეგ. ნახატების სერიას უწოდეს „საფრანგეთი 2000 წელს". ილუსტრაციებით, თავდაპირველად, სიგარეტის კოლოფები უნდა გაეფორმებინათ, მაგრამ შემდეგ ისინი მხოლოდ მისალოც ბარათებზე დაიტანეს. იმის გათვალისწინებით, რომ 1900 წელს ავიაცია მხოლოდ ფეხს იდგამდა, მხატვრები აღტაცებულნი იყვენ ამ ახალი ტექნოლოგიით. ფრანგმა მხატვრებმა ყველა ააფრინეს ჰაერში — ფოსტალიონი, ტაქსისტი, მეხანძრე და მესაზღვრეც კი.



მესაზღვრეები ჰაერში


ფრთები ყველას

## 2. გერმანია

ეს ნახატები გერმანიაში 100 წლის წინათ შექმნეს შოკოლადის შესაფუთ ქაღალდებზე დასატანად, მათზე გამოსახულია ფრთებიანი ინდივიდუალური სატრანსპორტო საშუალებები, არის დირიჟაბლებიც მგზავრებისთვის განკუთვნილი გონდოლებით.


დირიჟაბლები



## 3. რუსეთი

1914 წელს საკონდიტრო ფაბრიკა „ეინემმა" შეუკვეთა მომავლის მოსკოვის ნახატები, რომლებზეც მოფარფატე ტრამვაიც კი იყო გამოსახული.

განსაკუთრებული თვალსაზრისით გამოირჩეოდნენ საბჭოთა მხატვრები. მათ ნახატებზე კოსმოდრომები პირდაპირ ქალაქის ცენტრშია გამოსახული. ისინი ხატავდნენ, აგრეთვე, აფრებიან კოსმოსურ ხომალდებს.



აივნები, რა თქმა უნდა, ჯერ არავის გამოუგონებია (სიჩქარეები უკვე სხვა არის), მაგრამ დანარჩენი უკვე ასრულდა

## 4. საზოგადოებრივი ტრანსპორტი

იმ პერიოდში დიდი ქალაქის მცხოვრებნი კომფორტულად ვერ მოგზაურობდნენ, ამიტომ ოცნებობდნენ ბორბლებიან მყუდრო სახლებზე. რა თქმა უნდა, ქალაქში სწრაფად უნდა გადაადგილებულიყვნენ, შორეულ მოგზაურობაში კი უმთავრესი იყო კომფორტი.

მისალოც ბარათებზე, რომლებსაც დებდნენ საკონდიტრო ფაბრიკა „ეინემის ამხანაგობის" (ამჟამად — „კრასნი ოქტიაბრი") მიერ დამზადებული კანფეტების კოლოფებში, ასახული იყო მოსკოვის ქუჩებში მოძრავი უამრავი სატრანსპორტო საშუალება.


ასეთი კომფორტული და ჩქაროსნული ავტობუსები უკვე დიდი ხანია, რეალობაა

## 5. ტრანსპორტი სასოფლო-სამეურნეო საჭიროებებისთვის

დედამიწაზე შრომა ყველა პერიოდში მძიმე იყო და ფერმერები ყოველთვის ოცნებობდნენ ისეთ მოწყობილობებზე, რომლებიც მათ მოსავლის სწრაფად აღებასა და დიდხანს შენახვაში დაეხმარებოდა. აგრარული ქვეყნების მხატვრები მოსავლის აღების პროცესს ფანტასტიკის ჟანრში გამოსახავდნენ, თუმცა ზოგიერთი რომ ახდა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ახლა გაცილებით სწრაფად და ხარისხიანად ამუშავებენ, ვიდრე თუნდაც 50 წლის წინათ.



ფერმერების ოცნება ჯერ არ შესრულებულა, მაგრამ...



ამერიკელმა ფუტურისტმა მხატვრებმა ესე გამოსახეს ფერმერების ოცნება

## 6. საბრძოლო ტექნიკა, სამაშველო სამსახურებისა და სამართალდამცველთა გადაადგილების საშუალებები

პოლიციელები, მეხანძრეები და სამხედროები — ეს ადამიანების განსაკუთრებული კონტინგენტია, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ყველაზე თანამედროვე და სწრაფი ტექნოლოგიები და მოწყობილობები. ამიტომ ასი წლის წინათ მცხოვრები ფუტურისტი მხატვრები ამ თემას საკმაოდ დეტალურად აღწერდნენ — როგორ ტრანსპორტზე არ გამოსახავდნენ სამხედროებს, სამაშველო სამსახურების თანამშრომლებსა და სამართალდამცველებს. ეს ადამიანები ხომ მშვიდობის, სიმშვიდისა და უსაფრთხოების სადარაჯოზე უნდა იყვნენ.


პოლიციელები მოტოციკლებით მიეშურებიან დასახმარებლად


100 წლის წინათ მცხოვრებ ადამიანებს ასე წარმოედგინათ ახალი საბრძოლო ტექნიკა


მეხანძრეები და მაშველები




მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



დიდი რაოდენობით რგოლების ყველაზე ხანგრძლივად დატრიალება — ამ კატეგორიაში რეკორდი ეკუთვნის ჩიკაგოელ ბრუკლინ ბლეის, რომელმაც 5 ჰულა-ჰუპსი 1 წუთსა და 10,3 წმ-ის განმავლობაში ატრიალა სხეულის სხვადასხვა ნაწილით.

# მიღწევები, რომლებიც 2019 წელს გინესის რეკორდების წიგნში შეიტანეს

ბევრ ადამიანს ბავშვობაში, ალბათ, უოცნებია განსაკუთრებული ადამიანების სიაში მოხვედრაზე, მსოფლიო რეკორდის დამყარებაზე. ჩვენს პლანეტაზე ბევრია ასეთი ადამიანი, რომელთა ნაწილიც 2019 წელს გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს.



## რეზინის ბურთით ყველაზე სწრაფად მოხტუნავე

ლოს-ანჯელესელმა **ალი სპანიოლემ** შეძლო ჰოპერით (რეზინის ბურთი) 100 მეტრზე ხტუნვაში მსოფლიო რეკორდსმენის ტიტულის შენარჩუნება ქალთა შორის.



## ყველაზე სწრაფი გადაადგილება ხელებზე გაკეთებული გორგოლაჭებით

**მირკო ჰანსენმა** (გერმანია) შეძლო, ხელებზე გაკეთებული გოგოლაჭებიანი ციგურებით 50 მეტრი გაევლო. ამ დისტანციის გავლას მან 8,55 წმ მოანდომა. აღნიშნული ტრიუკის გაკეთებას კოლოსალური მოხერხება და გამბედაობა სჭირდება.



## ყველაზე მეტი გადახტომა ბარიერებზე ველოსიპედით

**ჯო ოკლი** ბრიტანეთის მოქალაქეა. ამ ქვეყნის მცხოვრებთა ერთ-ერთი საყვარელი ტრანსორტი ველოსიპედია. ოკლი ველოსიპედით 15 ბარიერს გადაახტა და ამას 13,88 წამი მოანდომა.



## ყველაზე სწრაფი კარტი რეაქტიული ძრავით

ახალგარდა მრბოლი **ტომ ბაგნალი** (დიდი ბრიტანეთი) მფლობელია პლანეტაზე ყველაზე სწრაფი კარტისა, რომელსაც საათში 180,7 კმ სიჩქარის განვითარება შეუძლია. ამ სატრანსპორტო საშუალების დიზაინისა და კონსტრუქციის შექმნაში ბაგნალს დაეხმარა მეგობარი, ინჟინერი **ენდი მორისი.**



## ფეხბურთის ბურთით ყველაზე დიდი ხნით ჟონგლირება მიმავალი ავტომობილის სახურავზე

უცნაური კატეგორიაა, არა? რეკორდი ეკუთვნის ბრიტანელ **ეშ რენდალს,** რომელმაც შეძლო, 93 წამის განმავლობაში აეკენწლა ბურთი მიმავალი ავტომობილის სახურავზე.



## პუანტებით ყველაზე სწრაფად სიარული გაჭიმულ ბაგირზე

ბაგირზე გადაადგილება ძალიან რთულია, რადგან ეს ბალანსირების უნარს მოითხოვს. კალიფორნიელმა **ოლღა ჰენრიმ** მსოფლიო განაცვიფრა, როცა 10 მ სიგრძის გაჭიმულ ბაგირზე გაიარა... პუანტებით.



## უდიდესი ჰექსაპოდი, რომლითაც გადაადგილება შეიძლება

**მეტ დენტონმა** შეინარჩუნა მსოფლიოში უდიდესი ჰექსაპოდური რობოტის მფლობელის ტიტული. ჰექსაპოდი — ეს არის მექანიზმი 6 დაბოლოებით (ფეხით), რომელიც მწერს ჰგავს. ხშირად მას რობოტ-ობობას ეძახიან, მიუხედავად იმისა, რომ ობობები მწერები არ არიან. დენტონის მიერ შექმნილი მექანიზმის ზომებია 2,8X5 მ და დაახლოებით 2 ტონას იწონის. მისი შექმნა დენტონს გადააწყვეტინა ფილმ „ვარსკვლავურ ომებში" გამოყენებულმა რობოტმა.



## დიდი რაოდენობით ჩირაღდნებით ჟონგლირება

**ჯოშ ჰორტონი** კვლავ ლიდერია საცირკო ხელოვნების ამ სახეობაში. მან დაფიდან ტერფების აუწევლად და მიწის შეუხებლად შეძლო 5 ცეცხლმოკიდებული ჩირაღდნით ჟონგლირება.



## ყველაზე დიდი საქსოვი ჩხირების მფლობელი

ვაილტშირელი (დიდი ბრიტანეთი) **ბეტსი მონდი** გინესის რეკორდების წიგნში უნიკალური საქსოვი ჩხირების წყალობით მოხვდა. ბეტსის საქსოვი ჩხირების სიგრძე 4 მ და 42 სმ-ია.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**რუსეთში დაცულია დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება, რომ ევროპული სახელმწიფოები უბიძგებდნენ ჰიტლერს, გაელაშქრა სსრ კავშირის წინააღმდეგ. პუტინის თქმით, პოლონეთმა, რომელიც ელაქუცებოდა ჰიტლერს, ისარგებლა მიუნხენის შეთქმულებით და 1938 წელს ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრა. მაგრამ, საბოლოო ჯამში, თვითონ ემსხვერპლა ჰიტლერულ არმიას. ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე პოლონეთის ხელისუფლებაში განიხილავდნენ ვარშავაში ჰიტლერის ძეგლის დადგმის საკითხს.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1939 წელს პოლონეთში ჰიტლერის ძეგლის დადგმას აპირებდნენ

**ეს შეახსენა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ისტორიის გამყალბებლებს დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის ლიდერების სამიტზე წარმოთქმულ სიტყვაში, და ეს ისტორიული სიმართლე დაადასტურა იმ ეპოქის უნიკალური საარქივო დოკუმენტების დემონსტრირებით, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდს ეხებოდა.**



პუტინმა ეს გააკეთა ევროპარლამენტის მიერ მიღებული პროვოკაციული რეზოლვციის გასაბათილებლად, რომლის მიხედვით ე.წ. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტმა „გზა გაუკაფა მეორე მსოფლიო ომის დაწყებას“. პუტინმა აღნიშნა, რომ ამ რეზოლუციით ევროპაში შეეცადნენ საბჭოთა კავშირის ნაცისტურ გერმანიასთან გაიგივებას და მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების გამო საკუთარი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას.

რუსეთისაც პრეზიდენტის განცხადებით, მათ ეს ფანდი არ გაუვათ, რადგან **რუსეთში დაცულია დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება, რომ ევროპული სახელმწიფოები უბიძგებდნენ ჰიტლერს, გაელაშქრა სსრ კავშირის წინააღმდეგ. პუტინის თქმით, პოლონეთმა, რომელიც ელაქუცებოდა ჰიტლერს, ისარგებლა მიუნხენის შეთქმულებით და 1938 წელს ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრა. მაგრამ, საბოლოო ჯამში, თვითონ ემსხვერპლა ჰიტლერულ არმიას. ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე პოლონეთის ხელისუფლებაში განიხილავდნენ ვარშავაში ჰიტლერის ძეგლის დადგმის საკითხს.**

პუტინმა გაასაჯაროვა ბერლინში პოლონეთის ელჩის პასუხი ჰიტლერის ინიციატივის მხარდაჭერის შესახებ ევროპის ყველა ქვეყნიდან ებრაელების გადასახლების თაობაზე. პოლონეთის ელჩმა თავისი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ მიმართვაში განაცხადა:

**„თუ გერმანია ამას გააკეთებს, მაშინ ჰიტლერს ვარშავაში ძეგლი უნდა დავუდგათ“.**

არქივის დოკუმენტებით დასტურდება, რომ ნაცისტური გერმანიის წარმომადგენლები 1939 წლის დასაწყისში იწონებდნენ პოლონეთის პოზიციას, რომელიც მათთვის მომგებიანი იყო, რადგან ამ შემთხვევაში პოლონური დივიზიები სსრ კავშირის საზღვრებთან აღმოჩნდებოდა განლაგებული. პუტინმა აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა სამხედრო კავშირს სსრკ-ის წინააღმდეგ.

დსთ ქვეყნების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას პუტინმა მათ წარუდგინა ამონარიდი საარქივო დოკუმენტიდან, რომელშიც არის პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენლის პასუხი ჰიტლერული გერმანიის საგარეო საქმეთა უწყების შეკითხვაზე უკრაინის შესახებ.

დოკუმენტში ნათქვამია:

**„პოლონელები უკვე იყვნენ კიევში, და ეს გეგმები არსად გამქრალა“.**

ამ დებულების კომენტირებისას ვლადიმირ პუტინმა აღნიშნა, რომ „საქმე ეხებოდა 1939 წელს, და, მინდა იმედი ვიქონიო, რომ, ეგებ, დღევანდელი დღისთვის ეს გეგმები შეიცვალა“.

შეიცვალა კი? აღნიშნულ დოკუმენტებზე, უპირველესად, უნდა დაფიქრდნენ საქართველოს, უკრაინისა და ბელარუსის ხელისუფალნი: დღევანდელი ევროპული მიდგომები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მიმართ, იმ პერიოდისგან ცოტა რამით თუ განსხვავდება — ასეთია რეალობა.

# საინტერესო ინიციატივა

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მხარი დაუჭირა უკრაინის რადას დეპუტატის, პარტია „სიცოცხლისთვის“ ლიდერის, ვიქტორ მედვედჩუკის იდეას, საფუძველი ჩაეყაროს ნორმანდიულ ფორმატში უკრაინაში კონფლიქტის მოგვარების საკითხზე პარლამენტთაშორის დიალოგს გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთისა და უკრაინის პარლამენტების შემადგენლობით. „ჩვენ შევქმენით ფრაქციათაშორისი გაერთიანება — პარლამენტთაშორისი დიალოგი მშვიდობისთვის“, — განაცხადა უკრაინელმა პოლიტიკოსმა.**



მედვედჩუკის თქმით, საპარლამენტო რესურსი მშვიდობის მისაღწევად უნდა იქნეს გამოყენებული.

**„ჩვენი პარტიისთვის მინსკის შეთანხმებანი უალტერნატივოა. პოლიტიკურ ნაწილში მათი განხორციელება უნდა გამოიხატოს არჩევნების, სტატუსის, ამნისტიის, აგრეთვე, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საკითხებზე სპეციალური კანონების მიღებით“,** — განმარტა **მედვედჩუკმა.**

მან დასძინა, რომ წინასწარ უკვე მოელაპარაკნენ გერმანიისა და საფრანგეთის პარლამენტარებს იანვრის მეორე ნახევარში — თებერვლის დასაწყისში შეხვედრის გამართვის თაობაზე. პოლიტიკოსმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ მისმა პარტიამ პარტიათაშორისი კონტაქტი დაამყარა პარტია „ერთიან რუსეთთან“.

**„კარგი იდეაა, მე ვთხოვ რუსეთის დუმის ხელმძღვანელობას, რომ მათაც იმუშაონ ამ მიმართულებით“.** პუტინის აზრით, რუსეთის პარლამენტარების რეაქცია „იქნება მხოლოდ დადებითი“.

შეგახსენებთ, რომ დონბასში ვითარების მოსაგვარებლად მოლაპარაკება მიმდინარეობს „ნორმანდიის ფორმატში“, რომელშიც მონაწილეობენ უკრაინის, რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის მეთაურები. პირველი ასეთი სამიტი გაიმართა 2014 წელს, ბოლო — წლეულს, 9 დეკემბერს, პარიზში.

პარიზის სამიტი 8 საათზე მეტ ხანს მიმდინარეობდა. ახალი შეხვედრა 2020 წლის მარტისთვის დაიგეგმა.

# კეთილგონიერი საქციელის შედეგი: უკრაინის გავლით გაზის ტრანზიტი შენარჩუნდება

**„გაზპრომის“, „ნაფტოგაზის“ და ევროკომისიის სამმხრივი შეხვედრის შედეგად მიღწეულია შეთანხმება უკრაინის გავლით ბუნებრივი აირის ტრანზიტის შენარჩუნების და შესაბამისი კონტრაქტის ხელმოწერისთვის მზადყოფნის შესახებ.**



„უკრაინსკიე ნოვოსტი“ უკრაინის ენერგეტიკული უწყების ცნობაზე დაყრდნობით იუწყება, რომ ახალი კონტრაქტი დაიდება ხუთი წლის ვადით და გახანგრძლივების შესაძლებლობით.

გარდა ამისა, რუსეთმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მზად არის გადაუხადოს უკრაინას სამი მილიარდი დოლარი იმ პირობით, თუ ყველა სასამართლო დავა „გაზპრომსა“ და „ნაფტოგაზს“ შორის ამით ამოიწურება.




# გერმანიაში სასამართლომ გაამართლა 9 მიგრანტი, რომლებმაც 14 წლის გოგონა გააუპატიურეს

**გერმანელი საზოგადოება განიხილავს ქალაქ ბილეფელდის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც მსაჯულებმა 14 წლის გოგონას გაუპატიურებაში ბრალდებული 9 მიგრანტი გაამართლეს.** ინციდენტი მოხდა 2017 წლის ნოემბერში ქალაქ ჰარზევინკელში. გამოძიების ვერსიით, გოგონა თანატოლმა შეიტყუა სარდაფში, სადაც იმყოფებოდნენ 14-დან 19- წლამდე ახალგაზრდები. მსხვერპლს ალკოჰოლური სასმელი დაალევინეს და, როცა გონება დაკარგა, რიგრიგობით გააუპატიურეს. შემდეგ მოძალადეებმა გოგონა ქუჩაში გაათრიეს და სასწრაფო დახმარებას გამოუძახეს.

სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ „ბრალდებულთა საქციელი მორალურად არამართებული იყო, მაგრამ სასჯელს არ ექვემდებარება“. თითქოს ვიდეოზე (ერთ-ერთი მოძალადე მომხდარს ტელეფონით იღებდა) ჩანს, რომ ერთ-ერთმა ბრალდებულმა „დაუყოვნებლივ შეწყვიტა სქესობრივი აქტი, როგორც კი ეს მოზარდმა გოგონამ სთხოვა.

თვითონ მსხვერპლმა მოსამართლეს ვერ აუხსნა, სქესობრივი აქტები იყო თუ არა ნებაყოფლობითი. 9-დან 2 ბრალდებული 8 საათის განმავლობაში საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებით დააჯარიმეს პორნოგრაფიული ჟურნალების გავრცელებისთვის. ცნობილია, რომ მოზარდებს შორის 3 სირიის მოქალაქეა.

**„სრულიად ნათელია, რომ გერმანიაში სამართლებრივი სახელმწიფო ღრმა კრიზისშია, თუკი ბავშვებზე მოძალადეებს სასამართლო ამართლებს. და რა დასკვნას გამოიტანენ სასამართლოს მიერ გამართლებული ეს არამზადები?“ — სვამს კითხვას გერმანული პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ მხარდამჭერი რუსეთში მცხოვრები გერმანელების მოძრაობის ხელმძღვანელი ევგენი შმიდტი.**

გერმანიაში ჯგუფური გაუპატიურება იშვიათი შემთხვევა არ არის. 2019 წლის ნოემბერში ქალაქ ულმში 5-მა მიგრანტმა ავღანეთიდან და ერაყიდან 14 წლის მოსწავლე გოგონა გააუპატიურეს. პოლიცია კი ცდილობდა, გაესაიდუმლოებინა დამნაშავეთა ეთნიკური წარმომავლობა. პროკურატურის მონაცემებით, მოზარდი გოგონა შეხვდა თავის ნაცნობს, რომელმაც ის იმ ბინაში მიიყვანა, რომელშიც მიგრანტები ცხოვრობდნენ. სწორედ იქ ჩაიდინეს დანაშაული ერაყელებმა და ავღანელებმა.

# ახლა ჯერი სტოლტენბერგზეა



**ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის თქმით, სურვილი აქვს, პირადად შეხვდეს რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს, რათა განიხილოს ის სირთულეები, რომლებიც მოსკოვსა და ალიანსს შორის არსებობს და დასძინა, რომ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობები უნდა დამყარდეს.**

**„რუსეთი ჩვენი ყველაზე დიდი მეზობელია და ასეც დარჩება. ჩვენ უნდა ვეცადოთ უკეთესი ურთიერთობები დავამყაროთ მასთან“,** — განაცხადა **სტოლტენბერგმა.**

ჩვენთვის საყურადღებო აქ ის არის, რომ ნატოსა და რუსეთს შორის მთავარი სირთული ნატოს მიახლოებაა რუსეთის საზღვრებთან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღების პერსპექტივა. რუსეთი ამის კატეგორიული წინააღმდეგია და რაკი სტოლტენბერგმა ეს იცის და რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების დამყარებას აპირებს, როგორ უნდა მიაღწიოს ამას? სწორია — **საქართველოს ინტეგრაციაზე ჯერ ოფიციალურად თუ არა, არაოფიციალურად მაინც უარის თქმით.** მალე, ალბათ, ოფიციალური უარიც არ დააყოვნებს. გავიხსენოთ, **ჯეიმს აპატურაით** დაწყებული, სხვადასხვა დონის მაღალჩინოსნებმა წელს და შარშან ყველამ პირდაპირი ტექსტით გვითხრა, რომ ნატოში არ მიგვიღებენ. ახლა ჯერი სტოლტენბერგზეა.

ამ ყველაფრის ფონზე ჩვენი ბრმა და ყრუ გინდ ხელისუფლება და გინდ ოპოზიცია, ისევ ნატოში შესვლასა და „ჩვენი მზის ამობრწყინებაზე“ აგრძელებენ ყბედობას.

# გამოიცა






## ნაცისხარი გენერლის წიგნი

**ეს-ესაა ჩამოიბეჭდა გენერალ-მაიორ ლევან კენჭაძის წიგნი „იფიქრე და იაზროვნე“, რომელსაც პირობითად გონების სავარჯიშო შეიძლება ეწოდოს აქ თავმოყრილი ბრძნული ნააზრევების სიუხვის გამო.**

ამ სიბრძნეს ენდო, მიჰყვა, იწამა და შეძლო სააკაშვილის რეჟიმის მიერ აბსურდული ბრალდებით ჩაწიხლულმა წელში გამართვა და ცხოვრების თავიდან დაწყება.

წიგნის შესავალში ლევან კენჭაძე წერს:

„2004-2009 წლებში **მ. სააკაშვილის** დავალებით „ნაცების პროკურატურამ“ ხუთი წლით ორთაჭალის ციხეში „დამასვენა“. დრო უქმად რომ არ დამეკარგა, ამ ხნის განმავლობაში დავწერე ორი წიგნი:

**„ტყვეობაში მყოფის ფიქრები“**

და

**„...საკანშიც ვარ თავისუფალი“.**

„ოცნების პროკურატურა“ ისე წარმატებით ვერ ასრულებს მ. სააკაშვილის ახალ დავალებას და ჯერ ვერ „მასვენებენ“ в местах не столь отдаленных, ამიტომ ამ ხუთი წლის განმავლობაში, რაც „ოცნების პროკურატურის“ გადამკიდე „თავისუფალ პატიმრობაში“ ვარ, მოვახერხე მხოლოდ ერთი წიგნის დაწერა — **„იფიქრე და იაზროვნე“.**




# გულების მბრძანებელი



## ლეგენდარული კარდიოქირურგი ლეო ბოკერია 80 წლისაა

**სახელგანთქმულ კარდიოქირურგ ლეო ბოკერიას 80 წელი შეუსრულდა. ის 1939 წლის 22 დეკემბერს დაიბადა საქართველოს ქალაქ ოჩამჩირეში. ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, 1968 წელს კი მუშაობა დაიწყო მოსკოვში, ბაკულევის სახელობის გულსისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრში, სადაც დღემდე მოღვაწეობს.**

ლეო ბოკერია პირველი ქირურგია, ვინც ღია გულზე დაიწყო ოპერაციების გაკეთება. ექიმის მიერ შემუშავებულმა და შემოწმებულმა მეთოდებმა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ათასობით სიცოცხლე გადაარჩინა.

ლეო ბოკერიას პროფესიონალიზმი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა უმაღლეს დონეზე დააფასეს: იუბილარს მიულოცა რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** და პრემიერმინისტრმა **დიმიტრი მედვედევმა.**

დაუღალავი ბოკერია, ისევე, როგორც ახალგაზრდობაში, დღეში 6 ოპერაციას აკეთებს, დაკავებულია სხვა საქმით და ჰობით (ძალიან უყვარს ფეხბურთი), დღე-ღამეში სძინავს მხოლოდ 6 საათით.

ლეო ბოკერიას ჯანმრთელობის საიდუმლო, როგორც თვითონ ამბობს, არის ის, რომ ყოველ დღეს კარგი განწყობით იწყებს.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# უზბეკეთი სატრანზიტო მატარებლებს დაძრავს აზერბაიჯანისა და საქართველოს მიმართულებით



**კომპანია „უზბეკეთის რკინიგზა“ გეგმავს 2020 წლის გაზაფხულისთვის სატრანზიტო მატარებლები აამოძრაოს საქართველოსა და აზერბაიჯანისკენ, იუწყება კომპანიის საინფორმაციო სამსახური.**

20 დეკემბერს ტაშკენტში გაიმართა აზერბაიჯანის, საქართველოს, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის რკინიგზების ხელმძღვანელების შეხვედრა ამ ხუთ ქვეყანას შორის მულტიმოდალური საერთაშორისო მარშრუტის განვითარების საკითხებზე. აღნიშნული მარშრუტით პირველი საპილოტო სატრანზიტო მატარებლის გავლა დაგეგმილია 2020 წლის პირველ კვარტალში.

სხდომის მონაწილეებმა დაადგინეს სატრანზიტო ტარიფებისა და ტვირთების გადაზიდვის ერთიანი პირობები, განიხილეს ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის საკითხები. შეთანხმდნენ, რომ შექმნიან ერთიან საკოორდინაციო კომიტეტს, რომელშიც შევლენ მონაწილე ქვეყნების რკინიგზების ხელმძღვანელები. კომიტეტის თავმჯდომარეობა დაეკისრება უზბეკეთის ტრანსპორტის სამინისტროს.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა დამთავრდა 2017 წლის ოქტომბერში აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. ტვირთების გადაზიდვის მოცულობა 6,5 მილიონ ტონაზეა გაანგარიშებული. წლის განმავლობაში ნავარაუდევია მილიონამდე მგზავრის გადაყვანა.

**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

www.geworld.ge

საქართველო

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6

ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894